CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 7 ოქტომბერი, 2009 წელი. №218 (2256) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ჩანართი

გასაიდუმლოებული მასალები შსს არქივიდან

ფხენიანი მოლაპარაკებისთვის მზად არის

A7



ქართული ხელოვნების მეისტორიე

A9

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

"ეკონომიკური თავისუფლების აქტი" პარლამენტართა სამსჯავროზე

თამარ ივანიძე

დემოკრატიზაციის ინიციატივების გახმოვანების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში კიდევ ერთხელ მიდის და ამჯერად ეკონომიკურ ინიციატივებს - "ეკონომიკური თავისუფლების აქტს" წარადგენს. აქტი ოფიციალური სახით - კანონპროექტების ფორმით ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა "პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილებები", როგორც თავად პრეზიდენტი ამბობს, მიღებულია.

პრეზიდენტის სიტყვა

მიხეილ სააკაშვილი 6 ოქტომბრის საპარლამენტო გამოსვლისას უჩვეულოდ ლაკონური იყო - 40 წუთში "ჩატეულ" ეკონომიკური ინიციატივებს კი მთავარ ხაზად ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ერთგულება გასდევდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფარული კონფლიქტი

იარაღით დატვირთული გემის გაუჩინარების დამაჯერებელი და არადამაჯერებელი ვერსიები

მარიკა იაშვილი

"არქტიკ სი"-ს (Arctic Sea) გაუჩინარების ისტორია XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური და მისტიკურია. ფინური კომპანიის საკუთრებაში მყოფი, მალტის დროშით მცურავი და რუსი ეკიპაჟის მიერ მართული გემის იდუმალებით მოცული ამბავი ორ თვეზე მეტია დაიწყო და დღემდე ამოუხსნელია. კალინინგრადში გეგმიური რემონტის გავლის შემდეგ ხომალდი ორი თვის წინ ფინეთში ხის მასალით დაიტვირთა. ზღვაში გასვლიდან ცოტა ხანში შვედეთის სანაპიროსთან გემზე, როგორც ირკვევა, რვა კაციანი ჯგუფი ავიდა. ისინი თავს ეკოლოგებად ასაღებენ, ხოლო რუსეთის ხელისუფლება მათ მეკობრეებს უწოდებს. ამის შემდეგ გემი დაიკარგა. მფლობელ კომპანიას გამოსასყიდიც მოსთხოვეს. განგაშის ატეხვიდან ორიოდე კვირაში "არქტიკ სი" ატლანტიკის ოკეანეში რუსულმა სამხედრო გემებმა იპოვეს, მისი გათავისუფლების ოპერაცია ჩაატარეს და ხომალდზე ეკოლოგების სახელით ასული რვა პიროვნება დააკავეს. რუსეთის პროკურატურამ გემზე მოკვლევაც ღია ზღვააში ჩაატარა. "არქტიკ სი" დღემდე არც ერთ პორტში არ შეუყვანიათ, რუსული ეკიპაჟის ძირითადი ნაწილი სახლში დააბრუნეს, ოთხი მეზღვაური, კაპიტანთან ერთად, ისევ გემზე რჩება.

გაგრძელება A8 გვერდზე

ილიაზდი ბრუნდება...

ძმები ზდანევიჩების გამოფენა, ანუ ავანგარდული სულის ძიებაში...

სოფო კილასონია

ილიაზდის, იგივე ილია ზდანევიჩის მემკვიდრეობის ნაწილი თბილისს მართლაც უბრუნდება, თუმცა დროებით. საქმე მხოლოდ გამოფენას ეხება, რომელიც ერთი თვე გასტანს. მაგრამ ეს გამოფენა ერთი რიგითი არ გეგონოთ. მასშია კონცენტირირებული ქართული მეოცე საუკუნის კულტურისა და ევროპული ავანგარდის გადაკვეთის წერტილები, მასშია თავმოყრილი მთელი დასავლური ავანგარდისტული კულტურის ქვაკუთხედები, ნიშნები, ხატებიც კი... ამ გამოფენაში შეიძლება დავინახოთ ისეთი ისტორიული პორტრეტები როგორებიცაა - პიკასო, ფიროსმანი...

გაგრძელება A9 გვერდზე



CMYK - 1

გალში ინციდენტების პრევენციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა

გუშინ გალში ხუთმხრივი შეხვედრის მორიგი რაუნდი გაიმართა. შეხვედრას ევროკავშირისა და გაეროს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, რუსი სამხედროები, ქართული და აფხაზური მხარეები ესწრებოდნენ. ქართულ მხარეს შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი წარმოადგენდა. უტიაშვილის თქმით, შეხვედრაზე საკმაოდ მკაცრად დაისვა საკითხი რუსული სამხედრო ვერტმფრენების ფრენასთან დაკავშირებით. რუსები ხშირად პატრულირებენ გალის რაიონის სოფლებში ვერტმფრენით და ხშირად ზუგდიდის რაიონის დაბალი ზონის სოფლებშიც შედიან. აღნიშნულ შემთხვევებს ინციდენტი ჯერ არ მოჰყოლია. სწორედ მსგავსი ფაქტების აღკვეთას ითხოვდა გუშინ ქართული მხარე. უტიაშვილმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის გადაადგილების შეზღუდვის მოხსნის საკითხიც დააყენა. "შეხვედრა ტექნიკური ხასიათისაა და მას პოლიტიკური დატვირთვა არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოსთან შედარებით აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში ინციდენტები შემცირდა, რუსი ოკუპანტებისგან რეალური საფრთხეები კვლავ არსებოს", - განაცხადა უტიაშვილმა. სააგენტო ინტერპრესნიუსის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავების შეხვედრა ჟენევის შეხვედრაზე შეთანხმდა.

კვალავ თვითმმართველობის არჩევნების თარიღზე

თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება მომავალი წლის 30 მაისსაა დაგეგმილი, რისთვისაც პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებებს განიხილავს. - ამის შესახებ თბილისის მერმა, გიგი უგულავამ განაცხადა. გიგი უგულავასთვის უცნობია ოპოზიციის ინიციატივა თვითმმართველობის არჩევნების თებერვალში ჩატარების შესახებ. ინტერპრესნიუსთან საუბრისას გიგი უგულავამ თქვა: "მე ამის შესახებ არაფერი მსმენია. რამდენადაც მე ვიცი არჩევნების თარიღი დეკლარირებულია და 30 მაისს ჩატარდება. პარლამენტი კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებს ახლა იხილავს. მიმდინარეობს საარჩევნო კანონის დახვეწა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილებების შესატანად. არჩევნები 30 მაისსაა დაგეგმილი და არანაირი ცვლილება არ იგეგმება." თბილისის მერმა განაცხადა, რომ მას ჯერ არ გადაუწყვეტია დააყენებს თუ არა თავის კანდიდატურას თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე. "მანამდე დიდი დროა და ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი", - განაცხადა საუბრის ბოლოს გიგი უგლავამ.

თურქეთი და რუსეთი არ გარიგებულან

საქართველოს საგარეო უწყება თურქეთსა და რუსეთს შორის აფხაზეთის საკითხზე გარიგებას კატეგორიულად უარყოფს. საგარეო უწყების წარმომადგენელმა, დავით ჯალაღანიამ განაცხადა: "თურქეთსა და რუსეთს შორის ვითომდა აფხაზეთის საკითხზე გარიგება საქართველოს არაკეთილმოსურნეების მიერ გავრცელებული ჭორია. ამ აბსურდის დაჯერებით და შემდეგ გაჟღერებით ზოგიერთები სწორედ ჩვენი მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს." ინერპრესნიუსის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთსა და რუსეთს შორის შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, კრემლი ანკარას აფხაზეთის აღიარებას ჩრდილოეთ კვიპროსში უცვლის. აღნიშნული ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა უკვე უარყო.

ნოღაიდელი ფინანსური პოლიციის წინააღმდეგ

როგორც მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მთავრობა პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით, რომ საგამოძიებო დეპარტამენტი გამოეყოს შემოსავლების სამსახურს და მოხდეს ფინანსური პოლიციის აღდგენა. მისი თქმით, კანონპროექტის მიხედვით ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელს ფინანსთა მინისტრის წარდგინების საფუძველზე პრეზიდენტი დანიშნავს. ეს მაშინ, როდესაც თავად ფინანსთა მინისტრის დანიშვნა პრემიერ მინისტრის პრეროგატივაა. მოძრაობის ლიდერი აღნიშნავს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან ისედაც კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. სააგენტო ინტერპრესნიუსის ცნობით, ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მორიგი ნოვაციით ბიზნესის დატერორება და პოლიტიკური ნიშნით ხელისუფლების ოპონენტების დევნა უფრო მასობრივ ხასიათს მიიღებს.

ოპოზიციის მოთხოვნები

ევროსაბჭოს პოლიტიკური დირექტორი ჟან ლუი ლორანი გუშინ ოპოზიციის წევრებს ხვდებოდა. თბილისში ევროსაბჭოს ოფისში, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ გიორგი თარგამაძის გარდა, ლორანი არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს ნინო ბურჯანაძეს, კახა კუკავას და ეკა ბესელიას ესაუბრა. ჟან ლუი ლორანთან გამართულ მოლაპარაკებებზე განიხილეს 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების დროს ოპოზიციის მხარდამჭერთა დაკავების თემა. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა მედიის თავისუფლების საკითხზე, ასევე სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმაზე. **საუბრის შინაარსი ძალიან მრავალფეროვანი იყო - დაწყებული იმ მოლოდინით, რომელიც ქართულ საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ სპექტრში ევროპის საბჭოში იანვარში მისაღები გადაწყვეტილების გამო არსებობს და დამთავრებული თვითმმართველობის არჩევნებით გამოწვეული მოლოდინით და იმ წინადადებებით, რომლებიც ქრისტიან-დემოკრატებს გვაქვს იმისთვის, რომ არჩევნები მხოლოდ არჩევნებისთვის არ ჩატარდეს და ადგილებზე ისეთი წარმომადგენლები და მმართველი ორგანოები ავირჩიოთ, რომლებიც ხალხის პრობლემებს მოაგვარებენ,** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი თარგამაძემ. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძის თქმით, **"შეხვედრაზე ლაპარაკი იყო პოლიტპატიმრებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც ხელისუფლების მიერ აბსოლუტურად ფორმალური საფუძვლით და უსაფუძვლოდ არიან დაპატიმრებულნი. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ ევროსაბჭოს მხრიდან კონკრეტული მონიტორინგი ჩატარდეს."**

ოპოზიციის წევრებთან შეხვედრის შემდეგ ჟან ლუი ლორანი საქართველოს სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს შეხვდა.

საკუთარი ინფორმაცია

საერთო საავიაციო სივრცე

თბილისში ევროკომისიის დელეგაციის წევრები იმყოფებიან. ისინი სამუშაო შეხვედრაზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის უახლოეს ხანში ხელმოსაწერი შეთანხმების დეტალებს განიხილავენ. ხელშეკრულების მიზანია მხარეებს შორის ავიაბაზრების გახსნა, ამით ავიაკომპანიები ევროპის ერთიან საავიაციო სივრცეში ჩართულ ყველა სახელმწიფოსთან შეუზღუდავ საჰაერო მიმოსვლას შეძლებენ. ფართომასშტაბიან შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პირველი რაუნდი მთავრობის კანცელარიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა და ეკონომიკის სამინისტროს ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მამუკა ვაწაძემ გახსნეს. ქართული მხარის განცხადებით, საქართველო მზად არის, მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროსტანდარტებთან. ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელმა გილეს განტელემ განაცხადა, რომ **"ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის, დადებითი შედეგის შემთხვევაში საქართველო ევროკავშირის საავიაციო ბაზარის წევრი გახდება. გაიხსნება საჰაერო გზა ევროპის ქვეყნებისკენ, რაც საქართველოს დაავალდებულებს, დააკმაყოფილოს ევროპის საავიაციო ბაზრის სტანდარტები."** დელეგაციის წევრებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი ბოკუჩავამ განაცხადა, რომ თუკი შეთანხმება შედგა, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციისკენ. **"მარტივად რომ ვთქვათ, შეთანხმების შედეგად საქართველო საჰაერო სივრცით შევა ევროკავშირში,"** - აღნიშნა ბოკუჩავამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტურქტურის მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ დადებითად შეაფასა მიმდინარე პროცესი. **"საჰაერო სივრცის გახსნის საკითხებზე პრაქტიკულად 37 ქვეყანასთან ერთდროულად ვმართავთ მოლაპარაკებებს. თუკი შათანხმებას მივაღწიეთ, ჩვენს ავიაკომპანიებს ექნებათ საშუალება, დამატებით ახალი რეისები გახსნან, გაიზრდება ქართული ბიზნესის ცნობადობა. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაიზრდება კონკურენცია. ეს კი უშუალოდ მომხმარებლისთვის იმას ნიშნავს, რომ ბილეთების ფასები შემცირდება,"** - განაცხადა გოცირიძემ.

პარლამენტში მეორე არხის საკითხზე ისაუბრეს

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა მეორე არხის პოლიტიკურ არხად გარდაქმნის საკითხი დააყენა. მან ხელისუფლებას არხის გარდაქმნასთან დაკავშირებით, პირობის შესრულება მოსთხოვა. ცაგარეიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს მისი და მიხეილ სააკაშვილის დაპირება გაახსენა, რომელიც მიმდინარე წლის 20 ივლისს პარლამენტის ტრიბუნიდან გააჟღერეს. მისი განმარტებით, მრჩეველთა საბჭო სექტემბრის ბოლომდე უნდა დაეკომპლექტებინათ, რათა არხის კონცეფცია ჩამოყალიბებულიყო. თუმცა, ამ მხრივ დღემდე არაფერი გაკეთებულა.

"თუ რაიმე არის გაკეთებული, იქნებ საზოგადოებას ამცნოთ. თუ პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით შეფერხებაა, რასაც კულუარებში აცხადებენ, გთხოვთ, წარმოადგინოთ ციფრები, თუ რას ემყარება ეს გათვლები," - განაცხადა ცაგარეიშვილმა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ეს იყო ხელისუფლების მხრიდან წამოსული კარგი ინიციატივა და დასძინა, რომ "ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ამ პირობის შესრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს". მისი თქმით, ამ პროექტის განხორციელებაში საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია უნდა ჩაერთოს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მეორე არხის პოლიტიკურ არხად გარდაქმნის პირობის არშესრულებაში არასაპარლამენტო ოპოზიციას ადანაშაულებს. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, აღნიშნული საკითხი ოპოზიციასთან ერთად უნდა გადაწყდეს.

"ეს საკითხი იმათთან გაარკვიეთ, ვისთან ერთადაც გაზაფხულზე საკნებში ისხედით. ხელისუფლება კი ოპოზიციის თანხმობის შემთხვევაში, მათთან ერთად ამ თემაზე მუშაობას აქტიურად გააგრძელებს," - განაცხადა ბაქრაძემ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მზად არის, რომ მეორე არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არხად გადაქცევის პროექტის განხორციელებაში პირადად მიიღოს მონაწილეობა.

მეორე არხის პოლიტიკურ არხად გადაქცევის საკითხი ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრმა, მაგდა ანიკაშვილმაც შეაფასა. მისი განცხადებით, მეორე არხის პოლიტიკურ არხად გარდაქმნას "თავი არ მოება", ეს კი ნაწილობრივ არასაპარლამენტო ოპოზიციის ბრალია, რადგან პოლიტიკური სპექტრი აღნიშნულ საკითხზე მობილიზებული არ არის.

მარი ახსიაშვილი

დიმიტრი ლორთქიფანიძე სახალხო დამცველს აკრიტიკებს

გუშინდელ რიგგარეშე საპარლამენტო სხდომაზე დიმიტრი ლორთქიფანიძემ სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის განცხადება გააკრიტიკა, რომელიც ციხეების პატიმრებით გადატვირთვას ეხებოდა.

ლორთქიფანიძემ ყურადღება ქსნის საპატიმროზე გაამახვილა, სადაც 422-ადგილიან საპატიმროში სასჯელს 700-ზე მეტი პატიმარი იხდის. მათი უმრავლესობა როგორც ტუბერკულოზითა და შიდსით, ასევე, ტუბერკულოზითა და C ჰეპატიტით ერთდროულადაა დაავადებულია.

"ამგვარი რეკომენდაცია შეიძლება ბორტგამცილებელს მივცეთ, რომ გადატვირთული ბათუმი-თბილისის მატარებელში ჩადგას საწოლები. ეს ადამიანები სასჯელის გადავადებას ექვემდებარებიან და სახალხო დამცველმა ისინი უნდა მოინახულოს და შესაბამისი ზომები მიიღოს", - აღნიშნა დეპუტატმა.

როგორც მოგეხსენებათ, ტუღუშმა განაცხადა, რომ საპატიმროში აღნიშნული პრობლემის მოგვარება საწოლების ჩადგმით არის შესაძლებელი

"ინტერპრესნიუსი"

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"ეკონომიკური თავისუფლების აქტი" პარლამენტართა სამსჯავროზე

პირველი გვერდიდან

თავად პრეზიდენტის თქმით, "ეკონომიკური თავისუფლების აქტი" **"შეზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობებს, გადაუხვიოს ლიბერალური ეკონომიკური მმართველობიდან."**

სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა, პირველ რიგში, არჩეულ ლიბერალურ გზაზე გააკეთა აქცენტი:

"ჩვენი აღმავლობის წყარო ილია ჭავჭავაძეა. ლიბერალიზაციის არჩევით ჩვენ სწორედ ილიას გზას ვირჩევთ. 6 წლის წინათ სწორედ ამ გზაზე დავდექით და ამ გზამ მიგვიყვანა იმ რეიტინგამდე, რომელზეც მსოფლიო ბანკის დღევანდელი მონაცემებით ვართ. ჩვენ შეუძლებელი შევძელით, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმატების დიდი შანსი მოგვეცა, რომელიც ბევრ ქვეყანას არ აქვს. "ვარდების რევოლუცია" ქუჩაში დროშების ფრიალი კი არა, ილიას გზაზე დადგომა იყო და ამ გზიდან აღარასდროს აღარ უნდა გადავუხვიოთ," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ფინანსური დეფიციტის ალბათობის გამო იტანჯებიან, რადგან ინვესტორებს შიში აქვთ, რომ ძირითადი ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება უცაბედად ცვლილებებს დაექვემდებაროს.

საინტერესო დეტალი: მიხეილ სააკაშვილი მთავრობას და პარლამენტს ლიბერალური ეკონომიკის კონსტიტუციით გარანტირებულობას სთავაზობს. "კონსტიტუციური კანონპროექტი ეკონომიკური თავისუფლებების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ" მოიცავს მთელ რიგ ახალ ინიციატივებს და ამასთან უკვე განხორციელებული ეკონომიკური ცვლილებების კონსტიტუციურ რანგში აყვანას გულისხმობს.

კერძოდ, ამ აქტით გათვალისწინებულია, რომ საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) არ იქნება 30-ზე მეტი; ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-სთან კონსტიტუციურად დაფიქსირდება, რომ იქნება არა უმეტეს 3 პროცენტისა; მთლიანი სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან იქნება არა უმეტეს 60 პროცენტისა.

ამასთან, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნებისმიერი გადასახადის შემოღების ან გადასახადის განაკვეთის გაზრდის შესაძლებლობა "გამონაკლისის სახით" უნდა იყოს და რეფერენდუმის ჩატარების მეშვეობით დადგინდეს.

"გადასახადის გაზრდისა ან ახლის დაწესების უფლება მთავრობამ ვერ უნდა გამოიყენოს ხალხის თანხმობის გარეშე, - განაცხადა მან, - **დაბალი და მარტივი გადასახადები ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია, რაც ქვეყანაში ინვესტიციებს იზიდავს, რაც სამუშაო ადგილებს აჩენს და რაც ხალხს და ბიზნესს უფრო მეტ ფულს უტოვებს. ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა, უზრუნველვყოთ, რომ ეს პოლიტიკა იქნება უზრუნველყოფილი ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად".**

სააკაშვილის თქმით, აქტი ასევე გულისხმობს ვალუტის კონვერტაციის შეზღუდვის, მიღებული შემოსავლების და კაპიტალის რეპატრიაციის დაუშვებლობას.

ასევე აიკრძალება უკვე დადგენილი ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის გაზრდა, ასევე ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა.

"ჩვენი პრინციპია ის, რომ გამოსავალია მთავრობის მიერ ქამრების მოჭერა და არა ხალხის და ბიზნესმენების ყელში წაჭერა დამატებითი მაკონტროლებლებით და რეგულირებებით," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, სახელმწიფოს აეკრძალება კომერციული ბანკების წილების ფლობა და ნებისმიერი სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასის დაწესება, რითაც საქართველოში მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ფასების დადგენის თავისუფლება.

გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, ქარტია მოიცავს "ეკონომიკური დემოკრატიის" ისეთ მიმართულებებს, როგორიც არის სოციალური სფერო და განათლება.

მისი თქმით, თავისუფლების აქტი ბიუჯეტის სოციალურ ნაწილს შემდგომში იმ პრინციპის მიხედვით განავითარებს, რომ საბიუჯეტო სახსრები მიმართული იყოს მხოლოდ იმათ დახმარებაზე, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს; ასევე დაკანონდება სასკოლო ვაუჩერების გამოყენების უფლება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლებში.

"დავაფინანსოთ არა სახელმწიფო ინსტიტუტები, სადაც ადამიანი იძულებული იქნება, არჩევანის გარეშე მივიდეს, არამედ დავაფინანსოთ ადამიანები, ვისაც ეს დაფინანსება ეკუთვნის და ყველაზე მეტად სჭირდება, ხოლო ინსტიტუტები ამ ადამიანების არჩევანის მიხედვით დაფინანსდებიან," - განაცხადა მან.

პრეზიდენტი აღიარებს, რომ "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" მიღება უმუშევრობის პრობლემის მკვეთრად და ერთბაშად გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს, თუმცა აქვე აცხადებს, რომ: **"ეს აქტი ამავე დროს ძალიან ამბიციურია, რადგან მისი მიღების შემდეგ საქართველო გადაიქცევა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად, კანონმდებლობის და კონსტიტუციის ეკონომიკური ლიბერალიზმის დადგენის და დაცულობის კუთხით."**

აქვე მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი პოლიტიკის შეუქცევადობის ჩამოყალიბება **"არის გზა რუსეთისგან ჩვენი საბოლოო გათავისუფლებისკენ, იქ არსებული ცხოვრების არაცივილიზებული წესისგან და იმ აზროვნებისგან გათავისუფლებისკენ, რასაც რუსული იმპერია ეფუძნება."**

გამოხმაურება პარლამენტში

პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. აღნიშნული გამოსვლა საპარლამენტო უმრავლესობისთვის ახალი სიტყვა და საუკეთესო გამოსავალია, საპარლამენტო ოპოზიციისთვის - პოპულიზმი და რეალური ეკონომიკური პრობლემების არცოდნა.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი სწორად ჩამოყალიბებული გამოსვლა.

"ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ისეთი კანონმდებლობა შევქმნათ, რომ ინდოელი, ფრანგი, ამერიკელი ინვესტორი საქართველოში ფულის ჩადებით დაინტერესდეს, რადგან ეს ნიშნავს მეტ სამუშაო ადგილს და სოციალურ საკითხებში ჩადებულ მეტ ფულს," - აღნიშნა მაჭავარიანმა.

მისი თქმით, პრეზიდენტის მხრიდან კარგი იდეები გაჟღერდა და ახლა მთავარია ამ იდეების ხორცშესხმა. **ერთი გამოსვლით საქმე არ მთავრდება. ახლა ბევრია გასაკეთებელი. საქმე იწყება და მიმაჩნია, რომ ეს სწორი გზაა,"** - აცხადებს ვიცე-სპიკერი.

საპარლამენტო ოპოზიციის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე კი "ეკონომიკური თავისუფლების აქტს" "ეკონომიკურად ოპტიმისტურს" და "სინამდვილეში კი სრულიად არარეალისტურს" უწოდებს. მისი თქმით, **"მთლიანი შიდა პროდუქტიდან 30 პროცენტის ამოღება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ეკონომიკა უნდა მოვკლათ. ინიციატივა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან უნდა იყოს არა უმეტეს 60 პროცენტისა, ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა აღარ გვაქვს. ამასთან, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ ამბობს სახელმწიფო უარს რეგულაციაზე, მაშინ, როცა დღის წესრიგში დგას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების საკითხი და ევროკავშირი ჩვენგან მთელი რიგი მიმართულებებით სწორედ რეგულაციას ითხოვს,"** - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

კანონმდებლობის აღსრულების პრობლემებზე აკეთებს აქცენტს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე. **"პრობლემას წარმოადგენს არა რთული კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ მარტივია, არამედ ამ კანონმდებლობის გამოყენების შედეგად მიღებული უფლებების დაცვა. ამ ინიციატივებში არაფერი თქმულა ისეთი ტიპის საკონსტიტუციო ინიციატივაზე, რომელიც უფრო მეტად გაამყარებს საკუთრების უფლებას და გამორიცხავს იმ ძალიან ცუდ გამოცდილებას, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში ქონების გადანაწილების კუთხით გვქონდა,"** - განაცხადა თარგამაძემ.

ასევე დეკლარირებულისა და ფაქტობრივის განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს ზურაბ ნოღაიდელის პარტიის ერთადერთი წარმომადგენელი პარლამენტში პეტრე მამრაძე. **"დაწერილი კანონით, შეიძლება, საქართველო რაღაც რეიტინგში წინ იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი ბათილდება პრეზიდენტ სააკაშვილის და მისი მთავრობის ქმედებებით,"** - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას დეპუტატმა პეტრე მამრაძემ. მამრაძის თქმით, მისთვის მისაღებია ეკონომიკური თავისუფლებისთვის კონსტიტუციური გარანტიის მინიჭება, თუმცა დეპუტატი შიშობს, რომ ამის შემდეგ ბიზნესს უფრო მეტად დაერევიან. **ტრაგიკულია, რომ პრეზიდენტის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან განსხვავდება. ვიცით, როგორც მოქმედებენ საგადასახადო სამსახურები და ის ყველაფერი, რაც პრეზიდენტმა თქვა, მხოლოდ ფორმალობაა,"** - მიაჩნია მამრაძეს.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილი ინიციატივები სრულიად გაუგებარია ოპოზიციონერ დეპუტატ გურამ ჩახვაძისთვის. როგორც გურამ ჩახვაძემ განაცხადა, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სახელწოდება და მისი შინაარსი აბსოლუტურად სცილდება ერთმანეთს. **მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკა, უბრალოდ, არ იცის,"** - აღნიშნა მან.

ჩეჩნეთში ვერტმფრენი ჩამოვარდა

ჩეჩნეთში ურუს-მარტანოვას რაიონში სროლის შედეგად ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ამის შესახებ ინფორმაციას ჩეჩნეთის სამართალდამცავი ორგანოები ავრცელებენ.

ვერტმფრენის ჩამოგდებისას ეკიპაჟის წევრებიდან არავინ დაშავებულა.

ინციდენტი ორი სამხედროს ევაკუაციისას მოხდა. სამხედროები ჩეჩნეთში საკონტრაქტო პირობებით მსახურობდნენ.

ჩეჩნეთში ვედენსკოს რაიონში მილიციამ გარდაცვლილი მამაკაცის სხეულის ნაწილები აღმოაჩინა.

მამაკაცის ვინაობის დასადგენად და ვერტმფრენის მიმართ განხორციელებული სროლების საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

ბერნარ კუშნერი: დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ მოვითხოვეთ

საფრანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა რუსული ოპოზიციური გაზეთის "ნოვაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა : ჩვენ შევძელით რუსული ჯარების შეჩერება, რომლებიც თბილისისკენ ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიიწევდნენ

კუშნერმა მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულების შესახებაც ისაუბრა, რომელიც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით შარშან გაფორმდა. კითხვაზე, სცადა თუ არა კუშნერმა ამ დღეებში მედვედევთან შეხვედრაზე აღნიშნული შეთანხმების შესრულების შეფასება, მინისტრმა განაცხადა: "მაშინ ყველაფერი ძალიან ჩქარა მოხდა. მე მზად ვიყავი იმ პირობებში ასე მემოქმედა, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, რომ პრეზიდენტი სარკოზიც ასეთ სიჩქარეს გამოავლენდა. იგი პეკინში იყო ოლიმპიადაზე და მაშინვე პარიზში დაბრუნდა. მე მანამდე პირველ დოკუმენტთან დაკავშირებით სააკაშვილთან გავმართე მოლაპარაკებები. შემდეგ იყო მეორე დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებული იყო პუტინთან, მედვედევთან, პრიხოდკოსთან და ლავროვთან. და შემდეგ, ერთ დღეში ჩვენ მოვამზადეთ დოკუმენტი, რომელიც არასრული იყო მთელი რიგი მიზეზების გამო, რომლებსაც ახლა არ ავხსნი. ზოგიერთები კმაყოფილნი არ იყვნენ იმით, რომ მე საერთოდ მოვამზადე ეს დოკუმენტი. შემდეგ ახლის მომზადება მოგვიწია, იყო თარგმანის პრობლემაც.

რას ველოდით? ჩვენ მოვითხოვდით საქართველოს ტერიტორიაზე რუსების გადაადგილების შეჩერებას, კონფლიქტის ზონებიდან ყველა სამხედროს გასვლას და იქ ევროპელი დამკვირვებლების შეყვანას. ამას მივაღწიეთ. მაგრამ ჩვენ არ მოვითხოვეთ ის, რაც ჩემს პირველ დოკუმენტში იყო - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. **ჩვენ რომ ეს მოგვეთხოვა, ვერ მივაღწევდით პუტინისა და მედვედევის ხელმოწერებს. იმავე საღამოს მოგვიწია მედვედევთან ამ დოკუმენტში ერთი ფრაზის შეთანხმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ცნების ტოლფასი იყო. და რადგან ეს არასრული იყო, მოგვიწია წერილში დაგვეზუსტებინა ცნება "მიმდებარე ტერიტორიები" "სასაზღვრო ზონა". რას მივაღწიეთ? ძალიან მალე 27 ევროპული ქვეყნის დაახლოებით, 300 მეთვალყურე მოვლენათა ადგილზე ჩავიდა. ჩვენ დავტოვეთ რეგიონი, მეორე დღეს კი ბრიუსელში ეს ტექსტი ევროკავშირის 27-მა საგარეო საქმეთა** მინისტრს წარვუდგინე. არ დაგავიწყდეთ, რომ ამერიკელები იქ არ იყვენ... ამგვარად, შესაძლებელი გახდა რუსული ჯარებისა და ტანკების შეჩერება, რომლებიც თბილისის გზაზე იდგნენ და ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიიწევდნენ. მაგრამ, ჩვენ წავაგეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით. თუმცა, ჩვენ მივაღწიეთ ჟენევის მოლაპარაკებებს, რომლებიც ახლაც გრძელდება", - აცხადებს კუშნერი.

კითხვაზე - "ეს ჩიხია? რუსეთი ხომ არ იტყვის უარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე? ფრანგი მინისტრი პასუხობს: "ეს იყო ომის დასასრული და თბილისისკენ რუსული ჯარების წაწევაზე უარის თქმა. თუმცა მედვედევმა გვითხრა, რომ არ აპირებდა თბილისში შესვლას. რთულია იმის თქმა, რას მივაღწიეთ და რას ვერა.

უმჯობესია მოლაპარაკება, ვიდრე ომი" - ჟურნალისტის ამ რეპლიკაზე ბერნარ კუშნერი აცხადებს: ვფიქრობ, რომ კი. მე ჩრდილოეთ ოსეთში გავემგზავრე, რათა რუსეთის მხარეზე მყოფ ლტოლვილებს შევხვედროდი, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს. მე ვიყავი მათ ბანაკებში... მე არ ვიცი, დაბრუნდნენ თუ არა ეს ადამიანები სახლებში, მაგრამ საქართველოს მხრიდან ლტოლვილები სახლებში არ დაბრუნებულან"

ინტერპრესნიუსი

ჩვენ ავირჩიეთ ილიას გზა - ლიბერალური ეკონომიკის გზა"

მანანა ვარდიაშვილი

ეკონომიკური სტიმულირების ახალი პაკეტის და ე.წ. პოსტკრიზისული გეგმის ძირითადი დეტალები უკვე ცნობილია. ამ გეგმას საქართველოს პრეზიდენტმა ეკონომიკური თავისუფლების აქტი" უწოდა. აქტის ძირითად პრინციპებად კი თავისუფლება, შესაძლებლობები, თანასწორობა და ღირსება" დაასახელა.

საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ეკონომიკური თავისუფლების აქტი" მოიწონა. უმრავლესობის წევრები აცხადებდნენ, რომ ახლა მთავარი ამ იდეების რეალიზებაა". პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კი ამ აქტში წარსულში არდაბრუნების გარანტიას ხედავს: ეს არის გარანტია, რომ საქართველო არ დაბრუნდება იმ მახინჯ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც გვქონდა. ყველას გვახსოვს, როგორ გამდიდრდნენ ცალკეული ადამიანები მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ხარჯზე. ყველას გვახსოვს ხელოვნური მონოპოლიები და ბიზნესმენებთან და კომპანიებთან შეკრული მინისტრები, კორუფცია და ქრთამები. პრეზიდენტის გამოსვლა იყო კონცეპტუალური გარანტია იმისა, რომ ეს დრო აღარ დაბრუნდება და რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარებას თავისუფალი და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კურსით გააგრძელებს".

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ეკონომიკური თავისუფლების აქტით" შეუქცევადი ხდება ის მიმართულება, რომელიც ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში გვაქვს აღებული. ვგულისხმობ ეკონომიკის ლიბერალიზაციას, რომელსაც საქართველოსთვის უფრო მეტი ინვესტიციები მოაქვს. თავისუფალი ეკონომიკა ამცირებს გადასახადებს და მათ განაკვეთებს და ბიზნესს მარეგულირებლებისგან ათავისუფლებს", - აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი.

ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ვიცეპრეზიდენტი გია ჯანდიერი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ახალი ინიციატივებით უფრო რადიკალური ზომების გატარებაც შეეძლო. ლიბერალიზაციას შეუძლია საქართველოში ინვესტიციები მოიზიდოს. ამდენად, ამ მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ აქტში ძალიან ბევრ ნაბიჯზეა საუბარი. თუმცა, უფრო რადიკალური ზომების გატარებაც შეიძლებოდა. აქტში არაფერია ნათქვამი კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. უფრო მეტად შეიძლებოდა საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაც. საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყნისთვის მთლიან შიდა პროდუქტთან საბიუჯეტო ხარჯის შეფარდების ოპტიმალური ზღვარი 15 პროცენტი უნდა იყოს," - აცხადებს გია ჯანდიერი.

რობერტ ქათლერი: "ბევრი რამ დამოკიდებულია ამინდზე"

თამარ ხორბალაძე

„24 საათის“ დღევანდელი სტუმარია ექსპერტი ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და გეო-ეკონომიკის საკითხებში რობერტ ქათლერი. სხვადასხვა წლებში იგი იყო აშშ-ს ანალიტიკური ცენტრების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების კონსულტანტი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის, ევროპული პოლიტიკის სწავლების ცენტრის კონტრაქტორი, ანალიტიკური ბიულეტენის "ყოფილი საბჭოთა კავშირი" ექსპერტი ნავთობისა და გაზის საკითხებში, 2002 წელს კი იგი ევროპული პოლიტიკის სწავლების ცენტრის კავკასიის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მუშაობდა. ექსპერტი საქართველოში 20-წლიანი პაუზის შემდეგ ჩამოდის. მასთან საუბარი, ცხადია, ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოპროექტების თემებზე შედგა.

ექსპერტი ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და გეო-ეკონომიკის საკითხებში რობერტ ქათლერი.

- გასული ზამთრის ანუ რუსეთ-უკრაინის „გაზის ომად“ მონათლული მოვლენების შემდეგ ჩვენში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ევროპამ ახლებურად გააზრა საკუთარი ენერგოუსაფრთხოება და რუსეთისადმი მიდგომებში ერთგვარი "მობრუნება" მოხდა. ხედავთ თუ არა თქვენ ასეთ ცვლილებას?

- ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს ის პრობლემები, რასაც რუსეთზე მეტისმეტი დამოკიდებულება იწვევს. ათი წლის წინათ ევროპის სოციალურ და პოლიტიკურ ელიტებს ასაზრდოებდათ რომანტიკული აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთთან ენერგეტიკის საკითხებში თანამშრომლობა შესაძლებელია, რომ რუსეთიც ევროპის ნაწილია. როცა პირველად ხდება რაღაც, ეს შეიძლება შემთხვევითობა იყოს, მაგრამ როცა მეორედ ხდება, ეს უკვე შემთხვევითობა აღარ არის. ის მოვლენები, რომლებსაც თქვენ რუსეთ-უკრაინის გაზის ომს უწოდებთ, მეორე შემთხვევა იყო. შესაბამისად, ევროპულმა საზოგადოებამ იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ საჭიროა ცვლილებები და ამიტომ პოლიტიკური წრეებიც იძულებულნი გახდნენ, მიდგომები შეეცვალათ.

- ჩვენ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში ევროპული ხედვა, მაგალითად, „ნაბუკოსთან“ მიმართებაში. საქართველოში მიიჩნევენ, რომ ამ ე.წ. ომის შედეგი „ნაბუკოს“ პროექტის გააქტიურება იყო. მიგაჩნიათ თუ არა, რომ პროექტმა რეალური სახე მიიღო და იგი განხორციელებადია?

- რადგანაც „ნაბუკო“ ჯერ არ არის აშენებული, ჩვენ არ გვაქვს კონკრეტული შედეგი, ამიტომ დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ეს რეალობაა. მაგრამ, ისევე როგორც სახლის აშენებას, მილსადენის მშენებლობასაც სამი ეტაპი აქვს. პირველ ეტაპზე იდეის მოსინჯვა ხდება, იქმნება ნახაზი, განისაზღვრება, სად უნდა გაკეთდეს, იწყება რესურსების მოძიება. მეორე ეტაპზე ადამიანმა უფრო კონკრეტულად იცის, თუ რა სურს. სახლის შემთხვევაში იგი იმის გარკვევას იწყებს, სად უნდა იყოს ფანჯარა, რა მასალით უნდა გაკეთდეს და ასე შემდეგ. მესამე ეტაპზე უკვე დეტალური გეგმა დგება და მშენებლობა იწყება. რუსეთ-უკრაინის მოვლენების შემდეგ „ნაბუკოს“ პროექტი პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადავიდა.

- „ნაბუკოს“ პროექტის ალტერნატივებად, ძირითადად, იმ პროექტებს განიხილავენ, რომლებიც რუსეთზე გადის. მათ შორის - „სამხრეთის ნაკადს“, „ჩრდილოეთის ნაკადს“, იგივე „ცისფერ ნაკადს“. ამ პროექტებიდან რომლის განვითარებაა უფრო წინ წასული?

- „ცისფერი ნაკადი“, როგორც ვიცით, არსებობს, თუმცა მისი ეფექტურად გამოყენება იმის გამო ვერ ხერხდება, რომ თურქეთში საკმარისი ენერგოინფრასტრუქტურა არ არის. „სამხრეთის ნაკადი“ ამ დანარჩენ პროექტებთან შედარებით ახალია. უნდა გავითვალისწინოთ ხარჯი, რაც ამ პროექტის განხორციელებისთვის არის საჭირო და მოგება, რასაც მისგან ელიან. ავტორიტეტულმა აზერბაიჯანელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ „სამხრეთის ნაკადი“ ორჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე „ნაბუკო“. რაც შეეხება „ჩრდილოეთის ნაკადს“, ეს იდეა უფრო დიდი ხანია არსებობს, თუმცა რუსეთის მიერ წამოყენებული მოთხოვნები ძალიან უძნელებს ბიზნესწრეებს ამ პროექტში ჩართვას. ამასთან, ამ პროექტის განხორციელებას ხელს უშლის რუსეთის მეზობელი იმ ქვეყნების პოზიციაც, რომელთა ტერიტორიულ წყლებშიც უნდა გაიაროს მილსადენმა. აგრეთვე არსებობს პრობლემები საერთაშორისო კანონმდებლობის გამოც. არის კიდევ ერთი პროექტი - „თეთრი ნაკადი“, რომელიც რუსეთზე არ გადის და გულისხმობს საქართველოს უკრაინასთან დაკავშირებას შავი ზღვის ფსკერის გავლით. ჩემი აზრით, ეს რეალისტური პროექტია, თუმცა იგი ჯერ საწყის ეტაპზე იმყოფება.

- „თეთრ ნაკადს“ და „ნაბუკოს“ ჩვენ "ჩვენს" პროექტებს ვუწოდებთ. ამიტომ ისევ „ნაბუკოზე“ შეგეკითხებით. ბოლო პერიოდში საქართველოში უსაფრთხოების თვალსაზრისით შექმნილი სიტუაციის გამო, იმის გამო, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ჯარები დგას, იმის გამო, რომ ომი იყო, გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა საქართველოზე გაზსადენების გატარება დასავლეთის ინტერესში აღარ იყოს. ამას თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების აღდგენა დაემატა და დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ ენერგომარშრუტმა ევროპისკენ, შესაძლოა, სომხეთზე გადაინაცვლოს. რამდენად რეალურია ასეთი პერსპექტივა დღეს?

- არა, მე არ მიმაჩნია, რომ დღეს ეს შესაძლებელია. გაზსადენის მშენებლობა, პოლიტიკურ მიზანშეწონილობასთან ერთად, უფრო მეტად ეკონომიკურ გათვლებზეა დამოკიდებული. თავდაპირველად, როცა „ნაბუკოს“ პროექტის საკითხი წყდებოდა, სომხეთი მარშრუტად ამ მანძილის სიმოკლისა და სიიაფის გამო მართლაც განიხილებოდა. დღეს, შესაძლოა, ამ მარშრუტზე არჩევანის გაკეთება პოლიტიკური თვალსაზრისით შესაძლებელი ყოფილიყო, თუმცა საქართველოში სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი გადის და არსებული ენერგოინფრასტრუქტურის გაგრძელება ეკონომიკურად გაცილებით მომგებიანია, ვიდრე სხვა მარშრუტზე არჩევანის შეჩერება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობებიც.

- ირანის ჩართვა „ნაბუკოს“ პროექტში რამდენად რეალისტურია?

- ირანის ჩართვა არარეალისტურია და ამის მიზეზი მხოლოდ ამერიკის პოზიცია არ არის. დღეს ირანს მსგავს პროექტთან შესაერთებლად პოლიტიკური წინაპირობები და ბიზნესგარემო არ გააჩნია. მე ვიყავი ირანში, მქონდა საუბრები ენერგოინდუსტრიის წარმომადგენლებთან და იმ ადამიანებთანაც, რომლებიც ევროპული მხრიდან მათთან საქმის კეთებას ცდილობდა. გამოცდილება ასეთია - როცა მაგიდასთან ირანული მხარე ზის და ევროპული მხარე ახალ ინიციატივებს წარმოადგენს, ირანულ მხარეს ამ ინიციატივებზე საპასუხოდ საკმარისი უფლებამოსილებები არ გააჩნია. ამისთვის ისინი სასტუმროში უნდა დაბრუნდნენ, გადარეკონ და პოლიტიკური ნებართვა მიიღონ. ირანული გადაწყვეტილებები დამოკიდებულია არა იმდენად ეკონომიკურ არგუმენტებზე, რამდენადაც პოლიტიკურზე. ამასთანავე, იქ გადაწყვეტილებებზე ისეთივე გავლენა აქვთ რელიგიურ ჯგუფებს, როგორც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა კომუნისტურ პარტიას. გარდა ამისა, მაგალითად, ირანი-პაკისტანი-ინდოეთის გაზსადენის მშენებლობაზე ინდოეთის მხარემ იმის გამო თქვა უარი, რომ ირანული მხარე მოლა-პარაკებების ყოველ ახალ რაუნდზე წინა შეხვედრისას მიღწეული შეთანხმებების გადახედვას ითხოვდა. გარდა ამისა, ირანის კანონმდებლობით, ბიზნესმენებს ეკრძალებათ საერთაშორისო არბიტრაჟისთვის, საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვა. ამ და სხვა მიზეზების გამო, ვფიქრობ, „ნაბუკოში“ ირანის ჩართვა წარმოუდგენელია.

- რუსეთის ლიდერები „ნაბუკოზე“ ან „თეთრ ნაკადზე“ საუბრისას აცხადებენ ხოლმე, რომ ამ პროექტების წინააღმდეგნი არ არიან. თუმცა იქვე დასძენენ, რომ მათი აზრით, ამ პროექტების განხორციელებისთვის ბუნებრივი აირის რესურსი საკმარისი არ იქნება ანუ ამ პროექტებს ენერგოწყაროების პრობლემა შეექმნებათ. ამ დროს ისინი იმაზე მიანიშნებენ, რომ რუსეთი შეეცდება, თავად შეიძინოს თავისუფალი რესურსი და არ დატოვოს იგი ალტერნატიული პროექტებისთვის. ასევე ჩინეთის ბაზრის მოთხოვნებზეც მიანიშნებენ. რამდენად რეალისტურია ასეთი პერსპექტივა?

- რუსეთის ხელისუფლება და რუსული კომპანიები არ არიან ისინი, ვინც წყვეტს, ვინ და რას გაყიდის. ეს ჰგავს მანევრირებას გასროლის გარეშე. ეს არის აზრის ჩამოყალიბების მცდელობა. ასეთ საინფორმაციო მანევრებს პრესრელიზების და მემორანდუმების ომს ვუწოდებდი.

თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებებს კასპიის შელფში არსებულ მარაგებზე და ბრიტანული კომპანიის მიერ თურქმენეთის გაზის მარაგების შესახებ გაკეთებულ შეფასებებს, გაზი საკმარისი იქნება. ჩემი ეს პასუხი იმას არ ნიშნავს, რომ ეს გაზსადენები აუცილებლად აშენდება, უბრალოდ, გაზი საკმარისი იქნება.

- მინდა, „თეთრი ნაკადის“ შესახებ გკითხოთ - არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროექტის წამოწევა თურქეთის გარკვეული პოლიტიკური თამაშების საპასუხოდ მოხდა.

- ეს საკითხი შესწავლილი არა მაქვს და ამიტომ ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ.

- „ნაბუკო“, „თეთრი ნაკადი“ და მსგავსი საერთაშორისო პროექტები, თქვენი აზრით, საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებას ემსახურება თუ მას, გარკვეული თვალსაზრისით, ახალი დარტყმის წინაშე აყენებს - ერთგვარ სამიზნედ აქცევს?

- ასეთი პროექტების განხორციელების არჩევანს ქვეყანა თავად აკეთებს. თქვენ თავად უნდა გამოიტანოთ დასკვნა, როგორია ამ შემთხვევაში რისკები. თუმცა საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ენერგოპროექტები ყოველთვის დადებითად აისახება ამ პროექტებში მონაწილე ქვეყნების განვითარებაზე. თუმცა, მე ასეთ კომენტარს დღეს ვაკეთებ, ვითარება კი ზოგადად ისე სწრაფად იცვლება, რომ სხვა დროს, შესაძლოა, ამ თემაზე კომენტარი სხვაგვარიც იყოს.

- და ბოლოს, მინდა იმავე საკითხს დავუბრუნდე, რითიც დავიწყე. ზამთარი მოდის. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს ევროპა გაზმომარაგების თვალსაზრისით უფრო დამოუკიდებელია რუსეთისგან, ვიდრე გასულ ზამთარს რუსეთ-უკრაინის ომის დროს? შეიცვალა თუ არა რამე ისე, რომ გასული ზამთრის მოვლენების განმეორება და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაზის გარეშე დატოვება გამოირიცხოს?

- გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ მე თქვენს კითხვებს თავს ვარიდებ, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია ამინდზე.

1 200 000 აშშ დოლარის ინვესტიცია პროგრამულ უზრუნველყოფაში

ნათია ყიფიანი

„თეგეტა მოტორსმ“ პირველმა საქართველოში დანერგა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა SAP-ი. პროგრამის დანერგვი კომპანიაში გრძელდებოდა 13 თვე - უკრაინული დამნერგავი კომპანია „Soft Rating“-ის მეშვეობით, და მისმა ღირებულებამ 1 200 000 აშშ დოლარი შეადგინა.

კომპანია SAP-ი წარმოადგენს ბიზნესპროცესების ავტომატიზებული პროგრამული გადაწყვეტილებების წამყვან მომწოდებელს მსოფლიოში. დღეს 89 000-ზე მეტი კლიენტი მსოფლიოს 120 ქვეყნიდან თავის საქმიანობაში სწორედ SAP-ის პროგრამას იყენებს.

SAP ERP -ის ამოქმედებით „თეგეტა მოტორსს“ აქვს მოლოდინი კომპანიის ბიზნესპროცესების მართვისთვის, უადვილებს კომპანიებს კლიენტებთან და პარტნიორებთან ურთიერთობას, ხოლო ანალიტიკური ფორმების დროული მიღება ხელს უწყობს სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას.

კომპანია SAP-ი დაარსდა 1972 წელს და დღეს უკვე 50 000-მდე თანამშრომელს ითვლის მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში. SAP-ი დარეგისტრირებულია რამდენიმე საფონდო ბირჟაზე; მათ შორის ფრანკფურტისა და ნიუ-იორკის საფონდო ბირჟებზე SAP-ის სახელით. კომპანია SAP AG-ის მთლიანმა შემოსავლებმა 2008 წელს 11.73 მილიარდი ევრო შეადგინა.

SAP ERP სისტემა დანერგილი აქვთ ისეთ ცნობილ კომპანიებს, როგორებიც არიან: Bridgeston MAN, Shell, Mercedes-Benz U.S. General Motors, Microsoft Corporation, HP, NEC, Harly-Davidson, Basf, Ericsson, Coca Cola Botting Co, PepsiCo Inc, Exxon Mobile, Glaxosmithkline, Heinkel, Johnson&Jonhson, Metro-Goldwyn-Mayer, Panavision Inc, Philip Morris USA Inc, Fujitsu Siemens, IMB, მსოფლიოს და ევროპის მსხვილი ფინანსური კომპანიები, ბანკები და მრავალი სხვა. ამ ცნობილ კომპანიებს დღეიდან TEGETA MOTORS Ltd შეუერთდა.

SAP-ის პროგრამის დანერგვა შეუძლია ყველა კომპანიას, მაგრამ საბოლოო პროგრამული პროდუქტის ღირებულების და დანერგვის სირთულის გამო SAP AG იძლევა რეკომენდაციებს, თუ როდის დგება პროგრამის დანერგვის საჭიროება ამა თუ იმ კომპანიაში. კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: წლიური ბრუნვა არაუმცირეს 50 მილიონი აშშ დოლარისა, სამეურნეო ოპერაციების დიდი რაოდენობა, ბიზნესპროცესების მრავალფეროვნება და სირთულე, თანამშრომლების რაოდენობა არაუმცირეს 300 ადამიანისა. „თეგეტა მოტორსმ“ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და SAP ERP-მ წარმატებით აიღო სტარტი.

სპეციალურად ამ პრეზენტაციისთვის საქართველოში ჩამოვიდნენ უკრაინული კომპანია „Soft Rating“-ის ტოპ-მენეჯერები, SAP-ის ექსპერტები და „თეგეტა მოტორსის“ პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

მიხეილ სააკაშვილი: "ვარდების რევოლუციით" რევოლუცია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაშიც დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, "ვარდების რევოლუციით" რევოლუცია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაშიც დაიწყო.

როგორც სააკაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ბოლო წლების საქართველოს ეკონომიკურ გარემოზე საუბრისას განაცხადა, ქვეყნის ეკონომიკას არაერთმა ქარბობალამ გადაუარა.

"90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ბევრი პრობლემა გადავლახეთ, ბევრს გავუმკლავდით, თუმცა ბევრმა ძალიან დაგვაზარალა. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ყველა პრობლემურმა გამოწვევამ ჩვენს ეკონომიკას ქარბორბალასავით გადაუარა. გადავიტანეთ პოლიტიკური აშლილობისა და ქაოსის უმძიმესი წლები. იყო პერიოდები, როდესაც საქართველოში განუკითხავად თარეშობდნენ კრიმინალები, კანონმდებლები ქურდობდნენ და ქურდები გვიწესებდნენ კანონებს; როცა არა თუ ურთიერთობების, არამედ აზროვნების ერთადერთი ფორმა იყო კორუფცია და კანონი მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ მის დარღვევას საფასური ჰქონდა. მე არ ვაპირებ ამ ყველაფრის ჩამოთვლას, მაგრამ სხვა ტრაგიკულ შედეგებთან ერთად ყოველი მათგანი კიდევ უფრო მეტად აზარალებდა ქვეყნის ეკონომიკას. ამას ემატებოდა ეკონომიკური პოლიტიკის სრული არარსებობა. შედეგად, უფრო მეტად ღარიბდებიდა ჩვენი ხალხი და იკარგებოდა სამუშაო ადგილები. ხაზინა იყო ცარიელი, არ გაიცემოდა ხელფასები, ქვეყნის მთავარი მოქმედი პირი ქვეყნის ეკონომიკაში იყო მაიკლ სქოული, "ეი-ეს-თელასის" ცნობილი დირექტორი. არ იმუშავა არც ერთმა ანტიკრიზისულმა გეგმამ და არც ერთმა უცხოურმა რეკომენდაციამ," - განაცხადა სააკაშვილმა, რომლის განმარტებითაც, "ვარდების რევოლუციამ" ყველაფერი შეცვალა.

"შემდეგ იყო "ვარდების რევოლუცია" და ამით დაიწყო რევოლუცია ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაში. ჩვენ ვთქვით, რომ ნაცვლად რეგულირებული ეკონომიკისა, წავალთ ლიბერალური ეკონომიკის მიმართულებით. ვთქვით, რომ გამოსავალი გადასახადების გაზრდა კი არა, შემცირება იყო. ვთქვით, რომ გამოსავალი საგადასახადო კოდექსის გართულებაში კი არა, მის გამარტივებაში არსებობდა; რომ ეკონომიკას გადაარჩენს არა ახალი მარეგულირებლების და სახელმწიფო მაკონტროლებლების შექმნა, არამედ არსებულების გაუქმება. ჩვენ ვთქვით, რომ მთავრობა უნდა იყო მაქსიმალურად პატარა და მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მისი ჩარევა ეკონომიკაში. მაშინდელი გადმოსახედიდან ეს იყო გაკრიტიკებული, როგორც უტოპიური გადაწყვეტილება. თუმცა ერთი წლის თავზე საქართველოს ბიუჯეტი იყო გაორმაგებული, ფისკალური სტაბილიზაცია კი - მიღწეული. სახელმწიფომ პირველად დაიწყო საპენსიო და სახელფასო დავალიანების გასტუმრება და, რაც მთავარია, სახეზე იყო ეკონომიკის და ბიზნესის გამოცოცხლების პირველი აშკარა ნიშნები," - განაცხადა ქვეყნის პირველმა პირმა.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გლეხებისგან 10 ტონა ყურძენს შეისყიდის

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ იულონ გაგოშიძის ინიციატივით, აქციაში "რთველი 2009" დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ჩაერთვება.

8 ოქტომბერს აპარატის თანამშრომლები გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში გაემგზავრებიან. ისინი ყურძნის კრეფაში მიიღებენ მონაწილეობას.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გლეხებისგან 10 ტონა ყურძენს შეისყიდის, რომელიც დამზადდება ძველი კახური წესით, დაიწურება ქარხანაში, ჩამოისხმება ბოთლებში და ქარხანაში დარჩება სასაწყობოდ.

საქართველოს გავლით სომხეთს ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგა

რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთისათვის ბუნებრივი აირის ტრანზიტით მიწოდება აღდგენილია. გაზის მიწოდება მაგისტრალურ გაზსადენზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილი იყო. განცხადება დღეს ამის შესახებ სააქციო საზოგადოება "საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თამარ შოშიაშვილმა გააკეთა.

მისივე თქმით, გაზის ტრანსპორტირება დადგენილი ვადების შესაბამისად აღდგა.

ფინანსთა მინისტრი: კერძო ბიზნესს უპრეცედენტო თავისუფლებას ვაძლევთ

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ გახმოვანებული ინიციატივა ნიშნას იმას, რომ "კერძო ბიზნესს უპრეცედენტო თავისუფლებას ვაძლევთ." ეს შეფასება ბაინდურაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას პრეზიდენტის მიერ წარდგენილი მთავრობის ახალ ეკონომიკური დოკუმენტის კომენტარისას გააკეთა.

როგორც ბაინდურაშვილმა განაცხადა, მთავრობა ბიზნესს აძლევს დიდი შესაძლებლობას, იყვნენ წარმატებულები.

"ახალი ინიციატივის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკა იყოს ლიბერალური. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში იყოს მინიმალური, ზოგიერთ სექტორში კი საერთოდ აიკრძალოს კიდეც, მიმდინარე და განხორციელებული რეფორმები იყოს შეუქცევადი," - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი ამ კანონში არის ის, რომ გადასახადების ნებისმიერი ზრდის ან ახალი განაკვეთების დაწესების გადაწყვეტილები მიღება მთლიანად გადადის ხალხზე.

„ეს არის აბსოლუტურად უპრეცედენტო, როცა მთავრობა იხსნის ამ პროგრატივას და რეფერენდუმის გზით ხალხი გადაწყვეტს გადასახადების გაზრდის საკითხს," - აცხადებს ბაინდურაშვილი.

პრეზიდენტი მარეგულირებელი ორგანოების შექმნის აკრძალვის ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრეზიდენტი მარეგულირებელი ორგანოების შექმნის აკრძალვის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ პრეზიდენტმა დღეს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, სადაც მან „ეკონომიკის თავისუფლების აქტი" წარმოადგინა.

"თავისუფლების აქტით გთავაზობთ ლიცენზიების და ნებართვების უკვე დადგენილი რაოდენობის გაზრდის აკრძალვას. გარდა ამისა, გთავაზობთ, რომ თავისუფლების აქტით აიკრძალოს ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა, რათა ვერასდროს ვერავინ ახალი ხორცმეტები და პარაზიტები ვერ გააჩინოს," - განაცხადა სააკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, რათა მეწარმეები ზედმეტი რეგულაციისა და გაუმართლებელი ბიუროკრატიული ჩარევისგან გათავისუფლებულიყვნენ. ამით ჩვენ მოვახერხეთ კორუფციის ხვრელების ამოვსება და გავამარტივეთ ბიზნესი."

სახელმწიფოს კომერციული ბანკების წილების ფლობა აეკრძალება

ეკონომიკური თავისუფლების აქტი ითვალისწინებს სახელმწიფოსთვის კომერციული ბანკების წილების ფლობის აკრძალვას მიუხედავად იმისა, რომ ეს დაშვებულია ბევრ ქვეყანაში, და უზრუნველყოფილ იქნას ფასების დადგენის თავისუფლება, - ამის შესახებ პრეზიდენტმა დღეს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, სადაც მან "ეკონომიკის თავისუფლების აქტი" წარმოადგინა. "1995 წლიდან აღარ არსებობს სახელმწიფო ბანკები და ადრეული 90-წლებიდან აღარ ხორციელდება ფასების კონტროლი "თავისუფლების აქტით, სახელმწიფოს აეკრძალება კომერციული ბანკების წილების ფლობა,“ - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ამით სახელმწიფო მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ფასების დადგენის თავისუფლებით.

საქართველოს მთავარ პროკურორს ახალი მოადგილე ჰყავს

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე ვასილ როინიშვილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის თანამდებობაზე დაინიშნა. შესაბამისად, მთავარი პროკურორის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი გიორგი ობგაიძე.

მედიანიუსი

"ვარსკვლავების აკადემიის" შენობის ჩამონგრევის მიზეზების წინასწარი გამოძიება დასრულებულია

პროექტ "ვარსკვლავების აკადემიის" შენობის დანგრევის ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი იმ ადამიანის მიმართ დაიწყება, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ეს განცხადება დღეს სესიაზე "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა გააკეთა.

მისი ინფორმაციით, შენობის ჩამონგრევის მიზეზების წინასწარი გამოძიება დასრულებულია და უახლოეს მომავალში სასამართლო პროცესი დაიწყება.

როგორც ანიკაშვილი აცხადებს, შენობის ჩამონგრევის შედეგად დაღუპული ორი ახალგაზრდის ოჯახმა გამოძიება დამოუკიდებლად ჩაატარა და მასალებიც ხელთ აქვთ. შესაძლებელია დამნაშავეთა წრე გაფართოვდეს.

ანიკაშვილის თქმით, აუცილებელია, პროცესი ობიექტურად წარიმართოს და აცხადებს, რომ აღნიშნული საქმე სასამართლოს მიერ საზოგადოების თვალში კიდევ ერთი უსამართლობის დამადასტურებელი ფაქტი არ უნდა გახდეს, ამიტომაც, სასამართლო პროცესი დამოუკიდებლად და სამართლიანად უნდა წარიმართოს.

ჯი-ეიჩ-ენი

თავდაცვის სამინისტროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს მორიგი საჩივარი, რომლითაც ყოფილი სამხედრო მოსამსახურის მიმართ ჯარიმის დაკისრებას და ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა არ დააკმაყოფილა.

უზენაესი სასამართლოს ცნობით, ყოფილ სამხედრო მოსამსახურესთან კახაბერ ნიქაბაძესთან სასამართლო დავა თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 22 სექტემბერს, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში დაიწყო. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კახა ნიქაბაძეს შეიარაღებულ ძალებში 4 წელი უნდა ემსახურა. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი კისრულობდა ვალდებულებას, სამინისტროსათვის აენაზღაურებინა კონტრაქტით დარჩენილ ვადაში მასზე გათვალისწინებული თანხა. სამსახურის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ეს თანხა 14 000 ლარს შეადგენდა, ორი წლის შემდეგ - 10 000 და სამი წლის შემდეგ - დარჩენილი ერთი წლის სახელფასო თანხას - 5 000 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის დროს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხისთვის ჯარიმის - 14 000 ლარის, ზიანის სახით 2 618 ლარისა და პირგასამტეხლოს - 2005 წლის 2 დეკემბრიდან ჯარიმის სრულ გადახდამდე ყოველდღიურად 14 000 ლარის 0,2 პროცენტის დაკისრება მოითხოვა. სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ნაწილში. ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს მასზე დახარჯული კვების თანხის - 612 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ კი მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მანვე აპელანტის მოთხოვნით შეწყვიტა საქმის წარმოება თავდაცვის სამინისტროს სარჩელზე ჯარიმის თანხისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ნაწილში. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოდავე მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტი არ განსაზღვრავს რაიმე სახის პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურის მხრიდან 1 წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში. ნიქაბაძე კი სამხედრო სამსახურში სულ 8 თვე იმყოფებოდა, რის შემდეგაც მინისტრის ბრძანებით გათავისუფლდა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ათეულობით საჩივარი განიხილა, რომლითაც თავდაცვის სამინისტრო ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ჯარიმისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრებას ითხოვდა.

საკუთარი ინფორმაცია

რუს სკინჰედებს ქართველი არასრულწლოვანი მეთაურობდა

მოსკოვის საქალაქო სასამართლოში დაიწყო ადგილობრივი სკინჰედური დაჯგუფების "თეთრი მგლების" 12 წევრის სასამართლო პროცესი, რომელთაც ეროვნულ ნიადაგზე 11 მკვლელობის ჩადენა და მკვლელობის მცდელობები ედებათ ბრალად.

სასამართლო მასალების მიხედვით, "თეთრი მგლების" ლიდერი არასრულწლოვანი ალექსეი ჯავახიშვილია.

მასალების მიხედვით, "თეთრი მგლები" დანაშაულებრივ დაჯგუფებად 2007 წლის 20 აპრილს, ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეს ჩამოყალიბდა და ისინი თავს ესხმოდნენ არარუსი ეროვნების ადამიანებს. მკვლელობები განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი. დაღუპულებს დანით მიყენებული მრავალი ჭრილობა აღენიშნებათ. "თეთრი მგლების" წევრები მკვლელობებს მობილური ტელეფონით იღებდნენ და მასალებს ინტერნეტში ათავსებდნენ.

სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. რუსული მედიის ცნობით, სკინჰედების მეთაური ჯავახიშვილი დანაშაულს არ აღიარებს.

მედიანიუსი

სასამართლო დარბაზი

„ამბოხება მზადდებოდა", - დაადასტურეს მოწმეებმა

ნათუნა ჯანგირაშვილი



მუხროვანის ამბოხის საქმის განხილვა კვლავ მოწმეების დაკითხვით გრძელდება. მოწმეთა დაკითხვა, სავარაუდოდ, კარგა ხანს გასტანს, რადგან მარტო ბრალდების მხარის მოწმეთა სიით 110 ადამიანია დასაკითხი.ბუნებრივია, მოწმეთა თავდაპირველ სიას გამოაკლდებიან ის მოწმეები, რომლებსაც იმ 13 განსასჯელის წინაღმდეგ უნდა მიეცათ ჩვენება, რომლებთანაც პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმადა რომელთა საქმეც ცალკე წარმოებად გამოიყო. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასამართლომ 13 განსასჯელს, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, 2, 3, 4, და 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

გუშინდელი სასამართლო სხდომა ბრალდების მხარის იმ მოწმეების დაკითხვას დაეთმო, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მუხროვანის ამბოხის დღეს გავრცელებული ფარული ვიდეოჩანაწერების მთავარი გმირები იყვნენ - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ფარულ ვიდეოჩანაწერებში მუხროვანის ამბოხის მთავარ გმირთან, გია ღვალაძესთან ერთად ფიგურირებდნენ, ამბოხის დეტალებზე საუბრობენ.

თავდაპირველად სასამართლოს ჩვენება მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა, სპეცდანიშნულების რაზმ „დელტას" ყოფილმა წევრმა თამაზ ხომასურიძემ, რომელსაც გია ღვალაძე საკუთარ ჩვენებებში ხშირად ახსენებდა და ახლობელ და „სანდო კაცად" მოიხსენიებდა. გია ღვალაძის თქმით, როდესაც მას კობა ოთანაძემ ამბოხებაში მონაწილეობისთვის საიმედო, მებრძოლი ბიჭების შეგროვება დაავალა, სწორედ მისი ყოფილი დაჯგუფება „დელტას" წევრ თამაზ ხომასურიძეს მიმართა და კარგი წარსულის მქონე, სანდო „ბოევიკების" შეგროვება სთხოვა.

„გია ღვალაძემ მთხოვა, 10 მოხევე მებრძოლი ბიჭი შემეგროვებინა. ამბოხების ზუსტ თარიღს არ მეუბნებოდა. ოთხი დღით ადრე ყველაფერს შეგატყობინებთ, გადაწყვეტილებებს მე არ ვიღებ, გადაწყვეტილებებს ზემოდან იღებენო, მეუბნებოდა ღვალაძე," - განუცხადა სასამართლოს თამაზ ხომასურიძემ, რომელიც, მისივე განმარტებით, დიდი ხნის განმავლობაში პოლიციაში მუშაობის დაწყებას აპირებდა და ამ სტრუქტურაში სწორედ მუხროვანის ამბოხის შემდეგ მოხვდა.

თამაზ ხომასურიძეს გუშინ თითქმის ყველა განსასჯელის ადვოკატმა დაუსვა შეკითხვები. რამდენად რეალურად ეჩვენებოდა მას გია ღვალაძის საუბარი ამბოხთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა რაიმე კონკრეტული გეგმა, ვინ იდგა ამბოხების სათავეში, რა სქემით უნდა ემოქმედათ ამბოხებულებს, რომელი სამხედრო ნაწილები უნდა შეერთებოდნენ გია ღვალაძის მიერ შეკრებილ მებრძოლებს აეროპორტის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ბლოკირებისას - მოწმე ხომასურიძეს ძირითადად ამ შეკითხვებზე უწევდა პასუხების გაცემა.

„გია ღვალაძის საუბარი თავდაპირველად ბევრ ეჭვს ბადებდა, მაგრამ მერე ის ისეთ გარემოებებს და ისეთ ფაქტებს ასახელებდა, რომ დავრწმუნდი, მართლა შემსრულებელი იყო. როგორც კი ამაში დავრწმუნდი, განცხადება დავწერე და პოლიციას მივმართე," - განაცხადა თამაზ ხომასურიძემ.

გია ღვალაძის საუბრის რა ნაწილში ეპარებოდა ეჭვი და რა ნაწილი ეჩვენებოდა დამაჯერებლად, ამ შეკითხვას მოწმემ ასეთი პასუხი გასცა:

„ფულთან დაკავშირებით რასაც ამბობდა, არარეალურად მეჩვენებოდა, დანარჩენს კი სიმართლეს ამბობდა. საუბარი იყო 2-3 მილიონ დოლარზე, რომელიც რუსეთიდან უნდა შემოსულიყო. ფულს თუ ვერ ავიღებდით, ღვალაძე თანამდებობას გვპირდებოდა. ამბობდა, ეს არის დიდი საქმე და ერთად უნდა ვიყოთო. მისი თქმით, ჩვენ უნდა აგვეღო აეროპორტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა. უნდა შევკრებილიყავით გომბორის ტეკთან, სადაც ღვალაძის თქმით, ამბოხებულები შემოგვიერთდებოდნენ. მერე ჩვენ თბილისისკენ დავიძვრებოდით. შსს-სა და გენპროკურატურის ბლოკირება გვევალებოდა. ვინ შემოგვიერთდებოდა ამ საქმეში, არ ვიცი. საუბარი იყო შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის ლიკვიდაციაზეც. ჩემთვის არ უთქვამს, მერაბიშვილს უნდა ესროლოო, მაგრამ ამბობდა, რომ მე და ჩემი მეგობრები ამ საქმისთვის დიდ თანხას მივიღებდით. რომ ვკითხე, ეს როგორ უნდა მოხდესმეთქი, ასე მიპასუხა, სისხლიან საქმეს ჩვენ არ გაგვაკეთებინებენ, ამ საქმეს რუსული სპეცრაზმი მიხედავსო. ის გეგემებს ხშირად ცვლიდა. ერთ დღეს ერთს ამბობდა, მეორე დღეს - მეორეს. ამბობდა, რომ თანამოაზრეები შინაგან საქმეთა სამინისტროშიც იყვნენ და საქმეს ისინიც მიხედავდნენ. ამბობდა იმასაც, რომ როგორც კი ყველაფერი დამთავრდება, საქართველოში ასლან აბაშიძიდან დაწყებული, ლევან მამალაძით დამთავრებული, ყველა ჩამოვაო," - განუცხადა სასამართლოს თამაზ ხომასურიძემ. მას წინასწარი გამოძიებისთვის 5 ჩვენება აქვს მიცემული. ადვოკატები ამ ჩვენებების წინააღმდეგობებითაც დაინტერესდნენ.

ერთ-ერთ ჩვენებაში ხომასურიძე წერს, რომ სერიოზულად არ ეკიდებოდა გია ღვალაძის გეგემებს და აბსურდულად მიაჩნდა.

„ადამიანები ვართ და უნდა ვთქვა, იყო შემთხვევები, როცა გია ღვალაძე მობილური ტელეფონით ვიღაცას ესაუბრებოდა. ტელეფონიდან აშკარად ქალის ხმა ისმოდა, თუმცა, როგორც კი მორჩებოდა ღვალაძე მასთან საუბარს, გვეუბნებოდა - ახლა კობა ოთანაძეს თუ კობა კობალაძეს ველაპარაკეო," - განუცხადა სასამართლოს მოწმემ. ხომასურიძემ ასევე განაცხადა, რომ ის გენერლები, პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, რომლებსაც გია ღვალაძე ახსენებდა, ეჭვი არ ეპარება, რომ ამბოხების საქმეში მართლაც მონაწილეობდნენ. არადა, თავად გია ღვალაძემ, რომელსაც რამდენიმე დღის წინ სასამართლომ საპროცესო გარიგების საფუძველზე ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, მართლმსაჯულებას განუცხადა, გენერლებსა და პოლიტიკოსებს ხომასურიძის მიერ შეგროვილ მებრძოლ ბიჭებთან მხოლოდ იმისთვის ახსენებდა, რომ ისინი ამბოხებისა და მიზნის მიღწევის რეალობაში დაერწმუნებინა.

ისევე როგორც გია ღვალაძემ, ვერც თამაზ ხომასურიძემ აუხსნა სასამართლოს შსს-სა და გენერალური პროკურატურის ბლოკირების სქემა, სტრატეგია და გეგმა. ხომასურიძის თქმით, მან იცოდა მხოლოდ ის, რომ ამ საქმისთვის 20 კაცი უნდა შეგროვებულიყო. ხომასურიძის თქმით, ღვალაძემ მას და მის ბიჭებს განუცხადა, ვინც კი ამ საქმიდან უკან დაიხევდა, საქმე ცუდად წაუვიდოდა, ოჯახებს დაუხოცავდნენ და გაანადგურებდნენ.

„ხომ არ გრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ, გია ღვალაძე ფსიქიკურად ჯანმრთელი არ იყო?" - ეს შეკითხვა მოწმესთან თითქმის ყველა განსასჯელის ადვოკატს გაუჩნდა. **„დამერწმუნეთ, გია ღვალაძე ძალიან ჭკვიანია,"** - ასეთი პასუხი მიიღეს თამაზ ხომასურიძისგან შეკითხვის ავტორებმა.

თამაზ ხომასურიძის გარდა, გუშინდელ სასამართლო სხდომაზე კუდი-ს ორი თანამშრომელი დაიკითხა. ზვიად კუპრეიშვილმა და შალვა კვარაცხელიამ სასამართლოს განუმარტეს, რომ მარტის თვეში ისინი განყოფილების უფროსმა დაიბარა საკუთარ კაბინეტში და აუხსნა, რომ სახელწმიფო გადატრიალება მზადდებოდა.

„არის ასეთი პიროვნება, გია ღვალაძე, რომელმაც თამაზ ხომასურიძეს მებრძოლი ბიჭების შეგროვება დაავალა. ამ ბიჭების როლი უნდა ითამაშოთ და გაარკვიოთ, ვინ უნდა მიიღოს ამბოხებაში მონაწილეობა და როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი - გვითხრა უფროსმა. იმავე დღეს გადავინაწილეთ როლები და შევხვდით ღვალაძეს ხომასურიძის საცხოვრებელ ბინაში, სადაც უკვე ჩამწერი იყო დამონტაჟებული. ერთი ჩამწერი მოწყობილობით თავად ხომასურიძე იყო აღჭურვილი. ღვალაძეს ჩვენს სანდოობასა და ერთგულებაში ეჭვი რომ არ შეპარვოდა, ავუხსენით, რომ ამ ხელისუფლებაზე განაწყენებული ვიყავით. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიგვეღო," - განუცხადეს სასამართლოს კუდი-ს თანამშრომლებმა. ისევე როგორც თამაზ ხომასურიძემ, მათაც გაიმეორეს, რომ ღვალაძის საუბარი თავდაპირველად არარეალურად ეჩვენათ, თუმცა მის მიერ დასახელებული ფაქტების გამო, მოგვიანებით, ამბოხების მზადებას დამაჯერებლობა მიეცა. თუმცა, ისევე როგორც თამაზ ხომასურიძემ, ვერც ზვიად კუპრეიშვილმა და შალვა კვარაცხელიამ ვერ ახსნეს ის სტრატეგია და ზუსტი გეგმა, რომლითაც გია ღვალაძეს და „მის ხალხს" აეროპორტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა უნდა აეღოთ. ვერც ამბოხების სულისჩამდგმელი დაასახელეს და ვერც ის დააკონკრეტეს, როგორ უნდა შემოსულიყო 2-3 მილიონი დოლარი ტომრებით რუსეთიდან - ყაზბეგის გავლით, თუ ცხინვალიდან.

ციხის ბუნტში ბრალდებულების პროცესზე დირექტორი დაიკითხება

თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვა პროცესებიც მიმდინარეობს. დღეს ციხის ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებული ქალების სასამართლო პროცესი განახლდება და მასზე ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულების დირექტორი მედიკო ალანია დაიკითხება.

მედიკო ალანია დაზარალებულის სტატუსით დაიკითხება. დღესვე იგეგმება კიდევ ერთი დაზარალებულის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის დაკითხვა. მათი დაკითხვის შემდეგ სასამართლო მოწმეთა ჩვენებების მოსმენის ეტაპზე გადავა.

პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს 10საათზე განახლდება. ციხის ბუნტში განსასჯელი 38 ქალია. ბუნტი N5 დაწესებულებაში 2009 წლის 19 აპრილს მოხდა.

სასამართლო პროკურორისა და ადვოკატის სიტყვას მოისმენს

თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს კიდევ ერთი პროცესი განახლდება. საუბარია დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" წევრ გოჩა წიკლაურის პროცესზე.

განსასჯელის ადვოკატი დღევანდელ სხდომაზე დააყენებს შუამდგომლობას და მოითხოვს, მთავარი მტკიცებულების, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობას. მისი თქმით, შუამდგომლობა დაეფუძნება არგუმენტს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით - ჩხრეკის საჭიროება არ იყო და ამიტომაც, არ უნდა ჩატარებულიყო ამ საბაბით.

დღესვე სახელმწიფო ბრალმდებელი თავის სიტყვას იტყვის და ბრალდებულისთვის სასჯელს მოითხოვს. პროკურორის სიტყვის შემდეგ, სასამართლო ადვოკატების დაცვით სიტყვას მოისმენს.

გოჩა წიკლაური შსს-ს ყოფილი თანამშრომელია. ის იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 2009 წლის 6 ივნისს დააკავეს.

ფხენიანი მოლაპარაკებისთვის მზად არის

ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ვენ ძიაბაო და ჩრდილოეთ-კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი

ჩრდილოკორეული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ფხენიანი მზად არის, დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამის შესახებ.

სააგენტო „კსნა“-ს ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა ამის შესახებ ჩინეთის პრემიერ-მინისტრ ვენ ძიაბაოს აცნობა, რომელიც ფხენიანში ვიზიტით იმყოფება. მაგრამ კიმ ჩენ ირმა დაამატა, რომ ჩრდილოეთ კორეის ეს ნაბიჯი დამოკიდებული იქნება აშშ-სთან ორმხრივი მოლაპარაკების მიმდინარეობაზე.

თავის მხრივ ვაშინგტონმაც გამოაცხადა მზადყოფნა ასეთი მოლაპარაკებების დასაწყებად. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელ იენ კელის სიტყვებით, ვაშინგტონის მიზანია ფხენიანის დარწმუნება, რომ დაადგეს კორეის ნახევარკუნძულის არაბირთვულ ზონად გადაქცევის გზას. კელის სიტყვებით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება ექვსმხრივი მოლაპარაკებებია. ჩრდილეთ კორეის ბირთვული პროგრამის ექვსმხრივ მოლაპარაკებებში, აშშ-სა და ჩინეთის გარდა, მონაწილეობენ რუსეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა.

აპრილში ფხენიანმა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს განცხადებაზე პროტესტის ნიშნად, უარი განაცხადა ექვსმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. გაერო-მ მაშინ ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტის გაშვება დაგმო.

საინფორმაციო სააგენტო „კსნა“ აქვეყნებს კიმ ჩენ ირის სიტყვებს, რომლის თანახმადაც, „ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის არსებული მტრული ურთიერთობა გადაუდებელი ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად მშვიდობიან კავშირად უნდა იქცეს“. **„ჩვენ გამოვხატავთ მზადყოფნას მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დაწყება დამოკიდებული იქნება ჩვენი მოლაპარაკების შედეგზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან.“** კორეის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ **„უცვლელი რჩება ჩვენი მიზანი - მოხდეს კორეის ნახევარკუნძულის სრული გათავისუფლება ბირთვული იარაღისგან“.**

თავის მხრივ, ჩინეთის სააგენტო სინხუა იუწყება, რომ **„ვენ ძიაბაომ და კიმ ჩენ ირმა კორეის ნახევარკუნძულის არაბირთვულ სტატუსზე ურთიერთგაგებას მიაღწიეს“.**

ვენ ძიაბაო ჩრდილოეთ კორეაში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება. ვიზიტი, ჩინეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 60 წლის იუბილეს ეძღვნება.

აღნიშნული ვიზიტი მიმომხილველებს ჩრდილეთ კორეის ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და ამის დასტურად ის ფაქტი მოჰყავთ, რომ ვენ ძიაბაოს კიმ ჩენ ირი თავად დახვდა ფხენიანის აეროპორტში.

პირველივე დღეს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. შემდეგ ორი ქვეყნის ლიდერი ფხენიანში ოპერას ეწვია, სადაც „მეგობრული საუბარი“ ჰქონდათ.

ჩინეთი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უახლოესი მეგობარი და ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. სექტემბერში ჩინეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ კიმ ჩენ ირი ჩინეთის ელჩს შეხვდა, რომელსაც განუცხადა, რომ ჩრდილეთ კორეას სურს თავისი ბირთვული პროგრამის განხილვა და თანმხლები საკითხების გადაწყვეტა ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით.

მოამზადა თამთა კახაძემ

საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთის ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ

რუსეთში პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს 22 ჟურნალისტი

დღეს ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან სამი წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, რუსეთის ოპოზიციური ძალები, გარი კასპაროვის ხელმძღვანელობით, საპროტესტო მიტინგს გეგმავენ, რომელიც მოსკოვში, მეტრო "ჩისტიე პრუდისთან" გაიმართება.

ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან სამი წელი გავიდა

გუშინ კი, ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან სამი წლის შემდეგ, საქმეში ახალი ეჭვმიტანილი გამოჩნდა. `ამჟამად გამოძიება მტკიცებულებებს აგროვებს, სამი წლის წინათ მომხდარ მკვლელობაში მათი მონაწილეობის თაობაზე,“ - ამის შესახებ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს „ნოვაია გაზეტას“ შეფ-რედაქტორმა სერგეი სოკოლოვმა მიაწოდა ინფორმაცია.

„მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გამოძიების მხედველობის არეში მოხვდნენ პირები, რომელთა სახელებიც არ გახმაურებულა საჯაროდ. დარწმუნებული ვარ, მათი ბრალეულობა გამოიკვეთება და ისინი კანონის მთელი სიმკაცრით პასუხს აგებენ,“ - განაცხადა სერგეი სოკოლოვმა.

რამდენიმე თვის წინ, მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის გადაწყვეტილებით, პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ბრალდებული სამი პირი - იბრაგიმ და ჯაბრიელ მახმუდოვები და შსს-ს ყოფილი თანამშრომელი სერგეი ხაჯიყურბანოვი გამართლდა. ნაფიცმა მსაჯულებმა რუსეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი პაველ რიაგუზოვიც გაამართლეს. თუმცა, განაჩენი პროკურატურამ უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საოლქო სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმეს და საქმე ხელახალ გამოძიებაში დააბრუნეს. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა ძებნა გამოაცხადეს მახმუდოვების ძმაზე - რუსტამ მახმუდოვზე, რომელსაც გამოძიება ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემსრულებლად მიიჩნევს. იგი სხვა გაუხსნელ დანაშაულებშიცაა ეჭვმიტანილი.

სოკოლოვის განცხადებით, ახლახან გამოძიების მიერ მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოცხადებული სწორედ რუსტამ მახმუდოვი უნდა იყოს, რომელიც უცხოეთს აფარებს თავს. მისივე ინფორმაციით, გამოძიებას იგი ზაფხულში, ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, შეეძლო დაეკავებინა, თუმცა მას სხვა ქვეყანაში გადასვლის საშუალება მისცეს. ჟურნალისტის შკითხვაზე, მხედველობაში აქვს თუ არა ბელგია, სოკოლოვმა უპასუხა: „უკომენტაროდ.“

„ქილერობაში ეჭვმიტანილის დაკავება ჯერ კიდევ აპრილში შეიძლებოდა, თუმცა მან გაქცევა მაშინაც მოახერხა,“ - განაცხადა სოკოლოვმა.

გამოძიების ინფორმაციით, რუსტამ მახმუდოვი 1997 წლიდან იმალება, როცა მან ფულის გამოძალვის მოტივით ადამიანი გაიტაცა. ანა პოლიტკოვსკაიას საქმის გამომძიებლის პეტროს გარიბიანის განცხადებით, **„გამოძიებას არ მოეპოვება ინფორმაციები რუსტამ მახმუდოვის მფარველობაში სპეცსამსახურების მონაწილეობის თაობაზე.“**

ძმები მახმუდოვების ადვოკატის განცხადებით კი, რუსტამ მახმუდოვი მზადაა, გამოცხადდეს და გამოძიებას მისცეს ჩვენება პოლიტკოვსკაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, თუ მას ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემენ.

ანა პოლიტკოვსკაიას შვილებს, არ სჯერათ, რომ მათი დედის მკვლელები დაისჯებიან.

„მკვლელობიდან სამი წელი გავიდა, ჩვენ იმედი დავკარგეთ, რომ მკვლელობის შემკვეთები და შემსრულებლები დაისჯებიან. გამოძიებას ამჯერად, ბოლო შანსი გააჩნია,“ - აცხადებენ ანა პოლიტკოვსკაიას შვილები.

ანა პოლიტკოვსკაია 2006 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში მოკლეს. გამოძიების ვერსიით, ჟურნალისტის მკვლელობა მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-მა რუსეთის პრეზიდენტს მიმართა წერილით და განაცხადა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან სამი წლის შემდეგაც, ადამიანის უფლებების დამცველები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას აკრიტიკებდნენ, ძალადობისა და დაშინების მსხვერპლი უფრო და უფრო ხშირად ხდებიან და მათზე განხორციელებული თავდასხმის საქმეები გამოუძიებელია.

რუსეთის პრეზიდენტს სამშაბათს წერილი გაუგზავნა ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრების გარეშემაც.“ წერილში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ანა პოლიტკოვსკაიას და სხვა ადამიანის უფლებების დამცველთა მკვლელობების საქმეები არ გამოიძია, რაც სამწუხაროა. ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო წლებში პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, რუსეთში 22 ჟურნალისტია მოკლული.

ისრაელის მინისტრს ბრიტანეთში დაპატიმრების ეშინია

ისრაელის მთავრობის ვიცე-პრემიერმა და მინისტრმა სტრატეგიულ საკითხებში მოშე იაალონმა დიდი ბრიტანეთში დაგეგმილი ვიზიტი სამხედრო დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრების საშიშროების გამო გააუქმა. საქმე ეხება 2002 წელს ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას, როდესაც სამხედრო-საჰაერო ძალების შეტევისას "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი სალახ შეხადა გაანადგურეს. დაზვერვის შეცდომის გამო ამ ოპერაციას 14 მშვიდობიანი მოქალაქეც შეეწირა, მათ შორის 8 ბავშვი. მოშე იაალონს მაშინ გენშტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისტებმა მას განუმარტეს, რომ რადგან ინგლისში ებრაული საქველმოქმედო ორგანიზაციის კერძო მოწვევით მიემგზავრებოდა, დიპლომატიური ხელშეუხებლობით ვერ ისარგებლებდა. იაალონს ურჩიეს, ანტიებრაული პროპაგანდის ხელში სათამაშოდ არ ქცეულიყო.

პალესტინელები და მათი ევროპელი მხარდამჭერი აქტივისტები ცდილობენ, ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლები ევროპის ქვეყნებში ვიზიტების დროს დააპატიმრებინონ. ამა თუ იმ ფორმით კი სამხედრო დანაშაულის ნიშნები ახლო აღმოსავლეთში ჩატარებულ ოპერაციათა უმრავლესობას ახლავს, მიუხედავად იმისა, მას "ჰამასი" ატარებს თუ ისრაელის არმია. ცხადია, შემფასებლის პოზიციასაც გააჩნია. ცოტა ხნის წინ გაერო-ს ეგიდით და რიჩარდ გოლდსტოუნის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გამოძიებამ სამხედრო დანაშაულში ორივე მხარეს დასდო ბრალი, თუმცა ისრაელის ხელისუფლება ამ დასკვნას არ ეთანხმება.

ბრიტანეთის სასამართლოები სამხედრო დანაშაულთან მიმართებაში "უნივერსალური იურისდიქციის" პრინციპით ხელმძღვანელობენ. განსახილველად იღებენ ნებისმიერ საქმეს, ბრალდებულის მოქალაქეობისა და დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად.

ბაქოში აზერბაიჯანელი და ლიბანელი ტერორისტები გაასამართლეს

აზერბაიჯანის დედაქალაქში ორი ლიბანელისა და ოთხი აზერბაიჯანელისგან შემდგარი ჯგუფი გაასამართლეს. ისინი რამდენიმე ტერაქტის მომზადებაში არიან ბრალდებულები. ჯგუფს სურდა აზერბაიჯანში ისრაელის საელჩოს, აგრეთვე გაბალის რადიოსალოკაციო სადგურის აფეთქება, რომელიც იჯარით რუსეთს აქვს გადაცემული და რომლითაც ისინი ბალისტიკური რაკეტების სტარტს აფიქსირებენ. ჯგუფის წევრები საელჩოს აფეთქებას შარშან, ისრაელის სახელმწიფოს იუბილეს დროს აპირებდნენ ამისთვის საელჩოს წინ ბინაც დაიქირავეს და იარაღი და ასაფეთქებელი საშუალებებიც მოიმარაგეს. მათვე აღმოაჩნდათ გაბალას რადიოსალოკაციო სადგურის სურათები. დაჯგუფების წევრებს ბრალდებათ კავშირი "ჰეზბოლასა" და "ალ კაიდასთან", რომელთა ინიციატივითაც იგეგმებოდა ტერაქტები. მათ შპიონაჟი და იარაღის უკანონო შესყიდვაც ედებათ ბრალად.

კადიროვმა "მემორიალს" სასამართლოში საქმე მოუგო

მოსკოვის ტვერის რაიონის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის სარჩელი ადამიანის უფლებათა დამცველი ცენტრის ხელმძღვანელ ოლეგ ორლოვის წინააღმდეგ. ოლეგ ორლოვის გამონათქვამები კადიროვის პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნიეს. ორგანიზაცია "მემორიალს" კადიროვის სასარგებლოდ, მორალური კომპენსაციისთვის 50 ათასი რუბლის გადახდა დაეკისრა, თვითონ ორლოვს - 20 ათასი რუბლის. ამას გარდა, "მემორიალმა" თავის საიტზე უნდა უარყოს კადიროვის მისამართით გაკეთებული განცხადებები.

ჩეჩნეთის პრეზიდენტი აღაშფოთა ორლოვის იმ განცხადებამ, რომელშიც "მემორიალის" ხელმძღვანელმა კადიროვს ესტემიროვას მკვლელობაზე პასუხისმგებლობა დააკისრა. ცნობილი ჩეჩენი ადამიანის უფლებათა დამცველი ნატალია ესტემიროვა 15 ივლისს გროზნოში გაიტაცეს და შემდეგ მისი გვამი ინგუშეთში იპოვეს.

ოლეგ ორლოვი სასამართლო განაჩენს არ ეთანხმება და მის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებს. "მემორიალის" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებლობაზე ლაპარაკისას გულისხმობს ზოგადად ჩეჩნეთში შექმნილ ატმოსფეროს და კადიროვის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და არა მის უშუალო მონაწილეობას მკვლელობაში. ორლოვი საკუთარ აზრზე რჩება და ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ფარული კონფლიქტი

პირველი გვერდიდან

ამ ისტორიაში ყველაზე გამაოგნებელი ის ფაქტია, რომ მიმდინარე მოვლენებში ამდენი ქვეყნის მონაწილეობისა და ამდენი მოქმედი პირის მიუხედავად, ინფორმაცია თითქმის არ გაჟონილა. "თითქმის" იმიტომ, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში ისრაელის სპეც-სამსახურებთან დაახლოებული წყაროსგან რაღაც ინფორმაცია მაინც გავრცელდა, რამაც მხოლოდ ცეცხლზე ნავთი დაასხა. ისრაელის სპეცსამსახურებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ხომალდს ირანისთვის საზენიტო-სარაკეტო დანადგარები "C-300" გადაჰქონდა, ისრაელმა ამის შესახებ რუსეთს შეტყობინება გაუგზავნა და მიწოდების შესაჩერებლად დრო მისცა.

როდესაც ისრაელის პრემიერი რუსეთში საიდუმლო ვიზიტით ჩავიდა, რასაც წინ ამავე ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი უძღოდა, ძალიან ბევრმა ეს ვიზიტები სწორედ "არქტიკ სი"-ს ირგვლივ არსებულ ვითარებას დაუკავშირა.

თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ მოვლენებს, რომლებიც ბენიამინ ნეთანიაჰუს მოსკოვურ ვიზიტს მოჰყვა - ამერიკის უარი აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებაზე, რუსეთის განცხადება ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესაძლებლობაზე, ირანის მიერ რაკეტების გამოცდა და ამერიკელების განცხადება, რომ ირანს უახლოეს მომავალში ექნება ან უკვე აქვს ბირთვული იარაღის შესაქმნელად საჭირო ურანი, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ისრაელის ოფიციალურ პირთა გააქტიურება სწორედ ამ საკითხებმა განაპირობა და არა იმან, რაც ხომალდის ირგვლივ ხდებოდა.

ვარაუდი, რომ "არქტიკ სი"-ს მეშვეობით რუსული კრიმინალური სტრუქტურები ქვეყნის ოფიციალური პირების გვერდის ავლით ირანს საიდუმლო ტვირთს აწვდიდნენ, ბევრ კითხვას იწვევს. წარსულში რუსეთის ხელისუფლებას იარაღის უკანონოდ გაყიდვის აღკვეთის შესახებ არაერთხელ განუცხადებია და ახლაც რა საჭირო იყო "არქტიკ სი"-ს ისტორიის ასეთი გასაიდუმლოება ნაცვლად იმისა, რომ მომხდარის შესახებ ჩვეულებრივი მოხსენება დაწერილიყო და რუსეთის შესაბამის ორგანოებს კრიმინალთან ბრძოლაში მიღწეული მორიგი წარმატება ღიად აღენიშნათ?

გარდა ამისა, იარაღის საიდუმლოდ გადაზიდვის ვარაუდის წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე არგუმენტი მეტყველებს. კონკრეტულად კი, თუ რუსეთს მართლაც სურდა ირანისთვის "C-300"-ის მიწოდება, რა საჭირო იყო მისი "არქტიკ სი"-ზე მოთავსება, რომელსაც ირანში იარაღის ჩასატანად დიდი გზა უნდა გაევლო და მსოფლიოში ყველაზე მეტად კონტროლირებადი ხმელთაშუა ზღვა უნდა გადაეკვეთა, როდესაც ტვირთვის გადაზიდვა უმოკლესი გზით - კასპიის ზღვის გავლით იყო შესაძლებელი?

რაც შეეხება შვედეთის ტერიტორიულ წყლებს, რომელში შესვლის დროსაც "არქტიკ სი"-ს ბორტზე უცხო ადამიანები აღმოჩნდნენ, ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ წყლები შვედეთის სანაპირო დაცვისა და სამხედრო ფლოტის მიერ მკაცრად კონტროლდება. გემზე მოგვიანებით ასულ ადამიანებს რუსეთის ხელისუფლება მეკობრეებად მიიჩნევს, თუმცა როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან შვედეთის სანაპირო პოლიცია დეტალურად იკვლევს წყლებში მოხვედრილ თუნდაც მცირე ობიექტის მგზავრთა ვინაობას. გარდა ამისა, მეკობრეები ამ წყლებში ესტონეთიდან ან რუსეთიდან პატარა ნავით ვერ ჩავიდოდნენ, არადა, არსებული ინფორმაციით, მეკობრეები სწორედ პატარა ნავით გადაადგილდებოდნენ. გარდა ამისა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ხომალდის ეკიპაჟს ნაპირთან დაკავშირების და მათთვის ინფორმაციის მიწოდების რამდენიმე საშუალება ჰქონდა. ასეთი სიგნალის მიღების დროს კი, საერთაშორისო საზღვაო ბიუროს წარმომადგენლის განცხადებით, საფრთხეში მყოფი გემისთვის დახმარების აღმოჩენა სულ რამდენიმე წუთში შეიძლებოდა. ამასთანავე, ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ თუ ასეთი აუცილებლობა გაჩნდებოდა, "არქტიკ სი" დანიის წყლებში ან ლა-მანშშიც შეძლებდა გაჩერებას.

ერთი მხრივ, არ არსებობს საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ გემზე საეჭვო რამ ხდებოდა. უცხო პირების მიერ გემის გატაცების შემთხვევაში შეიძლებოდა ეკიპაჟს ეს ფაქტი სანაპიროსთვის რამდენიმე მიზეზის გამო ვერ შეეტყობინებინა. ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ შესაძლოა, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. საზღვაო უსაფრთხოების კონსულტანტი პიტერ კუკი მიიჩნევს, რომ ეკიპაჟის წევრებს შეიძლება მართლაც ეფიქრათ, რომ ამ ხალხს დახმარება სჭირდებოდათ და გაშლილი ხელებით მიეღოთ უცხო ხალხი.

გემის კრიმინალური ორგანიზაციის მიერ გატაცების ვერსიას განუხრელად იცავს გემის მფლობელი კომპანია "სოლჩარტის" (Solchart) წარმომადგენელი ვიქტორ მატვეევი. ამ ვერსიას ადასტურებს სადაზღვევო კომპანია "დაზღვევა რენესანსში" 3 აგვისტოს, გემის გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში განხორციელებული ზარი. ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანმა სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლებს განუცხადა, რომ "არქტიკ სი" გატაცებული იყო და თუ კომპანია გასმოსაყიდის სახით 1.5 მილიონ აშშ დოლარს არ გადაიხდიდა, ეკიპაჟის წევრებს დახოცავდნენ, გემს კი ჩაძირავდნენ. კომპანიაში აცხადებენ, რომ ზარის შემდეგ "კომპეტენტურ ორგანოებს დაუკავშირდნენ და მათთან გემის პოვნამდე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ."

საზღვაო ექსპერტები ამ ვერსიას უნდობლობას უცხადებენ. გარდა ამისა, ასეთი ვერსიის წინააღმდეგ ისიც მეტყველებს, რომ გემის პოვნის შემდეგ მისი ეკიპაჟის წევრებს კატეგორიულად ეკრძალებათ პრესასთან საუბარი, რაც მეკობრეობის შემთხვევაში მანამდე არასდროს მომხდარა. ასევე საინტერესოა, რომ მიახლოებული რუსული სამხედრო გემებისგან თავის დაცვის ნაცვლად, მეკობრეები უბრძოლველად დანებდნენ. მსგავსი რამ კი მეკობრეებს არ სჩვევიათ.

ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ "არქტიკ სი"-ს შემთხვევა კომერციული დავის ნაწილია და "სოლჩარტის" თამაშგარე მდგომარეობაში დატოვების მცდელობას წარმოადგენს. მსგავს შემთხვევაში კომპანიას არა მხოლოდ რეპუტაცია ელახება, არამედ დამატებითი მძიმე ფინანსური ვალდებულებებიც ეკისრება.

ამ დროისთვის "არქტიკ სი"-ს ზღვაში გასვლა აკრძალული აქვს. მისი ხელახალი ექსპლუატაციისთვის ახალი ინსპექციის ჩატარებაა აუცილებელი. არ არის გამორიცხული, გემს შეკეთებაც დასჭირდეს, რაც რამდენიმე ათეული ათასი დოლარი დაჯდება. ამას ემატება გემის პორტში დგომის საფასურიც და ჯარიმა ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩაუტანლობის გამო.

დაზღვევის თანხის გადახდაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც არ არის, რადგან სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებს გემის დათვალიერების საშუალება არ ჰქონიათ.

საბოლოო ჯამში, შესაძლოა სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფინური კომპანიის კუთვნილი გემი, რომელიც მალტის დროშის ქვეშ დაცურავს, ჯერ კიდევ რუსეთის წარმომადგენლების ხელშია - ფინანსური ჯარიმების საკუთარ თავზე აღება არც ერთ მხარეს არ სურს.

შესაძლოა "არქტიკ სი"-ს საიდუმლოს ამოხსნაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს იმ ამბის გარკვევა, დაკავებული რვა პიროვნება მართლაც ეკოლოგები არიან, როგორც თვითონ და მათი ადვოკატები აცხადებენ, თუ მეკობრეები, როგორც ამას რუსული მხარე ამტკიცებს.

გაერო-ს საზღვაო უფლებათა კონვენციის თანახმად, ქვეყანას, რომელიც გატაცებულ ხომალდს და მის ეკიპაჟს გაათავისუფლებს, უფლება აქვს, გემი დაათვალიეროს და მასზე მყოფი ადამიანები და ტვირთი დაკავოს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მეკობრეების თავდასხმა მხოლოდ ინსცენირება იყო, რომელმაც რუსეთს მალტის დროშის ქვეს მცურავი გემის დაკავებისა და მასზე არსებული ტვირთის ჩამორთმევის საშუალება მისცა. თუმცა ბორტზე გარეშე პირების ასვლის შემდეგ "არქტიკ სი" არც ერთ პორტში არ შესულა და რუსულმა სპეცსამსახურებმა ხომალდი ღია ზღვაში დაათვალიერეს. ექსპერტთა აზრით კი, ასეთ პირობებში ლეგალური ტვირთიდან საიდუმლო ტვირთის გამორჩევა და მისი სხვა გემზე გადატანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან ეს ძალიან რთულია და რისკი ზედმეტად დიდია.

ამ ისტორიაში კითხვა გაცილებით მეტია, ვიდრე თუნდაც სავარაუდო პასუხი. თუმცა, იქნებ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ არავითარი ისტორია არ არსებობს. სინამდვილეში არავითარი საიდუმლო ტვირთი არ ყოფილა და სწორედ ამიტომ, რუსეთი უკვე დიდი ხანია მზად არის, გემი მფლობელ კომპანიას დაუბრუნოს, რომელიც მის მიღებაზე, ფინანსური ზარალის შშითა, უარს აცხადებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საეჭვო ტვირთი არ არსებობდა, ერთადერთი მიზეზი, რამაც რუსეთის ასეთი დაინტერესება გამოიწვია, რუსული ეკიპაჟის გადარჩენაა, რათა წინა ისტორიებიდან მიყენებული ჩრდილი მოეშორებინა და მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, თუ როგორც ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია - კერძოდ ის, რომ არავითარი ინფორმაციის გაჟონვა არ მომხდარა და ეს ყველაფერი რეალობის დამალვის გზაა, ხოლო დასამალი მართლაც ბევრი რამ არის. ამ ვერსიას კი ის ამყარებს, რომ რუსეთის გარდა ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ საკითხზე პრესასთან აქვს ურთიერთობა, მალტაა, რომლის დროშითაც "არქტიკ სი" დაცურავდა. იქნებ სწორედ მალტიდან გაცემული პასუხები იქცეს ამ ისტორიის საიდუმლოს ამოხსნის ერთადერთ გზად.

არ არის გამორიცხული, რომ ეს მაინც სპეცსამსახურების მიერ კარგად დაგეგმილი და ჩატარებული "ორმაგი" ოპერაცია იყოს (ჯერ მიწოდება, შემდეგ შეჩერება). თუ მართალია ვერსია, რომ ამ გემით "C-300" არალეგალურად გადაჰქონდათ, მაშინ ბევრი რამე ნათელი გახდება. თითქმის წარმოუდგენელია, რომ "C-300" შემთხვევით ხალხს ჩავარდნოდა ხელში. თუ ამ გემზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ეს თანამედროვე სისტემა მართლაც დაიტვირთა, ესე იგი ეს რუსეთის სპეცსამსახურების კონტროლით განხორციელდა. რუსებს შეიძლება ხელს არ აძლევდათ ირანისთვის ამ იარაღის პირდაპირ კასპიის ზღვით მიწოდება, ხოლო რაც შეეხება კონტროლს, სულაც არ არის აუცილებელი მიწოდება კარგად კონტროლირებადი ხმელთაშუა ზღვის გავლით განხორციელებულიყო, ირანს ხომ სპარსეთის ყურეშიც აქვს გასასვლელი. თუ ეს ოპერაცია გაიშიფრა და მისი შეჩერება ისრაელმა რუსეთს საიდუმლო ვიზიტის დროს მოსთხოვა, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ არ ატეხა გემის ე.წ. "ეკიპაჟმა" განგაში ხომალდზე სპეცსამსახურების რაზმის, ვითომ მეკობრეების ასვლისას ან რატომ "დაათვალიერეს" გემი ღია ზღვაში, ან რატომ უკრძალავენ ეკიპაჟს პრესასთან ურთიერთობას" საზღვაო პროცედურები და კომერციული ჯარიმები კი ასეთ დროს შეიძლება მხოლოდ საფარველი იყოს, ბოლოს და ბოლოს მისი გადამხდელიც "მოიძებნება".

რევიუ

ილიაზდი ბრუნდება...

პირველი გვერდიდან

ანა ჯაფარიძის ფოტო

და პიკასოზე მომაგონდა, ეს გამოფენა ძალიან ბევრი საქმეში ჩახედული ქართველისთვის, მკვლევარისთვის პიკასოს ამჟამად თბილისში დასრულებულ ექსპოზიციაზე საინტერესო შეიძლება გამოდგეს... და აი რატომ. ზდანევიჩების შესახებ ყველას ბევრი რამ სმენია, აქა-იქ ყურმოკრული, გაგონილი, ამოკითხული. ერთი ცნობილია - ამ ადამიანების მნიშვნელობა, მაგრამ დეტალები? - არა!

ძმები ზდანევიჩების გამოფენას, რომელიც საქართველო-საფრანგეთის, კონკრეტულად საფრანგეთის კულტურის ცენტრის, ეროვნული მუზეუმის, ზდანევიჩების შთამომავლებისა და თბილისის სააუქციონო სახლის ერთობლივი პროექტია, ხვალიდან შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი უმასპინძლებს.

ვინ არიან ძმები ზდანევიჩები, როგორც ვიტყვით ხოლმე, ერთი თვალის შევლებით? - ისინი რომლებმაც ფიროსმანი იპოვნეს, ისინი, ვინც მისი სახელი ევროპაში გაიტანეს, პიკასომდეც მიიტანეს... თბილისელი ნიჭიერი ორი ახალგაზრდა, რომელსაც სხვა ქართველი ავანგარდისტების მსგავსად დიდი იმედებით წავიდნენ საქართველოდან 1918 წელს და მათდა გასაოცრად, სულ სხვა საქართველოში დაბრუნდნენ. რადიკალური ცვლილებები მაშინ იმაზე სწრაფად მოხდა, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა. მაგრამ რომ არა ასე, იქნებ არც ილიაზდი (ილია ზდანევიჩი) გამოჩენილიყო ევროპული, კონკრეტულად კი ფრანგული კულტურის ავანსცენაზე, როგორც მწერალი - დადისტი პოეტი, გამომცემელი, თანამედროვე გაგებით - კურატორი. ილიაზდი, ადამიანი, რომელმაც უკვე 1992 წლიდან გარშემო შემოიკრიბა მთელი ევანგარდისტული პროცესების მამები. ილიაზდი, რომელიც გახდა ერთ-ერთი ყველაზე ექსტრაორდინალური გამომცემელი, ტიპოგრაფიის დიდი ოსტატი, რომელთანაც თანამშრომლობდნენ პიკასო, მირო, ერნსტი... არანაკლებ საინტერესო პიროვნება და ხელოვანი გახლდათ კირილე ზდანევიჩი, - ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. ავანგარდის განმსაზღვრელი საქართველოში და არა მხოლოდ...

გუშინ ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში ზდანევიჩების გამოფენასთან დაკავშირებით ერთგვარი მიღება შედგა. ორგანიზატორებს შორის, რომლებიც მედიასაზოგადოებას მასპინძლობდნენ, გახლდათ ილია ზდანევიჩის ერთ-ერთი მემკვიდრე - ფრანსუა მერე. სწორედ მისი საარქივო მასალები დაემატა საექსპოზიციოდ ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან ამოგებულ ზდანევიჩების ნამუშევრებს. ფრანსუა მერე ილიაზდის ბოლო მეუღლის ვაჟია, თუმცა ილია ზდანევიჩს თავადაც ჰყავს შთამომავლები. შარლ (შალვა) ზდანევიჩი ამჯერად თბილისში არ ჩამოსულა, განსხვავებით 1989 წლის გამოფენისა, როდესაც ზდანევიჩების გვარის გამგრძელები ექსპოზიციას ჩამოჰყვა...

1989 წლის გამოფენა გუშინ ბევრჯერ გაიხსენეს. აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმ წლის სირთულისა და ტრაგიკულობისა, ზდანევბიჩების გამოფენა მაშინ მაინც შედგა. ერთია მხოლოდ, ფართო საზოგადოების მეხსიერებაში მაშინდელმა ექსპოზიციამ კვალი ვერ დატოვა, გასაგები მიზეზების გამო. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ 2009 წლის გამოფენა სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენს.

საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშე საქართველოში, ჟოელ ბასტენერი ზდანევიჩების გამოფენას ერთი სათაურის მქონე პროცესში მოიაზრებს. ამ პროცესს ქართულ-ფრანგულ კულტურათა დიალოგი შეიძლება ვუწოდოთ:

„ჯერ იყო ფიროსმანის გამოფენა საფრანგეთში, შემდეგ პიკასო - საქართველოში. ზდანევიჩების გამოფენა ამ ყველაფრის ნაწილია. ლოგიკური ეტაპი. სწორედ ზდანევიჩები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ფიროსმანისა და პიკასოს დაკავშირებით, დააახლოეს ფრანგული და ქართული ავანგარდისტული კულტურა. თქვენ კარგად იცით ზდანევიჩები, როგორც ქართველი ხელოვანები, ადამიანები, რომლებმაც ქართული კულტურისთვის იმოღვაწეს, მაგრამ ვფიქრობ, არ არის კარგად ცნობილი ის, თუ რა ძალიან დიდი როლი ითამაშა ილია ზდანევიჩმა მეოცე საუკუნის ფრანგულ კულტურაში...“

სავარაუდოდ ამ როლის მნიშვნელოვნებასა და დეტალებს დამთვალიერებლისთვის თავად ექსპოზიცია მოჰფენს ნათელს, თუმცა გამოფენის გახსნაზე წარმოდგენილი იქნება კატალოგიც, მე მას უფრო წიგნს ვუწოდებდი, რომელიც ეროვნული მუზეუმის გამოცემაა და სწორედ მუზეუმის თანამშრომლების ნაშრომებს მოიცავს.

ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა დავით ლორთქიფანიძემ, უპირველესად მადლობა გადაუხადა ფრანგული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს ამ გამოფენის გამართვის იდეისთვის და შემდეგ მანაც ამ პერსონების მნიშვნელობაზე მოგვახსენა, ოღონდაც განსხვავებული კუთხით. მისთვის კირილე და ილია ზდანევიჩების გამოფენა არ არის მხოლოდ ესთეტიკა, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტიც გახლავთ.

ამ პროექტზე არაერთ ადამიანს უმუშავია. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ირინა არსენიშვილი გახლავთ. საორგანიზაციო ნაწილი კი ნანა შერვაშიძის (ეროვნული მუზეუმი) და მარიამ კვესელავას (ელ. დიუმას სახელობის ცენტრი) თაოსნობით განხორციელდა.

დაბოლოს, სანამ გამოფენას იხილავდეთ და სანამ გამოფენის გახსნის დღეს ჩვენს გაზეთში ზდანევიჩების ცხოვრებისა და შემოქმედებას გაეცნობოდეთ, რეზიუმეს სახით მოგახსენებთ:

გამოფენაზე, რომელიც ხვალ, 18 საათზე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიმართება, წარმოდგენილი იქნება ძმები ზდანევიჩების ორმოცამდე ნამუშევარი, ფრანგული არქივებიდან და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებიდან. დამთვალიერებელს ექნება საშუალება იხილოს ერთდროულად ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრები, ჩარჩოში ჩასმული წიგნის გვერდები, ილუსტრაციები, ფოტოები... ეს გამოფენა ამგვარად დაგვანახებს ამ ორი ქართველი ხელოვანის, ძმები ზდანევიჩების მრავალფეროვან ინტერესთა და შესაძლებლობათა მხარეებს და გვთავაზობს გავიცნოთ მეოცე საუკუნის თბილისის ავანგარდული სული.

ქართული ხელოვნების მეისტორიე

შალვა ამირანაშვილისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია

თამარ კიკნაველიძე

ანა ჯაფარიძის ფოტო

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის (1899-1975 წწ.) დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნა.

საიუბილეო ექსპოზიციის მიზანია წარმოაჩინოს შალვა ამირანაშვილის ღვაწლი და წვლილი, რომელიც მან ქართულ ხელოვნებათმცოდნეობასა და სამუზეუმო საქმის განვითარებაში შეიტანა. ის 1928 წლიდან მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, რომელსაც შალვა ამირანაშვილის სახელი 1990 წელს მიენიჭა. 1939 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, მკვლევარი ჩვენს კულტურულ მონაპოვარს პატრონობდა და დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთიდან ქართული ძეგლების დაბრუნებასა და საფრანგეთიდან ეროვნული საგანძურის ჩამოტანაში.

მეცნიერის ბიოგრაფიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ის ხელოვნების ყველა დარგით იყო დაინტერესებული და მხოლოდ ქართული ხელოვნების შესწავლით არ შემოიფარგლებოდა. საიუბილეოდ გამოცემულ ბუკლეტში აღნიშნულია, რომ შალვა ამირანაშვილის ინტერესის სფერო მოიცავდა: ბიზანტიის, დასავლეთის ქვეყნების, ევროპის, აღმოსავლეთის ხელოვნების ისტორიის საკითხებს. მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: „უბისის მოხატულობა", „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია", მონოგრაფიული ნარკვევი - „ბექა ოპიზარი", „ირანული დაზგური ფერწერა", ასევე, „ქართული მინიატურა", „ვეფხისტყაოსნის დასურათებული მინიატურა", ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი „ქართული მინანქარი", „ქართული ხელოვნების ისტორია"...

გამოფენა გახსნა ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა - დავით ლორთქიფანიძემ, რომელმაც საზოგადოებას ქართველი მეცნიერის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ექსპოზიციის ორგანიზება მიულოცა და შალვა ამირანაშვილის დამსახურებაზე ისაუბრა. გამოფენის სანახავად შეკრებილიყვნენ მეცნიერის შთამომავლები, მისი მოწაფეები, ამ დარგის სპეციალისტები, მუზეუმის წარმომადგენლები და ა.შ.

რისი ნახვის შესაძლებლობა ეძლევა დმთვალიერებელს? საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეროვნული არქივისა და ხელნაწერთა ფონდის კოლექციებში დაცული მემკვიდრეობის მცირე ნაწილის, რომელიც შალვა ამირანაშვილის მიერ არის შეძენილი და შეგროვებული. უფრო ზუსტად კი, საშუალება გეძლევათ ნახოთ: XIX საუკუნის სამეფო ვერცხლის ჭურჭელი, საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების ნივთები და სამღვდელმთავრო ნაქარგი სამოსი, უფლისციხის არქეოლოგიური მასალა, შუა საუკუნეების სვანეთის ფრესკის ასლები და გვიანი შუა საუკუნეების ხატები, რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები, ახალი და თანამედროვე, დასავლეთ ევროპის ქვეყნების და რუსული ხელოვნების მხატვართა ფერწერული ნამუშევრები, შალვა ამირანაშვილის მემორიალურ კაბინეტში დაცული საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი კედლის მხატვრობის ესკიზები და მისი პირადი ფოტო აპარატი, საარქივო დოკუმენტები (მათ შორის, პირველი სამეცნიერო პრემიის დიპლომი (1963 წ.), ასევე, ბრძანება N169, რომელიც 1939 წლის 21 აპრილს ხელოვნების საქმეთა მმართველისადმია დაწერილი და ორ პუნქტს მოიცავს: I - „სათეატრო მუზეუმის დირექტორის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ამხ. ბუხნიკაშვილი დაინიშნოს სათეატრო მუზეუმის დირექტორად, „მეტეხის" მუზეუმის დირექტორის მოვალეობიდან გათავისუფლებით" და II - „მეტეხის" მუზეუმის დირექტორად დაინიშნოს ამავე მუზეუმის ფერწერის განყოფილების გამგე ამხ. ამირანაშვილი შ."), პირადი წერილები და ნივთები, სამეცნიერო ნაშრომები, აუდიო-ვიდეო და ფოტო მასალა.

საგანგებოდ ექსპონირებული მასალის მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით, ვფიქრობ, სხვადასხვა ასაკის დამთვალიერებელი მოიხიბლება და ხელოვნების მუზეუმში გახსნილ გამოფენას, რომელიც 10 ნოემბრამდე გაგრძელდება, გვერდს ვერ აუვლის.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009
საერთაშორისო პროგრამა

7 ოქტომბერი
ოთხშაბთი

So, So (ისე რა...)
COMPAGNIE DES LOUPS. COPRODUCTEURS: EUROKAZ FESTIVAL and LA COMMUNAUTE INAVOUABLE
Production Franco - Croatian
საფრანგეთი, ხორვატია (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ბრანკო ბრეზოვეჩი
დასაყისი: 20:00
სასტუმრო Tbilisi Mariott

8, 9 ოქტომბერი
ხუთშაბათი/პარასკევი
„ზიგმუნდის ოინები“ Company Philipe Genty, საფრანგეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ფილიპ ჟანტი
დასაწყისი: 20:00
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი, მცირე სცენა

12 ოქტომბერი, ორშაბათი
„ჰეტეროფილი“ Weimer Theatre,
შვედეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი კრისტინა ოზოუნიდისი
სასტუმრო RADISSON SAS IVERIA

13 ოქტომბერი სამშაბათი
უილიამ შექსპირის „ჰამლეტი"-ს მიხედვით
...და ნამდვილი ციხე
ერევნის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი,
სომხეთი (ქართული სუბტიტრებით)
რეჟისორი აკოფ კაზანჩიანი
დასაწყისი: 19:45
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მცირე სცენა

13, 14, 15 ოქტომბერი
სამშაბათი/ოთხშაბათი/ხუთშაბათი
ნიკოლოზ გოგოლი
„შინელი“ - Gecko Company, დიდი ბრიტანეთი
რეჟისორი ამიტ ლაჰავი
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

15 ოქტომბერი ხუთშაბათი
„ღია წრე“ - Theatre laboratory OPEN CIRCLE, ლიტვა
რეჟისორი აიდას გინიოტისი
დასაწყისი: 20:00
თავისუფალი თეატრი

დოკუმენტური კინოს დღეები

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველო და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 8 - 9 ოქტომბერს წარმოგდგენენ ამერიკული დოკუმენტური ფილმების რეტროსპექტივას. ნაჩვენები იქნება 4 ფილმი:

Street Fight (ბრძოლა ქუჩაში) ჯილდოები: ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო - საუკეთესო განსხვავებული დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში;

„Tribecca" კინოფესტივალი - აუდიენციის ჯილდო;

Flow - For love of water („wylis siyvaruliT“) ჯილდოები: „Mumbai“-ს საერთაშორისო კინოფესტივალი: საერთაშორისო ჟიურის პრიზი. გაერთიანებული ერების ასოციაციის კინოფესტივალი: საუკეთესო დოკუმენტური ფილმი.

Project Kashmir (პროექტი ქაშმირი) - "გასაოცარი და შთამბეჭდავი... ძალზედ წინასწარმეტყველური ფილმი" - 2008 წელს ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო კინოფესტივალი.

Through Deaf Eyes (ყრუთა თვალებით აღქმული) :ჯილდოები: „Alfred I.Dupont“-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ჯილდო.

ღონისძიებას წარუძღვება დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი SANDRA RUCH. ფილმების ჩვენება გაიმართება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში, დასაწყისი: 14.00 დასწრება თავისუფალია.

თბილისო ჩემო...

თამარ კიკნაველიძე

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომლის დათვალიერებასაც გირჩევთ. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს თავად გასცემთ, როდესაც ექსპონირებულ ნამუშევართა მცირე ჩამონათვალს გაეცნობით.

„თბილისო ჩემო“ ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ხედებისა და თბილისელი ტიპაჟების ამსახველი, დაახლოებით, 160 ფოტოა გამოფენილი. მათი ავტორები არიან: ალექსანდრე როინაშვილი, დიმიტრი ერმაკოვი და ალექსანდრე ენგელი.

„ამ დროისათვის თბილისი ჯერ კიდევ ფეოდალური ქალაქი იყო, მოსახლეობა 18-20 ათასს აღწევდა. იგი ციხე-სიმაგრეც იყო და ქვეყნის ეკონომიკური ცენტრიც. ქალაქის კეთილმოწყობას ყურადღება ციციანოვის დროს მიექცა. 1803 წელს მან აკრძალა თბილისში სახლების უგეგმოდ აშენება. 1804 წელს აღდგენილ იქნა ქართული სტამბა. მიღებულ იქნა ზომები ქალაქის ქუჩებში სისუფთავის დასამყარებლად. აიკრძალა საქონლის დაკვლა, ტყავის დასამუშავებლად ქალაქგარეთ გააშენეს სახელოსნოები და ნელ-ნელა დაიწყო გარეუბნების განაშენიანება, სადაც ახალი სტილის არქიტექტურული შენობები აიგო...“, - წერია დამთვალიერებლისთვის გამოკრულ ცნობარში.

მირიან კილაძის მიერ აღდგენილ და ციფრულ ფორმატში გადატანილ ფოტოებში, შესაძლოა, საკუთარი ქუჩა და ეზოც კი აღმოაჩინოთ. პროფესიონალებმა აღბეჭდეს არაერთი კადრი, მათ შორის: უბედური შემთხვევა, ხიდის ჩატეხვა განჯის ტაძართან, „ყველიერი“ თბილისში, თბილისის რკინიგზის სადგური XX საუკუნის დასაწყისში, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი გოლოვინის, ამჟამინდელ რუსთაველის გამზირზე, მეფისნაცვლის სასახლე, XIX საის მთაწმინდა, მიხეილის, ამჟამინდელი მშრალი ხიდი, რომელიც 1851 წელს იტალიელი არქიტექტორის, ჯანი სკუდიერის პროექტით აშენდა, დავით სარაჯიშვილის სახლის მოსამსახურე პერსონალი და სახლის ინტერიერი, თბილისელი მეკურტნე, მეთულუხჩე მეტეხის ხიდთან და ა.შ.

ქართველ მამაკაცებსა და მათ ჩაცმულობაზე ალ. დიუმა აღნიშნავს: „ქართველი მამაკაცები ჩემი აზრით, არა მარტო თვითონ არიან ულამაზესნი მთელი დედამიწის ზურგზე, არამედ მათ აგრეთვე საუცხოო ტანისამოსი აცვიათ. ამ ტანისამოსს შეადგენს: შავი ქსოვილის წოპიანი ქუდი, რომელიც შუაშია ჩაზნექილი. მას სპარსული ქუდის მოყვანილობა აქვს, მაგრამ ორჯერ უფრო დაბალია, ჩოხა, რომელიც მუხლებამდე სწვდებათ, გრძელია, ღია, დაფარული, მაჯებამდე შეკრული სახელოები, ოქრომკედით ნაქარგი ატლასის ახალუხი, რომლის ნაოჭიანი სახელოები ჩოხის ღია სახელოებიდან მოჩანს, და განიერი აბრეშუმის შარვალი ჩაკეცილი ჭვინციან წაღებში, რომელთაც ტანისამოსის შეფარდებით ხავერდის და სირმის მორთულობა ამშვენებს“.

თბილისის ხედებისა და ტიპაჟების გარდა, დამთვალიერებელი განსაკუთრებით დაინტერესდა ფოტოზე აღბეჭდილი მიხეილ ვორონცოვის ძეგლით, რომელიც 1867 წელს ვორონცოვის, ამჟამინდელი საარბრუკენის მოედანზე დაიდგა...

„არ ვიცი, რა სახელები აქვთ ამ ქუჩებს თბილისში და თუ საერთოდ აქვთ სახელები, მე კი მათ დავარქმევდი ოქრომჭედელთა ქუჩას, ჭონების ქუჩას, მეიარაღეთა ქუჩას, მეხილეთა ქუჩას, თოქმაჩების, თერძების ქუჩას, ხარაზთა, მეფლოსტეთა და მექოშეთა ქუჩას. მეტად საინტერესოა ამ ქუჩებში სეირნობა, უცხოელს ეს არასოდეს მოსწყინდება. მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი ქუჩებში“, - წერს ალ. დიუმა.

ასეთი შთაბეჭდილება თბილისმა არაერთ უცხოელზე მოახდინა, მაგალითად ალ. პუშკინზე, რომელიც ჩანაწერებში აღნიშნავს: „... ქალაქის უდიდესი ნაწილი აშენებულია აზიურად: სახლები პატარაა, სახურავები ბრტყელი, ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულია ევროპული არქიტექტურის შენობები და მათ ირგვლივ ჩნდება სწორი მოედნები, ბაზარი რამდენიმე წყებად იყოფა, დუქნები სავსეა ოსმალური და სპარსული საქონლით, რომელიც საკმაოდ იაფია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საყოველთაო სიძვირეს, ტფილისის იარაღი ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთში“.

ასეთი ჩანაწერები თან სდევს ექსპოზიციას, სადაც განსაკუთრებული ადგილი ფოტოებს უკავიათ. თუმცა, ორი საუკუნის წინანდელი განწყობის შესაქმნელად, დარბაზებში ექსპონირებულია არაერთი მემორიალური ნივთი, ფოტოალბომი, საკრავი, სახვითი ხელოვნების ნიმუში, მაგალითად: ვაჟა ფშაველას ხანჯალი, რაზიკაშვილების სახლიდან შემონახული საკრავები, დანიელ ჭონქაძის დოქი, აკაკი წერეთლის ალბომი, ილია ჭავჭავაძის საათი და მანდოლინა, ნინო ორბელიანის კაბა, მანანა ორბელიანის ქოლგა, ალექსანდრე გრიბოედოვის ჭოგრი, ალექსანდრე პუშკინის უბის წიგნაკი, ასევე, ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, მ. კვირიკაშვილის და სხვების მიერ შესრულებული ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები.

ექსპოზიციაზე მართლაც ორი საუკუნის წინანდელი ატმოსფეროა შექმნილი. უცხოელების ჩანაწერების გარდა, ფოტოებს ქართველი პოეტების: გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, ა. კალანდაძის, ლ. ასათიანის, ი. გრიშაშვილის, მ. მაჭავარიანის, გრ. აბაშიძის და სხვათა ლექსებიც გასდევს.

ამ ექსპოზიციაზე, როგორც მიხვდით, უნიკალური ნივთებია გამოფენილი. მათ შორისაა მაკინე ამირეჯიბის სუფრა, რომელზეც ამოქარგულია ყველა იმ ადამიანის ხელმოწერა, ვინც მის ოჯახს სტუმრობდა.

საქართველოში პირველი ლიტერატურული სალონი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. XIX საუკუნის 70-იან წლებში კი ქართლში, სოფელ სოღოლაშენში მდებარე მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების სახლი დაწინაურდა. მაკინე ამირეჯიბის ოჯახში სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ქართველი და უცხოელი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, კერძოდ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე და ვასილ მაჩაბლები, არტურ ლაისტი, კიტა აბაშიძე, შიო არაგვისპირელი, ნიკო ლომოური, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ნატო გაბუნია, იაკობ კინოლაძე, ვანო სარაჯიშვილი, დავით ერისთავი, ილია წინამძღვრიშვილი, ანტონ ფურცელაძე, თედო სახოკია, სიმონ ყაუხჩიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ვასო აბაშიზე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ბარბარე ავალიანი, დავით ბაქრაძე, დუტუ მეგრელი, ვასო აბაშიძე და ა.შ. სწორედ მათი ხელმოწერები ამშვენებს სუფრას, რომელზეც პირველი წარწერა 1878 წელს გაკეთდა, უკანასკნელი კი - 1941 წელს. მაკინე ამირეჯიბის სუფრა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა 1944 წლის 7 ოქტომბერს, მერი ამირეჯიბისგან შეიძინა. მასზე 1060 ხელმოწერაა, მათ შორის გაშიფრულია 980. მაკინე ამირეჯიბს მთელ საქართველოში იცნობდნენ, როგორც საზოგადო მოღვაწესა და ქველმოქმედს: „იგი პირველი უწვდიდა ხელს გაჭირვებულთ... ის იყო გლეხკაცობის მრჩეველი, დამრიგებელი, დამხმარე, მეგობარი. ფიქრობდა, ზრუნავდა მათ კულტურულ ამაღლებაზე, უმართავდა წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებსა და სხვადასხვა გასართობებს...“. ნინო ყიფიანის დახასიათებით, მაკინე „იყო მოხდენილი ტანისა, შავგვრემანი, მეტად სანდომიანი, მომღიმარი პირისახისა; შავი, ცეცხლით სავსე თვალებით... იშვიათი იყო მისი სიმღერა ქართული ხმებისა და აგრეთვე იშვიათი - მისი ლეკური“...

მუზეუმი, რომელიც 1929 წელს მთაწმინდაზე გამართული ალექსანდრე გრიბოედოვის საიუბილეო გამოფენის საფუძველზე დაარსდა, არაერთ უნიკალურ ექსპონატს ინახავს. მათი მცირე, მაგრამ საინტერესო ნაწილის დათვალიერების შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში გეძლევათ.

ბრინჯაო, მარმარილო და მუსიკა

ია ვეკუა

ვითომ: ღამე, როდესაც ყველა იძინებს და ირგვლივ ყველაფერი ირინდება, ამ პატარა ოთახში სასწაულები ხდება. ჯერ ბებერი ჯაზმენი იღვიძებს და კონტრაბასის ანყობას იწყებს, შემდეგ ბლუზის მომღერალი იკავებს ადგილს პატარა სცენაზე და თვალებმინაბული სიმღერას იწყებს. ცხენზე მოჯირითე გოგონასა და აბაზანაში მონებივრე ლამაზმანის ნაზ აპლოდისმენტს სტადიონის აღტაცებული ყიჟინა მოსდევს - ბეისბოლისტმა ზუსტი ჩაწოდება გააკეთა...

სინამდვილეში: ეს პატარა ოთახი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის სახელოსნოა, ბეისბოლისტი, ცხენოსანიც და ბებერი ჯაზმენიც მისი ნამუშევრებია - ბრინჯაოსა და მარმარილოს შერწყმით მიღებული ნაკეთობები. თუმცა ამჟამად მას ყველაფერი გვერდზე აქვს გადადებული, რადგან თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევარს ასრულებს - ოქტომბრის მიწურულს თბილისში სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი გაიხსნება.

ეს ოქტომბრის ამბავია, მანამდე კი გერმანიაში მომხდარ სექტემბრისას გაგაცნობთ. ათიოდე დღის წინ ბერლინში ფესტივალი-კონკურსი Creole ჩატარდა. ფესტივალის შესახებ ალბათ ვერასდროს გავიგებდით, მასში მონაწილე ორი ჯგუფი და თავად ლევან ვარდოსანიძე რომ არა. ორიდან ერთ-ერთი გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსის, რუსუდან მეიფარიანის ჯგუფი გახლდათ, მეორე - ყველასთვის ცნობილი "შინი", რომელიც ფესტივალის საუკეთესო სამეულში შევიდა, ჯილდოდ კი სწორედ ლევან ვარდოსანიძის მიერ შექმნილი ქანდაკება გადასცეს.

ლევან ვარდოსანიძე: "ფესტივალის ორგანიზატორები რამდენიმე თვით ადრე დამიკავშირდნენ და მთხოვეს, გამარჯვებულთათვის პრიზები შემექმნა. როგორც თავად მითხრეს, ჩემ შესახებ მოქანდაკეთა წრიდან, ასევე ინტერნეტის საშუალებით შეიტყვეს. თუ დავთანხმდებოდი, ამ შემთხვევაში კონკურსს აღარ გამოაცხადებდნენ და მხოლოდ ჩემს ნამუშევარს განიხილავდნენ. მათ თვალწინ დავხატე სამი ვარიანტის ესკიზი, საბოლოოდ კი ერთ-ერთი ავარჩიეთ. ეს არის ჩემი ძველი ნამუშევრის, "საქსოფონის სულის" ახალი ვერსია, სადაც ინსტრუმენტის ნაცვლად ნოტია, ხოლო თავად ქანდაკებაზე მსოფლიო ხალხთა ინსტრუმენტებია გამოსახული. სამწუხაროდ, დაჯილდოვების ცერემონიალს "შინი" არ ესწრებოდა, თუმცა ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი ნამუშევრის სახით პრიზი ქართველი მუსიკოსების ჯუფს ერგო."

არ აქვს მნიშვნელობა, რას აქანდაკებს: მესაყვირეს, ცხენის ტორსს თუ "ჰარლი დევიდსონის" უდარდელ მხედარს, ლევან ვარდოსანიძის ხელოვნებაში მუსიკა მაინც ყველგან იგრძნობა, უფრო სწორად ისმის. მისი მუსიკისადმი სიყვარული ბავშვობიდან იწყება, როდესაც "ბიტლზს" მოუსმინა... ახლა კი თავად უნდა მიხვდეთ, რაც მოხდებოდა - "ბიტლზის" მუსიკისგან განკურნება ხომ შეუძლებელია. "მუსიკა რომ არა, ალბათ ბევრი რამის გაკეთებას ვერც შევძლებდი. თუ მუშაობისას მუსიკას არ ვუსმენ, ის მაინც ისმის ჩემს გონებაში და მის რიტმებზე იქმნება ყოველი მონახაზი, შტრიხი, ხასიათი. მახსოვს, როდესაც ლენონი მოკლეს, იმდენად შოკირებული ვიყავი, რომ დარდის გაქარვება მხოლოდ მისი ქანდაკების შექმნით შევძელი..."

ლენონს სხვა მუსიკოსებიც მოჰყვნენ, კონკრეტულებიც და აბსტრაქტულებიც: ბლუზმენები, როკერები და ცხადია ჯაზის შემრულებლები - ლევან ვარდოსანიძის კიდევ ერთი ამბის მთავარი გმირები სწორედ ისინი არიან.

1986 წლის თბილისის ჯაზფესტივალზე საბჭოთა მუსიკოსების გარდა უცხოელებიც, ძირითადად სოციალისტური ქვეყნების შემსრულებლები, ჩამოვიდნენ. ეს არა მხოლოდ თბილისისთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო. მასში საკუთარი წვლილი ლევან ვარდოსანიძემაც შეიტანა და უცხოელი სტუმრებისთვის მუსიკოსების პატარა ფიგურები შექმნა. იგივე განმეორდა 1989 წლის ლეგენდარული ფესტივალის დროსაც. ამჯერად თბილისს იმდენი ცნობილი ჯაზმენი ესტუმრა, რომ რამდენიმე ქანდაკებამ სახელი და გვარიც მიიღო. ერთი მათგანი კი განსაკუთრებული იყო - მაილს დევისის ქანდაკება, რომელიც ბრინჯაოში ჩამოსხმისას დაზიანდა, ამიტომ ლეგენდარული მუსიკოსის წარმომადგენელს (თავად მაილს დევისმა ფესტივალში მონაწილეობა ვერ შეძლო) მხოლოდ მისი თაბაშირის ვერსია უსახსოვრეს. "რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკაში ყოფნისას შემხვევით გავიცანი ადამიანი, რომელიც მაილს დევისის ევროპული ტურნეების მენეჯერი აღმოჩნდა. მან მითხრა, რომ ჩემი ნამუშევარი დევისის სახლში ჰქონდა ნანახი. როდესაც ამის შესახებ მიყვებოდა, ძალიან ამაყი და ბედნიერი ვიყავი", - ამბობს ლევან ვარდოსანიძე. მას შემდეგ მან მაილს დევისის ქანდაკება ბრინჯაოში მაინც ჩამოასხა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ ოქტომბრის მიწურულს თბილისის ჯაზ ფესტივალზე მარკუს მილერი დევისის Tutu-თი ჩამოდის, ამბობს, რომ ამ ნამუშევარს მას სიამოვნებით უსახსოვრებდა.

მუსიკა ლევან ვარდოსანიძის ერთადერთი სტიქია არ არის - მის ცხოვრებაში, უფრო კი შემოქმედებაში, სპორტსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ლოზანას ოლიმპიურ მუზეუმში მისი ორი ნამუშევარი: "ბეისბოლისტი" და "კარატისტი" ინახება. ორივე სიდნეისა და პეკინის ოლიმპიადების ხელოვნების კონკურსის პრიზიორება. აღნიშნული კონკურსის ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან იღებს. მისი აღდგენა თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებთან ერთად პიერ დე კუბერტენის სახელს უკავშირდება. კონკურსი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაუქმდა და მხოლოდ 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადის ჩატარებისას აღსდგა. ლევან ვარდოსანიძემ ორჯერ მიიღო მასში მონაწილეობა და ორივეჯერ საუკეთესო სამეულში მოხვდა.

ლევან ვარდოსანიძე: "სპორტი ძალიან მიყვარს, სამხატვრო აკადემიაში დიპლომიც ამ თემაზე დავიცავი. აკადემიის ფოიეში დღემდე დგას ჩემი წყალში მხტომელის თითქმის სამმეტრიანი ფიგურა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშიც კი ძირითადად უცნობი სპორტის სახეობების წარმომადგენლებს ვაქანდაკებდი: ბეისბოლისტებს, პოლოს მოთამაშეებს, ამერიკული ფეხბურთის თემატიკას. უბრალოდ არ მინდოდა მოჭიდავეების და ქვეყანაში პოპულარული სხვა სპორტის სახეობის თემატიკის შექმნა. არასდროს გამიკეთებია ის, რაც ყველას სურდა, რასაც მოითხოვდნენ, რისგანაც მხოლოდ ანაზღაურება უნდა მიმეღო. მუდამ საკუთარი გემოვნებითა და სურვილებით ვმოქმედებდი. მახსოვს, ერთხელ ჩემზე გაზეთშიც კი დაწერეს, არაეროვნულ ნამუშევრებს ქმნისო. თუმცა გამუდმებით დინების საწინააღმდეგოდ ცურვაც ძნელია. განსაკუთრებით გამიჭირდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელოვნებისთვის არავის ეცალა. იმისთვის, რომ ერთი ნამუშევარი მაინც ჩამომესხა ბრინჯაოში, სამხატვრო კომბინატში ვმუშაობდი, ან სხვა მოქანდაკეებისთვის ესკიზებს ვქმიდი, რისთვისაც მინიმალურ ანაზღაურებას ვიღებდი."

ახლა ლევან ვარდოსანიძეს მსგავსი პრობლემები აღარ აწუხებს - იგი თითქმის 20 წელია საზღვარგარეთ ცხოვრობს და მუშაობს. მისი ძირითადი დისლოკაციის ადგილი გერმანიაა, საგამოფენო სივრცედ კი მთელ მსოფლიოს იყენებს. სამუშაო პირობების, საკუთარი ხელოვნების გადარჩენისა და სხვებისთვის გაზიარების საზღაური მისთვის საქართველოს დატოვება აღმოჩნდა. თუმცა სამშობლოდან საბოლოოდ ვერასდროს წახვალ, პატარა ნიშნებს აუცილებლად ტოვებ - ლევან ვარდოსანიძისთვის ეს მონიშნული ადგილები მისივე ნამუშევრებია, რომლებსაც მალე კიდევ ერთი, სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი შეემატება.

საკონსკურსო დღიურები

თამარ მიქაძე
მაია სიგუა

ოლივიე გარდონი

უკვე ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი დაიწყო. პროცესი ნელა-ნელა დინამიკას იძენს. სულ ახლახანს ხომ კონკურსის პირველი ტური დასრულდა. და სანამ მეორე ტურის შედეგებს გავიგებდეთ, ჯერ კიდევ საინტერესოა პირველი ეტაპის შემდეგ მიღებული შთაბეჭდილებები. სწორედ ამიტომ მკითხველს კონკურსის მონაწილეების, ჟიურის წევრებისა და კონკურსის საპატიო სტუმრების კომენტარებს გთავაზობთ.

კონკურსანტები

რამდენად მნიშვნელოვანია შემსრულებლისათვის კონკურსში მონაწილეობა?

გიორგი აბულაძე (საქართველო**):** ჩემი აზრით, ასეთი მაღალი დონის კონკურსში მონაწილეობა სასარგებლოა და აუცილებელი ყველა მუსიკოსისთვის. კონკურსი პროფესიული ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა და ამავე დროს დიდი სტიმულიც. ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო შედეგი, არამედ თავად კონკურსში მონაწილეობის პროცესი.

ნათია ბერაია (საქართველო**):** კონკურსისთვის მზადების პროცესი, ძალიან სასარგებლოა შემსრულებლისათვის. პირადად მე დიდი პროგრამა მოვამზადე. გარდა ამისა, ჟიური დაკომპლექტებულია მსოფლიო დონის მუსიკოსებით, რომელთა წინაშე გამოსვლაც ნებისმიერი პიანისტისათვის დიდი ბედნიერებაა.

თამარ ელიზბარაშვილი (საქართველო**):** კითხვაზე - სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი - პასუხს კონკურსი იძლევა. კონკურსში მონაწილეობა ყველა პიანისტს აძლევს უდიდეს გამოცდილებას და საკუთარ ძალებში დარწმუნების შესაძლებლობას.

ჯულიანო მაცოკანტე (იტალია**):** ფანტასტიური საშუალებაა წარსდგე ასეთი წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული ჟიურის წინაშე და შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენო. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თბილისში მსმენელთა შორის ბევრია პიანისტი, პედაგოგი; ამიტომაც შემსრულებლისთვის ის ფაქტორი, რომ მას უბრალოდ მსმენელი კი არა მუსიკოსები აფასებენ, საკმაოდ მნიშვნელოვანია. დაახლოებით 12-მდე საერთაშორისო კონკურსში მაქვს მიღებული მონაწილეობა და ისეთი საპრიზო ფონდი და საკონცერტო ანგაჟემენტები, როგორიც თბილისის კონკურსს აქვს ცოტა თუ მოიძებნება. აღარაფერს ვამბობ კონკურსის საორგანიზაციო მხარეზე, რომელიც ერთადერთი სიტყვით შეიძლება დავახასიათო perfecto.

ანდრეს ანასკო (ეკვადორი**)** ამ კონკურსის შესახებ შარშან, საბერძნეთში, შევიტყვე. ჩემმა პედაგოგმა, ოლეგ მაიზენბერგმა და მეგობარმა ხატია ბუნიათიშვილმაც მირჩიეს მონაწილეობა მიმეღო მასში. საერთოდ კონკურსების დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ნაკლებად შემოქმედებითი პროცესია. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მსგავსი კონკურსები საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების და გამოცდილების შეძენის საუკეთესო საშუალებაა, რაც პიანისტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

მარი კიონე (იაპონია): ამ კონკურსის შესახებ პოლონეთში გავიგე, იქ ვსწავლობ, კონკურსი საუკეთესო საშუალებაა მოამზადო და თავი მოუყარო დიდ რეპერტუარს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მომეწონა ქართველი შემსრულებლები და საფორტეპიანო სკოლა, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი. თუმცა, ყველა კონკურსანტი არ მომისმენია.

შჩეპან კონჩალი (პოლონეთი): კონკურსი უდიდეს გამოცდილებას იძლევა. ჩემთვის ის ერთგვარი კონცერტის გამართვის შესაძლებლობაც არის. გარდა ამისა განსაკუთრებით მომხიბვლელია თბილისის კონკურსის საპრიზო ფონდი და ანგაჟემენტები.

კონკურსის საპატიო სტუმრები

პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი ტრადიციულად, მსოფლიოში გამოჩენილ მრავალ პიანისტს, მუსიკის მიმომხილველს, მუსიკალურ მენეჯერს მასპინძლობს. უორენ ტომსონი კონკურსის საპატიო სტუმარია. ოთხი წლის წინ კი, მესამე საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის წევრი გახლდათ. მისი სახელი კარგად არის ცნობილი მსოფლიო მუსიკალური საზოგადოებისთვის: შესანიშნავი პიანისტი და პედაგოგი, სიდნეის პიანისტთა ცნობილი საერთაშორისო კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელი და უცვლელი თავმჯდომარეა. ეს სწორედ ის კონკურსია, რომლის გამარჯვებულებიც თავის დროზე გახდნენ პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის დამაარსებელი და ჟიურის თავმჯდომარე მანანა დოიჯაშვილი და წლევანდელი კონკურსის ჟიურის ერთ-ერთი ნევრი ალექსანდრე კორსანტია.

- თქვენ უკვე მეორედ იმყოფებით პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსზე. პირველი ტური დასრულდა, როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

უ.ტ: მინდა აღვნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში შესრულების ტექნიკური მხარე ძალზე მაღალხარისხოვანია, თუმცა იგივეს თქმა არ შემიძლია მუსიკალურ მხარესთან დაკავშირებით. ტრადიციულად თბილისის კონკურსის მონაწილეთა მომზადების დონე ძალიან მაღალია. ატმოსფერო ძალზე მეგობრულია და იმასაც აღვნიშნავ, რომ რამდენიმე მშვენიერ პიანისტსაც მოვუსმინე.

- პირველი ტური კონკურსანტებისთვის განსაკუთრებით რთულია. მათ განსხვავებული ეპოქებისა და სტილის ნაწარმოებების შესრულება უხდებათ. ეს შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალებას იძლევა, მაგრამ სუსტი მხარეებიც მაშინვე იჩენს ხოლმე თავს...

- ძალიან კარგია რომ კონკურსანტები სხვადასხვა ეპოქეისა და სტილის ნაწარმოებებს ასრულებენ უკვე პირველივე ტურში. თვალშისაცემია, რომ თითოეული კონკურსანტი ინარჩუნებს თავისი სკოლისადმი "ერთგულებას", მაგრამ ამასთან ინდივიდუალურიცაა. არსებობს ზღვარი, რომელიც გადის ჩვეულებრივ და აღფრთოვანების მომგვრელ შესრულებას შორის. ამ უკანასკნელში ვგულისხმობ, პიანისტის მიერ სტილის შეგრძნებას. აუდიტორია, როგორც ნესი, მაშინვე გრძნობს ამას, მაგრამ, იგივე აუდიტორია არც თუ იშვიათად "წამოეგება" "ხმამაღალ, სწრაფ და ეფექტურ" შესრულებაზე.

- თქვენ უკვე გყავთ თქვენი ფავორიტები ამ კონკურსზე?

- თავს შევიკავებ დასახელებისგან. ვფიქრობ, კონკურსანტები შემდეგ ტურებში უფრო მეტად გამოავლენენ თავს.

- დაბოლოს, როგორც სიდნეის კონკურსის დამაარსებელი და ჟიურის თავმჯდომარე, რას იტყვით თბილისის კონკურსის დონესა და საორგანიზაციო მხარეზე?

- მოხარული ვარ, რომ ასეთი მაღალი დონის კონკურსს ვესწრები ასეთ მშვენიერ გარემოში. საორგანიზაციო მხარეს რაც შეეხება, უბრალოდ აღმაფრთოვანებელია, გასაოცარია! კარგად ვიცი, თუ რა დიდი ძალიხმევა და შრომა ჭირდება კონკურსის ორგანიზებას; თბილისში ამას ვხედავ და ვაფასებ.

ჟიური

ოლივიე გარდონი (საფრანგეთი) - ცნობილი ფრანგი მუსიკოსი, პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი. მრავალი საერთაშორისო პრიზის მფლობელი, გამოდის მსოფლიოს პრესტიჟულ მუსიკალურ ცენტრებში, პარიზის კონსერვატორიის - CNR და კიოტოს ფრანკო-იაპონური აკადემიის პროფესორი; ატარებს მასტერკლასებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკალურ აკადემიებში; მონაწილეობს მრავალი საერთაშორისო კონკურსის ჟიურიში, მათ შორისაა: მარგარიტა ლონგის, ცინცინატის და სხვ.

- რას ფიქრობთ პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსის საერთო დონეზე და ზოგადად კონკურსის მნიშვნელობაზე?

ო.გ: წელს პირველად ვიმყოფები თბილისში და შთაბეჭდილებებით სავსე ვარ. კონკურსი არაჩვეულებრივად არის ორგანიზებული, ყველა პირობაა შექმნილი კომფორტული მუშაობისათვის, რაც უდავოდ ქალბატონ მანანა დოიჯაშვილის დამსახურებაა. კონკურსანტთა საერთო დონე საკმაოდ მაღალია, რამაც განაპირობა ჩვენი მეტად არაორდინალური გადაწყვეტილება მეორე ტურში უკლებლივ ყველა მონაწილის დაშვების შესახებ.

- რა აზრის ხართ ქართველ კონკურსანტებზე?

ო.გ: ქართველი შემსრულებელების მომზადების დონე ძალიან მაღალია. რამდენიმე მათგანს შესრულების საკუთარი მანერა და სტილი აქვს, რაც ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია. ყოველივე ეს მეტყველებს, იმაზე რომ ქართველებს დიდი საფორტეპიანო ტრადიციები გაგაჩნიათ, რასაც ასე ფაქიზად გადასცემთ ახალგაზრდა თაობებს.

- რას გვეტყოდით ქართველ მსმენელზე?

- ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ დარბაზში მუსიკის მოყვარულ უამრავ ადამიანს ვხედავ. ვფიქრობ, რომ შემსრულებლებზეც ძალიან დადებითად მოქმედებს გულშემატკივრების ასეთი თანადგომა.

- თქვენ მრავალი კონკურსის ჟიურის წევრი ბრძანდებით, რა კრიტერიუმებით აფასებთ კონკურსანტებს?

- ძალიან ბევრი კარგი შემსრულებელი მოვისმინეთ; მაგრამ მე მაინც შემსრულებელში ინდივიდუალურ თვისებებს და ცოცხალ მუზიცირებას ვანიჭებ უპირატესობას. **24 საათი**

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 5 ნოემბერს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ფასი (ლარი0	"ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)
1	ქ.რუსთავი, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მ/ტ	5008	02	06	01	043	42070	16830	2000

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინაადმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
ბ.კ. 220101502
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
ა.ნ №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში):
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით:
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20

ტელ: (824) 12 12 66

ცვლილება ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში

2009 წლის 24 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული ქ. თბილისის მთავრობის აუქციონიდან ამოღებულ იქნას ლოტი N52.

განცხადება

შპს ,,ახალი ხიბულის მეურნეობა"-ს გაკოტრების საქმეთა მმართველი 2009 წლის 20 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ქ. ხობში რაიონული სასამართლოს სხდომათა დარბაზში ატარებს ღია აუქციონს შპს ,,ახალი ხიბულის მეურნეობა"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, შემდეგ ქონებაზე:

1. ჩსმ ,,საქართველო - 1 ცალი, 1988 წლის გამოშვება, გამართული
2. ავტომანქანა გაზ 53 ბ - 1 ცალი, 1979 წლის გამოშვება, გაუმართავი
3. ავტომანქანა გაზ 53 ბ - 1 ცალი, 1981 წლის გამოშვება, გაუმართავი
4. წისქვილი - აშენებული 1972 წელს

ქონების რეალიზაცია მოხდება აუქციონზე შემოთავაზებული უმაღლესი ფასით.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელ.: 855-143-745

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

შპს ,,ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს ,,ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები (FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE;)
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს ,,ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ

ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს

და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი
www.intelc.ge

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. აღმაშენებლის 133-ის კუთხეში

ტელ: 958112; 958113; 893618212;
www.intelc.ge
e-mail:intellectcenter@yahoo.com

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

სპორტი

ტატამის ერთი მხარე

გიგა გურასაშვილი

ამირან ტოტიკაშვილმა მიზნად ბიჭების შემორიგება დაისახა

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში ჩვეული ვითარებაა: გუნდი ორადაა გახლეჩილი. ფედერაციის ხელმძღვანელობით უკმაყოფილო ნაწილი დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას, მეორე ნაწილი კი დიღომში, შოთა ჩოჩიშვილის ძიუდოს აკადემიაში, ძიუდოს ფედერაციის მიერ ახლად დანიშნული მთავარი მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. დრო გადის, მაგრამ მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს.

ძიუდოს აკადემიაში ამირან ტოტიკაშვილს ვესტუმრეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით. ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით, ნაკრების მეორე ნაწილი ემზადება ბაქოს მსოფლიო თასისთვის, რომელიც 11 ოქტომბერს დაიწყება.

- თქვენ, როგორც ახალ მწვრთნელს, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნად წამოგიყენათ ნაკრების ბაზაზე 24-სათიან რეჟიმში ყოფნა, რასაც დათანხმდით კიდეც. როგორია ახალსახლობა?

- ინტენსიურად ვვარჯიშობთ. როგორც პრეზიდენტმა და ფედერაციამ გადაწყვიტეს, 24 საათი ბაზაზე ვიქნები. ახლა ჩემი ოთახი რემონტდება და როცა ყველაფერი მოწესრიგდება, ალბათ, ღამესაც აქ გავათენებ. ახლა შეკრებას გავდივართ. ვემზადებით ბაქოს მსოფლიო თასისთვის, სადაც 8 ოქტომბერს გავემგზავრებით. დაახლოებით 18 სპორტსმენი მიგვყავს.

- მაგრამ ნაკრები ორადაა გახლეჩილი. როგორ აპირებთ მდგომარეობის გამოსწორებას?

- ჩვენ გვინდა, ბაქოში ნაკრების ძირითადი შემადგენლობა წავიყვანოთ. ნაკრების განდგომილ წევრებსაც დავუკავშირდით, მაგრამ ჯერ-ჯერობით ერთობლივ შეკრებაზე უარს აცხადებენ. იმედია, გონს მოეგებიან, ბაზას დაუბრუნდებიან, ვარჯიშს განაახლებენ. უნდა იცოდნენ, რომ მათი საქმე ვარჯიშია და არა ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა. საამისოდ არსებობენ ადამიანები, ვისაც საქმის მოგვარება ევალებათ. ჩვენი საქმე კი ტატამზე მუშაობა და შედეგებისთვის ბრძოლაა. ვალდებული ვართ გულშემატკივართან, რომელიც ჩვენი დიდი მოსამართლეა.

- თუ ნაკრების განდგომილი წევრები ვერ დაიყოლიეთ, გამოდის, რომ გუნდში ახალი სახელები გამოჩნდება?

- ნოემბერში ჩატარდება საქართველოს პირველობა და ყველას ექნება თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ქართულ სპორტს და ძიუდოს არასდროს აკლდა ნიჭიერი სპორტსმენები. ასე რომ, დროთა განმავლობაში გამოჩნდებიან ის ძიუდოისტები, რომლებიც ნაკრების კარს შეაღებენ. მათ კი, განდგომილებს, რამდენჯერმე შევუთვალე და კიდევ შევუთვლი, რომ ნაკრებს, ვარჯიშებს დაუბრუნდნენ. რამდენიმე მათგანს შევხვდი, ვესაუბრე. სატელეფონო საუბარიც მქონდა ზოგიერთ მათგანთან, მათ მწვრთნელებთან და მშობლებთან. ავუხსენი, რომ საკუთარი საქმე გააგრძელონ.

- რას გპასუხობენ?

- მეუბნებიან, რომ ჩემთან პრეტენზია არა აქვთ. რას ნიშნავს, ჩემთან არა აქვთ პრეტენზია? თუ ასეა, მაშინ საწვრთნელ შეკრებებსაც უნდა დაესწრონ. ამავე ლოგიკით გამოდის, რომ პრეტენზიები ჩემთანაც აქვთ და ფედერაციასთანაც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათი გადასაწყვეტი არ არის, ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი თუ გენერალური მდივანი. მათი საქმე ვარჯიშია.

ნაწილი, რომელიც ალბათ თვითნებურად ვარჯიშობს, ფსიქოლოგიურად ყველასთვის ცუდი ფაქტორია. გუნდის სათავეში მოსვლისთანავე ბიჭებს აშკარად ეტყობათ, რომ გატეხილები არიან, რაღაც ბოჭავთ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ გუნდში მეორე ნომრები არ არსებობენ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნაკრებში არსებობდნენ პირველი, მეორე, მესამე ნომრები. გპირდებით, ასეც იქნება. მართალია, დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ სისტემატური ვარჯიშებით შევძლებთ იმას, რომ ფეხზე დავაყენოთ ნაკრები.

ერთი სიტყვით, ამ საკითხზე ვმუშაობთ. ბიჭები აუცილებლად უნდა შემოვირიგოთ.

- ახალი მწვრთნელი წინამორბედთან კონსულტაციებს გადის. თქვენ თუ შეხვდით შოთა ხაბარელს?

- ჯერ არ გვისაუბრია. აუცილებლად შევხვდები, მაგრამ ცოტა დაძაბული ვითარებაა. ორივე მხარე გაღიზიანებულია. მიუხედავად ამისა, მასთან შეხვედრას და წმინდა სპორტულ თემებზე საუბარს ვაპირებ.

- თქვენი ვარჯიშის მეთოდი რითი განსხვავდება?

- განსხვავებით - ბევრით არაფრით. უბრალოდ, ვარჯიშები დროში გავწელეთ. საქმე ის არის, რომ როდესაც ძიუდოისტი ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე ტატამზე გადის, დიდი-დიდი, ხუთ შეხვედრას მართავს. ამასთან, მთავარ ასპარეზობებზე მხოლოდ ხუთ წუთს ჭიდაობენ. ჩვენ კი აქ, ვარჯიშებზე, ოთხი, სამი, ორი შერკინება გვაქვს, ამასთან, არასრული პერიოდი. ამიტომ ვზრდით დროს, რათა სატურნირო დატვირთვა მივიღოთ.

ცვლილებებია მთლიანად ძიუდოში. კერძოდ, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობა, რომელიც მალე აიღებს სტარტს, ახლებური წესებით ჩატარდება. ვგულისხმობ, რომ აღარ იქნება ფეხში შესვლები. ასე რომ, ქართული ჭიდაობის ელემენტებს მეტი დატვირთვა მიეცემა, რაც აქედანვე გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს. ახლა სწორედ ქართული ჭიდაობის ელემენტებზე - მოგვერდზე, კისრულზე, გადავლებაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

სანიკიძე იტალიის სუპერთასს ვერ შეწვდა

ამ სეზონში ჩვენთვის იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატზე არანაკლებ საინტერესო იქნება აპენინებზე მიმდინარე საკალათბურთო ჩემპიონატი, რადგან იტალიურ ჩემპიონატში რამდენიმე ქართველი თამაშობს.

საკალათბურთო სეზონი აპენინებზე კვირას ქვეყნის სუპერთასის მატჩით გახსნა და, ფაქტობრივად, პირველი ქართული დერბიც გაიმართა.

იტალიის ჩემპიონი "მონტეპასკი", რომელშიც ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ნიკა მეტრეველი ირიცხება, ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსს" დაუპირისპირდა. ვიკა უკვე იქცა "ვირტუსის" ერთ-ერთ ლიდერად და გუნდთან ერთად პირველი ტიტულიც მოიგო, თუმცა სუპერთასი "ვირტუსისთვის" მიუწვდომელი აღმოჩნდა. "მონტეპასკიმ" 87:65 დაამარცხა "ვირტუსი" და იტალიის სუპერთასი მოიგო.

სანიკიძემ ბოლონიელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 26 წუთში 2 ქულა და 6 მოხსნა (4 მეტოქის ფარზე) მიითვალა. ვიქტორმა სამიდან ერთი ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი კი ააცილა.

"ვირტუსის" რიგებში დიეგო ფახარდომ 17 ქულა ჩააგდო, მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი გახდა "მონტეპასკის" აფრიკელი ლეგიონერი რომან სატო, რომელმაც 19 ქულა მიითვალა. მეტრეველი სიენელთა განაცხადში არ ყოფილა.

ნაყოფიერი დღე ჰქონდა ლაშა გამყრელიძეს, რომლის "მიტელდოიჩერიც" "ბრაუნშვაიგს" გაეჯიბრა და საკონტროლო მატჩში 78:76 გაიმარჯვა. შეხვედრას 900 მაყურებელი დაესწრო. ქართველმა გამთამაშებელმა 10 ქულას 7 შედეგიანი პასი წაამატა.

მატჩის ბედი ბოლო წამებზე გაირკვა. რუსი კაშიროვის ზუსტი საჯარიმოების წყალობით, "მგლების" მეტსახელით ცნობილი "მიტელდოიჩერი" 77:73 დაწინაურდა, თუმცა, შაფარციკმა შორეული ტყორცნა გამოიყენა და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. იქვე შაფარციკი გამყრელიძეზე დაჯარიმდა და ლაშამ ანგარიში 78:76 გახადა. მართალია, ქართველმა მეორე ტყორცნა ააცილა, მაგრამ ბურთი "მგლებმა" მოხსნეს და საფინალო სირენის ხმაც გაისმა.

რუსულ "ხიმკისთან" საკონტროლო მატჩში 77:78 დამარცხდა ტაირონ ელისის "კახასოლი". სევილიელები დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი სხვაობით (45:32) გავიდნენ, თუმცა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. ელისმა 6 ქულა ჩააგდო, ბოლო წამებზე კი საჯარიმო ააცილა და თამაშის დამატებით ტაიმში გადაყვანის შანსი ხელიდან გაუშვა.

დანაკლისი მეტოქეთა ბანაკში

10 და 14 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უკანასკნელ ორ მატჩს გამართავს. ამ თამაშებს ჩვენი გუნდისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ექტორ რაულ კუპერის გუნდმა შესარჩევი ციკლი პირწმინდად ჩააგდო. ახლა ისღა გვაინტერესებს, შეძლებს თუ არა ჩვენი გუნდი ამ შესარჩევ ციკლში ერთი თამაში მაინც მოიგოს. 10 ოქტომბერს ჩერნოგორიაში გველის გასვლითი მატჩი და ჩვენი გუნდისთვის ერთი სასიხარულო რამ უკვე მოხდა. იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში დაშავდა ჩერნოგორიის ნაკრების ლიდერი და "რომას" ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი. რომაული კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ვუჩინიჩმა მუხლი იტკინა და გაურკვეველი დროით დაემშვიდობა მწვანე მოედანს. მოკლედ, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ვუჩინიჩი 10 ოქტომბრის მატჩს გამოტოვებს. ვუჩინიჩს არც თბილისურ მატჩში მიუღია მონაწილეობა, რომელიც 0:0 დასრულდა.

ჩერნოგორიიდან საქართველოს ნაკრები ბულგარეთისკენ აიღებს გეზს და 14 ოქტომბერს იქ გამართავს შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს. შემადგენლობის თვალსაზრისით ბულგარეთის ნაკრებსაც სერიოზული პრობლემები აქვს. რამდენიმე დღის წინ დაშავდა ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველი გეორგი სარმოვი და ის გამოტოვებს როგორც 10 ოქტომბერს კვიპროსთან გასამართ შეხვედრას, ისე 14 ოქტომბერს საქართველოსთან თამაშს. სარმოვი მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც ტრავმის გამო ვერ დაეხმარება ბულგარეთის ნაკრებს. მანამდე დაშავდნენ გუნდის ძირითადი მეკარე გეორგი პეტკოვი, მცველები ჟივკო მილანოვი და ალექსანდრე ტუნჩევი.

ქართული აიკიდოს წარმატება იაპონიაში

20-23 სექტემბერს იაპონიის ქალაქმა კიოტომ აიკიდოს მერვე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატად იწოდება. ჩემპიონატში მსოფლიოს 34 ქვეყნის 600-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს სახელით ტურნირზე აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ სიხარულიძემ, ასევე ალექსანდრე ხეროდინაშვილმა და ლაშა როსტომაშვილმა იასპარეზეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

ვახტანგ სიხარულიძემ და ლაშა როსტომაშვილმა სახეობა კატაში მესამე ადგილი დაიკავეს. შეჯიბრება ჩატარდა შერეულ გუნდურ სახეობაშიც. ვახტანგ სიხარულიძის თაოსნობით ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო ნაკრებმა (თავად სიხარულიძის განმარტებით, რაკი გუნდი უნდა შედგებოდეს შვიდი სპორტსმენისგან, ხოლო ქართველები მხოლოდ სამნი იყვნენ, საქართველოს დაემატნენ ბრაზილიისა და ბელგიის წარმომადგენლები) მესამე ადგილი დაიკავა.

ვახტანგ სიხარულიძე (აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტი): "მედლების რაოდენობით საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა იაპონიისა და ბრიტანეთის შემდეგ, ხოლო ისეთი ნაკრებები, რომლებსაც ბევრი მონაწილე ჰყავდა, მედლების გარეშე დარჩნენ. მაგალითად, რუსეთი (მე-20), ესპანეთი (18), ჰოლანდია (17), აშშ (22), ავსტრალია (16).

მსოფლიო ჩემპიონატზე ეს ჩვენი მესამე მონაწილეობა იყო და ასეთი შედეგისთვის მანამდე არ მიგვიღწევია. შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატი ორი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, ბრიტანეთში გაიმართება. იმედია, ჩვენი ნაკრები უფრო დიდი შემადგენლობით გაემგზავრება. ახლა დავიწყებთ მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მომავალ წელს გაიმართება. გვინდა, შარშანდელივით, ევროპის ჩემპიონები დავბრუნდებით".

www.sportandyouth.ge

სანიკიძემ იტალიელი ბავშვები მოინახულა

იტალიის სუპერთასზე სიენას "მონტეპასკისთან" მარცხის შემდეგ ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსმა" საქველმოქმედო აქცია დაგეგმა და ერთ-ერთ იტალიურ სკოლას ეწვია.

აპრილის XXI-ე სკოლის სპორტულ დარბაზში ბოლონიელ კალათბურთელებთან შესახვედრად 110 ბავშვი შეიკრიბა. "ვირტუსის" წარმომადგენლები ვიქტორ სანიკიძე, დიეგო ფახარდო და ბრეტ ბლიზარდი იყვნენ.

შერმადინი ისვენებს

ევროპის საკლუბო ჩემპიონი კალათბურთში, ბერძნული „პანათინაიკოსი“ სეზონისთვის მზადებას განაგრძობს და მოსკოვური ტურნირის შემდეგ კვიპროსს ეწვევა, სადაც კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

გუნდათან ერთად ვერ გაემგზავრა გიორგი შერმადინი, რომელმაც მოსკოვში ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, ათ დღეს დაისვენებს.

ქართველი კალათბურთელის გარდა, ათენელებს ტრავმების გამო დააკლდათ ლიტველი შარუნას იასეკივიჩიუსი და ამერიკელი მაიკ ბატისტე.

გუშინ „პანათინაიკოსი“ კვიპროსის ქალაქ ნიქოზიას ეწვია, დღეს კი ჩაერთვება ოთხთა ტურნირში, რომელშიც, მის გარდა, რუსული „ხიმკი“ და კვიპროსული კლუბები - „კერავნოსი“ და „აპოელი“ იასპარეზებენ.

ათენელები 7 ოქტომბერს „აპოელს“ გაეჯიბრებიან, 8-ში კი - „ხიმკის“.

იაშვილი ყვითელს გამორჩა

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მერვე ტურის დასკვნით მატჩში ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ „ვილდპარკშტადიონზე“ „არმინიას“ უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

კარლსრუელთა 15 673 ქომაგისთვის სამწუხაროდ, შეხვედრის ერთადერთი გოლი ბილეფელდელთა ფორვარდმა ფორტმა 43-ე წუთზე გაიტანა.

იაშვილმა მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, თუმცა, გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

„კარლსრუეს“ ქართველმა კაპიტანმა, რომელიც 23 ოქტომბერს 32 წლის ხდება, 85-ე წუთზე სეზონში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

ბედნიერი მარკესი

მექსიკის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი რაფა მარკესი კარიერის დასრულებას კატალონიურ გრანდში აპირებს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, მარკესმა „ბარსელონასთან“ კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

„მინდა ამ თემასთან დაკავშირებულ ყველა ეჭვს წერტილი დაესვას. ჩემი სურვილია კარიერა „ბარსელონაში“ დავასრულო. ვამაყობ, რომ დიდებულ კლუბში ვარ“, - დასძენს მექსიკელი ფეხბურთელი, რომელმაც, შესაძლოა, 2012 წლამდე გაახანგრძლივოს ხელშეკრულება.

აგერი კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა

„ლივერპულის“ დანიელი მცველი დანიელ აგერი არ მალავს, რომ ცოტა ხნის წინ აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა.

„ზურგის ტკივილი იმდენად მაწუხებდა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებაზეც კი დავფიქრდი. ჩემს თავს ვკითხე, ღირდა თუ არა თამაშის გაგრძელება. როდესაც არ შეგიძლია, საკუთარი შვილი ხელში აიყვანო, ხვდები, რომ საქმე არც ისე კარგადაა, როგორც უნდა იყოს“, - განაცხადა აგერმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ფრანგები რიბერის გარეშე ითამაშებენ

მიუნხენის „ბაიერნის“ 26 წლის ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მუხლის ტრავმის გამო საფრანგეთის ნაკრებს 2010 წლის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ციკლში ფარერებთან და ავსტრიასთან გასამართ შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

რიბერის მარცხენა მუხლის მყესის ანთება აქვს. ტრავმა, რომლის გამო ის სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადა, წინა კვირაში, ტურინის „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საშინაო მატჩში (0:0) გაუმიზეზდა.

ორშაბათს ის მაინც ჩავიდა კლერფონტენში, საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე, რათა ნაკრების ექიმებისთვის ტრავმის სერიოზულობაში დარწმუნების საშუალება მიეცა, რის შემდეგაც ბანაკი მალევე დატოვა.

მატჩებში, რომლებითაც საფრანგეთი საკვალიფიკაციო ეტაპს დაასრულებს, რიბერის ლიონის „ოლიმპიკის“ 24 წლის სენეგალური წარმოშობის ფორვარდი ბაფეტიმბი გომი შეცვლის.

რიბერის გარდა, ფრანგები ფარერელთა და ავსტრიელთა წინააღმდეგ თავიანთ მეორე შემოქმედ მოთამაშეს - „ბორდოს“ გამთამაშებელს იოან გურკუფსაც მოისაკლისებენ.

საფრანგეთი ევროპის მე-7 ჯგუფში 15 ქულით მეორე ადგილზეა და პირველ ადგილზე მყოფ სერბეთს 4 ქულით ჩამორჩება, მესამეზე მყოფ ავსტრიას კი ამდენივეთი უსწრებს.

ახალგაზრდული ნაკრები ორი მატჩისთვის ემზადება

თეა დოლიძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქეთთან ზესტაფონში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ (4:0) 5 ოქტომბერს თბილისში პირველად შეიკრიბა. 21 წლამდელთა მეტოქეა ირლანდიელ თანატოლთა ნაკრები. მატჩი 9 ოქტომბერს დუბლინში გაიმართება. ფეხბურთელებმა ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით პირველი ვარჯიში კარლო მჭედლიძის სახელობის საფეხბურთო აკადემიის მინდორზე ჩაატარეს, საღამოს კი თეორიული მეცადინეობა ჰქონდათ.

გიორგი ხიდეშელი (ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი): "შეკრების დღეებში ერთჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ მთელი დატვირთვით ვვარჯიშობთ. ირლანდიაში შემტევი ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ. 13-ში დანიაში ამხანაგური მატჩი უნდა მოვიგოთ. თურქებთან ასე დამაჯერებლად მოგებული მატჩის შემდეგ ყველას გვჯერა ჩვენი ძალის. იმედია, დუბლინში ქულას მოვიპოვებთ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ირლანდიაზე ჯერ არაფერი ვიცით, თუმცა ალბათ ჩანაწერის ნახვის საშუალება მოგვეცემა."

ირლანდიაში ახალგაზრდები დანაკლისით მიდიან. წითელი ბარათის გამო გუნდს ამირან სანაია დააკლდება. წინა დღეებში სათუო იყო ლევან კაკუბავას თამაშიც, რომელსაც მხარი აწუხებდა, თუმცა თითქმის გადაწყდა, რომ დინამოელი მცველი დუბლინში ითამაშებს. გარკვეული არ არის მათე ვაწაძის საკითხი - ოთარ გაბელია ამას თამაშის დღეს გადაწვეტს. წინა მატჩის მსგავსად, 21 წლამდელთა ნაკრებს ისევ დაეხმარებიან ლევან ყენია და ჯანო ანანიძე. "შალკეს" ქართველი ლეგიონერი მატჩის შემდეგ დუბლინიდან სოფიაში ჩავა და ეროვნულ გუნდს იქ შეუერთდება. ანანიძე კი ირლანდიიდან შვედეთში ჩაფრინდება და ევროპის 2010 წლის პირველ შესარჩევ რაუნდში 19 წლამდელთა ნაკრებს დაეხმარება. ოთარ გაბელიას სურვილის მიუხედავად, ქართველი ფორვარდის, ლევან მჭედლიძის საკითხი კუპერისთვის სასარგებლოდ გადაწყდა. მჭედლიძე 10 ოქტომბერს მონტენეგროში მთავარ ნაკრებს გაჰყვება.

ირანდიასთან თამაშის შემდეგ ახალგაზრდული ნაკრები 13 ოქტომბერს დანიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ყენიასა და ანანიძის ნაცვლად გაბელია სხვა ფეხბურთელებს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას.

ირაკლი კლიმიაშვილი (ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი): "გუნდში საბრძოლო განწყობაა. გამთენიისას მივფრინავთ და, იმედია, სასურველი შედეგით დავბრუნდებით. დანიასთან ყენია და ანანიძე არ გვეყოლება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამხანაგურშიც მოგების იმედი უნდა გვქონდეს."

ირლანდიასთან სათამაშოდ განაცხადში მოხვდნენ მეკარეები: რევაზ თევდორაძე ("გაგრა"), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი")

მცველები: გიორგი ხიდეშელი ("ზესტაფონი"), გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა (ორივე "დინამო"), გიორგი ხატიაშვილი ("ლოკომოტივი"), ლაშა თოთაძე ("გაგრა"), გურამ ადამაძე ("ვიტ-ჯორჯია")

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), ლევან კუტალია ("სლავია"), თემურ შონია ("სპარტაკი"), გიორგი ჯანელიძე, ირაკლი კლიმიაშვილი (ორივე "ვიტ-ჯორჯია"), ლევან ყენია ("შალკე"), ვაჟა ნემსაძე ("დინამო"), ჯანო ანანიძე ("სპარტაკი"), გიორგი გუგავა ("არსენასი")

თავდამსხმელები: გიორგი ივანიშვილი ("ვოლენი"), მათე ვაწაძე ("დინამო"), გიორგი ჭედია ("ოლიმპი").

პერესი მწვრთნელით უკმაყოფილოა

პერესმა ახალი მწვრთნელის ძიება დაიწყო

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „რეალი“ ამ სეზონში მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს, სულ მალე შესაძლოა გუნდს მწვრთნელი შეეცვალოს.

საქმე ის არის, რომ ფლორენტინო პერესი მანუელ პელეგრინის მუშაობით უკმაყოფილოა. ჩილელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ როტაციის სისტემას უნდა მიმართოს და პერიოდულად მაინც მისცეს დასვენების საშუალება იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ზაფხულში პერესმა იყიდა. ეგეც არ იყოს, ყველას ერთად მინდორზე გამოყვანა ტაქტიკურადაც არ იქნება მიზანშეწონილი. თავად განსაჯეთ: კაკა, კრიშტიანუ რონალდუ, ბენზემა - სამივე შემტევი ფეხბურთელია და დაცვაში თამაშით დიდად არ იწუხებენ თავს. თანამედროვე ფეხბურთში კი მოედანზე ყოფნისას დაცვითი ფუნქციების შესრულებისგან არავინ არის თავისუფალი. ასეა თუ ისე, პერესის თქმით, პელეგრინის ფეხბურთის საკუთარი ხედვა აქვს, რომელიც მის ხედვას არ ემთხვევა. „რეალის“ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მისმა ვარსკვლავებმა ყველა თამაშში უნდა მიიღონ მონაწილეობა და მინდორზეც უკლებლივ ყველა გავიდეს.

პერესმა პელეგრინის კრიტიკა „სევილიასთან“ წაგებული მატჩის შემდეგ დაიწყო, მანამდე კი „რეალის“ პრეზიდენტს პელეგრინიზე შეტევის მიტანის საბაბი, უბრალოდ, არ ჰქონია.

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ჯერ კიდევ პირველი პრეზიდენტობისას პერესი დელ ბოსკეს იწუნებდა და საბოლოოდ დაითხოვა კიდეც. მიზეზი ის გახლდათ, რომ დელ ბოსკე, ასე ვთქვათ, გაპიარებული არ იყო. იგივე შეიძლება ითქვას პელეგრინიზეც. ჩილელი თავისი საქმითაა დაკავებული და იმიჯზე საერთოდ არ ზრუნავს. პერესს კი ისეთივე ვარსკვლავი მწვრთნელი სჭირდება, როგორი ფეხბურთელებიც ჰყავს.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე პელეგრინის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს დაატოვებინებენ.

მარადონამ რაზმი შეკრა

მარადონა გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადება

10 და 14 ოქტომბერს არგენტინის ნაკრები ორ უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს. დიეგო მარადონას გუნდი ჯერ საკუთარ მოედანზე უმასპინძლებს პერუს ნაკრებს, შემდეგ კი მონტევიდეოში ურუგვაის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. სწორედ ამ ორ მატჩში გადაწყდება „ალბისელესტეს“ ბედი. ჯერჯერობით სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ისეთი ვითარებაა, რომ ბოლო მატჩის წაგების შემთხვევაში არგენტინელები შესაძლოა საერთოდ მუნდიალის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩნენ.

არგენტინის ნაკრების ასეთ წარუმატებლობას, პირველ რიგში, გუნდის მთავარ მწვრთნელს დიეგო მარადონას აბრალებენ, რომელმაც ფეხბურთელებთან საერთო ენა ვერ გამონახა და ნაკრებში ისეთი ხალხიც იხმო, რომელთა გვარები ევროპაში საერთოდ უცნობია. თუ ევროპელებისთვის უცნობ ახალგაზრდას აიყვან ნაკრებში, ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ როდესაც გუნდში 36 წლის დებიუტანტი გყავს, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

შესარჩევი ციკლის ბოლო ორი მატჩისთვის მარადონამ შემადგენლობა დაასახელა. ეს უკვე სიურპრიზები აღარ არის. შესაძლოა, დიეგო მილიტოს არყოფნამ გაგვაკვირვოს, თუმცა „ინტერის“ ფორვარდი ტრავმირებულია და ნაკრებში მისი გამოუძახებლობის მიზეზიც ესაა. მილიტოს ნაცვლად მარადონამ გამოიძახა მარტინ პალერმო, რომელმაც არგენტინის ნაკრების უკანასკნელ ამხანაგურ მატჩში ორი გოლი გაიტანა.

არგენტინის ნაკრების შემადგენლობა ასეთია.

მეკარეები: სერხიო რომერო (ალკმაარი), მარიანო ანდუხარი (კატანია), დიეგო პოცო (კიოლნი)

მცველები: პაბლო ზაბალეტა (სიტი), ემილიანუ ინსუა (ლივერპული), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), გაბრიელ ჰაინცე (მარსელი), ნიკოლას პარეხა (ესპანიოლი), ფაბიან მონცონი (ბოკა), როლანდო შიავი (ნიუელსი), ნიკოლას ოტამენდი (ველესი)

ნახევარმცველები: ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ლუჩო გონსალესი (მარსელი), ხონას გუტიერესი (ნიუკასლი), ანხელ დი მარია (ბენფიკა), ფედერიკო ინსუა (ბოკა), ენცო პერესი (ესტუდიანტესი), ხუან სებასტიან ვერონი (ესტუდიანტესი), მარიო ბოლატი (ჰურიკანი)

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა), კარლოს ტევესი (სიტი), იეზეკილ ლავეცი (ნაპოლი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), გონსალო იგუანი (რეალი), მარტინ პალერმო (ბოკა).

საქართველოში ფიბა-ევროპის პრეზიდენტი ჩამოვა

ბესიკ ლიპარტელიანი

გასულ კვირას საბერძნეთში საქმიანი ვიზიტით იყვნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი. ქართული კალათბურთის გამგებლები შეხვდნენ ფიბა-ევროპის პრეზიდენტ გიორგიოს ვასილაკოპულოსს და მისგან კარგი ამბები მოისმინეს.

რაზე ესაუბრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფიბას თავკაცს, ამას გაიგებთ იმ ინტერვიუს წყალობით, რომელიც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- საბერძნეთში ფიბა-ევროპის პრეზიდენტ გიორგიოს ვასილაკოპულოსთან შესახვედრად ვიყავით და მასთან რამდენიმე საკითხზე ვისაუბრეთ. ევროპული კალათბურთის ხელმძღვანელები ხედავენ, რომ საქართველოში კალათბურთი ვითარდება, რისი დასტურიცაა ჩვენი ეროვნული გუნდის წარმატებები. ამიტომ მათი მხრიდან ინტერესი იზრდება. ბატონმა ვასილაკოპულოსმა გვითხრა, რომ ჩვენ საკალათბურთო განვითარების გარკვეულ ეტაპზე ავედით, A დივიზიონში თამაშის უფლება მოვიპოვეთ და ეროვნულ ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომ დღის წესრიგში დადგა საქართველოს ევროპის საკალათბურთო ცხოვრება-საქმიანობაში უფრო აქტიური მონაწილეობა. ამ მხრივ ფიბა-ევროპამ საქართველოს ევროპის რომელიმე ასაკობრივი ჩემპიონატის მასპინძლობა შესთავაზა და სავარაუდო ვადაც გაირკვა: 2011 წელი. ეს საკითხი დამტკიცებისგან ჯერ შორსაა, მაგრამ თუ მოვლენები ჩვენთვის ხელსაყრელად განვითარდება, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სრულიად რეალურია.

- ამისთვის, პირველ რიგში, დარბაზებია საჭირო.

- ევროპის რომელიმე ასაკობრივი ჩემპიონატის ჩასატარებლად სამი ევროპული დონის დარბაზი სრულიად საკმარისია. თბილისში ჯერჯერობით ერთია ასეთი - სპორტის სასახლე, მაგრამ ჩვენი ნაკრების წარმატებამ კალათბურთისადმი ინტერესი გაზარდა და შესაძლებელია ფედერაციას გადაეცეს არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის (სკა) დარბაზი, ასევე სპორტის დეპარტამენტის შენობაში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზი, თუმცა ორივეგან სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი. საბერძნეთში ჩვენი ვიზიტის მიზეზი ისიც იყო, რომ ფიბა-სგან გაგვეგო, რა დახმარების გაწევა შეუძლია. ბატონი ვასილაკოპულოსი შეგვპირდა, რომ ფიბა საქართველოს აუცილებლად დაეხმარება ფარებით, ტაბლოებით და სათამაშო მოედნის საფარისთვის საჭირო მასალით, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ფიბა-ევროპის პრეზიდენტი ოქტომბრის ბოლოს თავად ჩამოვა საქართველოში, დაათვალიერებს დარბაზებს, რომლებშიც რემონტის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება იქნება შესაძლებელი და კონკრეტული დახმარების ოდენობაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

- დარბაზების გარემონტებაში კიდევ ვისი დახმარების იმედი გაქვთ?

- როცა ფიბა-ევროპისგან გავიგებთ, კონკრეტულად რა სახის დახმარებას გაგვიწევენ, მერე ყველაფერი მალე გაირკვევა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოც დაგვეხმარება. სპონსორებიც გვყავს მოსაძიებელი. ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ შესაძლოა ვერის ბაღის დარბაზიც ჩაერთოს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის ფერხულში.

ტუა დიდ გულზეა

გიგა გურასაშვილი

ტუამ ორწლიანი პაუზა კამერონთან ორ რაუნდში შეავსო

დაბრუნებაც ამას ჰქვია: მივიდა, ნახა, გაიმარჯვა. არადა, ბოლოს 2007 წლის 7 სექტემბერს გამოჩნდა რინგზე და ორ რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ორი წლის შემდეგაც იგივე მოხდა - მეორე რაუნდში მსაჯებმა ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიაკუთვნეს, მანამდე კი მეტოქე ორჯერ გაუშვა ნოკდაუნში. საუბარია 36 წლის ახალზელანდიელ დავიდ ტუაზე, რომელმაც ჰამილტონში (ახალი ზელანდია) შეინ კამრონს კუდით ქვა ასროლინა და სანაცვლოდ კამერონის საკუთრებაში არსებული კრივის მსოფლიო ორგანიზაციის აზია-წყნარი ოკეანეთისა (WBO Asia Pacific) და WBO Oriental-ის რეგიონული ტიტულები დაისაკუთრა. რინგზე წარმატებით დაბრუნებულს გული მიეცა და ირწმუნება, წლის ბოლომდე კიდევ მნახავთო. მეტოქის ვინაობა კი ბურუსითაა მოცული.

ტუას მომავალი მეტოქის ვინაობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გაირკვევა მისი მომავალი ორთაბრძოლების ტრანსლაციის უფლება. ახალზელანდიური ტელეკომპანია Maori TV-ის ხელთაა დავიდ ტუას სამი მატჩი, მაგრამ ახალზელანდიელის ჩხუბისთვის იმდენად ცოტა თანხას გამოდიან, ამდენს რიგი მოკრივეები თვეში სპარინგ-პარტნიორებს უხდიან (50 ათასი დოლარი).

პრომოუტერულ კომპანია Duco Events-ს, რომელიც 3 ოქტომბერს შეინ კამერონის (23 გამარჯვება, აქედან 20 ნოკაუტით და 2 წაგება) წინააღმდეგ ტუას (50 გამარჯვება, აქედან 43 ნოკაუტით, 3 წაგება და 1 ფრე) რინგზე დაბრუნების ორგანიზატორი იყო, ახალზელანდიელ მოკრივესთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გასჩენია.

ტუა-კამერონის დაპირისპირება, ფასიანი ტრანსლაციების მხრივ, ახალი ზელანდიისთვის სარეკორდო გამოდგა. იმავე კომპანიის მეთაურს, დევიდ ჰიგინსს, 13 დეკემბრისთვის ოკლენდის 12-ათასიანი არენა Vector Arena დაუჯავშნავს, იმ იმედით, რომ დევიდ ტუასა და ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ ჰასიმ რაჰმანს (45 გამარჯვება, აქედან 36 ნოკაუტით, 7 წაგება და 2 ფრე) შორის მატჩ-რევანშს გაჩარხავს.

„როგორც ცნობილია, ჯენტლმენს, სახელად ჰასიმ რაჰმანს, სურს, დეკემბერში ტუას შეხვდეს, - The New Zealand Herald ციტირებს ჰიგინსს, - ვფიქრობთ, ტუასაც სურს მასთან შეხვედრა. თუ კომპრომისს მივაღწევთ, ორთაბრძოლა გაიმართება. თუ არა და, საკუთარ საათს დაველოდებით“.

გამოდის, რომ ტუა და მისი ბანაკი არჩევანის წინაშე დგანან. მათ ახლა ან Maori TV-სთან უნდა გაწყვიტონ ხელშეკრულება, რაც, თავის მხრივ, მწვანე შუქს აუნთებს ჰასიმ რაჰმანთან რევანშს, ან უახლოეს მომავალში ჩაატარონ სამი ორთაბრძოლა ნაკლებად ცნობილ მეტოქეებთან და ამავე დროს შეასრულონ ტელეკომპანიასთან აღებული ვალდებულებები.

ტუას მწვრთნელის როჯერ ბლადვორსის აზრით, მისი ქვეშევრდომი დღესვე მზად არის სატიტულო ჩხუბისთვის. რაჰმანზე გამარჯვება კი კარგი წინაპირობა იქნება იმისთვის, რომ ახალზელანდიელი მოკრივე პრეტენდენტთა ნუსხაში ვიხილოთ. მეორე მხრივ, სამი „შუალედური“ ჩხუბი კარგი საშუალებაა, ტუამ ფორმა შეინარჩუნოს. ამასობაში ჩვენს ბანაკს საჩემპიონო ორთაბრძოლის ორგანიზების საშუალება მიეცემაო.

ფერგიმ თქვა, გიგზი საუკეთესოაო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელი თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ უელსელი რაიან გიგზი პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია.

„ინგლისის ლიგაში მაღალი კლასის არაერთ ფეხბურთელს უთამაშია. ზოგიერთმა მათგანმა რაიანზე მეტი გააკეთა, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის ფეხბურთში ასეთი ხანგრძლივი ყოფნით და გამძლეობით. გიგზი პრემიერლიგის დაარსებამდე თამაშობდა და ახლაც კარგ ფორმაშია. ვფიქრობ, მასზე შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესოა. ბოლო თამაშებში ის არაერთ პოზიციაზე გამოვიყენეთ, რადგან ახლა სეზონის დასაწყისია და აქვს იმის ჯანი, რომ დიდი სამუშაო შეასრულოს და მეტოქის მცველები მუდმივ დაძაბულობაში ამყოფოს. რაც უფრო მეტი დრო გავა, გიგზს მოედნის სიღრმეში დავწევთ და იქიდან წარმართავს თამაშს,“ - თქვა ფერგიუსონმა.

ჯილარდინო დაინდეს

20 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში, „ფიორენტინას“ თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო უნგრული „დებრეცენის“ წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

უეფამ „ფიორენტინას“ აპელაცია დააკმაყოფილა და ფეხბურთელის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერთმატჩიანით შეცვალა.

ჯილარდინომ „ლიონთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში უხეში თამაშისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა და თავდაპირველად ორი მატჩით დასაჯეს. ერთი მატჩი - „ლივერპულის“ წინააღმდეგ, რომელიც ფლორენციელებმა 2:0 მოიგეს, მან უკვე გამოტოვა.

დონადონი მაცარიმ შეცვალა

უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ იტალიური „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე რობერტო დონადონის ვალტერ მაცარი შეცვლის.

მოსალოდნელია, რომ დონადონის (მისი ხელმძღვანელობით ნეაპოლელებმა 7 მატჩში მხოლოდ 7 ქულა აიღეს) გათავისუფლების შესახებ ოფიციალურად ამ დღეებში გამოაცხადებენ.

"ბაიერნმა" ოკტობერფესტზე მოულხინა

მიუნხენის „ბაიერნმა“ შაბათს „კიოლნთან“ შინ ფრედ (0:0) დასრულებული მატჩის მეორე დღეს ოკტობერფესტზე - ადგილობრივ სახალხო ღრეობაზე - მოულხინა.

„რეკორდმაისტერის“ ჰოლანდიელი თავკაცისთვის - ლუის ვან გაალისთვის ეს პირველი ოკტობერფესტია.

„კიოლნისთვის“ რომ მოგვეგო, მეტი ხალისით ვიქეიფებდითო, ამბობდა ვან გაალი და არც გაემტყუნებოდა.

თავად განსაჯეთ:

8 ტურის შემდეგ „ბაიერნს“ 12 ქულით გათამაშების ცხრილში მე-8 ადგილი უკავია და ლიდერებს - ლევერკუზენის „ბაიერსა“ და „ჰამბურგს“ 8 ქულით ჩამორჩება. უკვე 506 დღეა, გუნდი ბუნდესლიგის სათავეში აღარ მდგარა, უკვე 274 წუთია, მის ნაქებ ვარსკვლავებს მეტოქეთათვის გოლი არ გაუტანიათ...

„ჩვენ ახალი საბრძოლო გეგმა გვაქვს, რომლის მეშვეობით ამ რვაქულიან დეფიციტს აღმოვფხვრით,“ - დაიქადნა იმ დღეს „ბილდთან“ საუბარში კლუბის მენეჯერმა ული ჰაინესმა.

ვნახოთ, იქნებ ოკტობერფესტის მადლმა მაინც გაჭრას.

ტოტი 15-20 დღით დაისვენებს

იტალიური „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ სრული სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მას დაახლოებით 15-20 დღის განმავლობაში დასვენება მოუწევს.

ტოტიმ იტალიის სერია A-ს მე-7 ტურში, „ნაპოლისთან“ 2:1 მოგებულ მატჩში მიიღო ტრავმა. თავდაპირველად ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ტრავმა სერიოზული იყო, თუმცა, Football Italia-ს ცნობით, მათი შიში გადამეტებული აღმოჩნდა.

„თავიდან შევშინდი. არ მინდოდა, რომ საფეხბურთო კარიერა ასე დამესრულებინა, მაგრამ, საბედნიეროდ, დაზიანება მძიმე არ აღმოჩნდა. ახლა სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზაა და მას ბოლომდე აღდგენისთვის გამოვიყენებ. იმედი მაქვს, მოედანს „მილანთან“ მატჩში დავუბრუნდები,“ - განაცხადა ტოტიმ.

33 წლის ტოტიმ საფეხბურთო კარიერა რომაულ კლუბში დაიწყო და სერია A-ში ჩატარებულ 426 მატჩში 184 გოლი გაიტანა. 1998-2006 წლებში იტალიის ეროვნულ ნაკრებში მან 58 თამაში ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა.

საჩუქრები მთელი წელი!

ოქტომბერი

გახსენით **ვადიანი ანაბარი დოლარში** 1 წლით და მიიღეთ

+1%

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – სარეკლამო რგოლების დამზადება და მისი განთავსება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს რეკლამის დამზადებისა და მისი განთავსების მომსახურების შესყიდვაზე.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. 2 სარეკლამო რგოლის დამზადება სასურველია განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში, ხოლო 1 (ერთი) სარეკლამო რგოლის 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში. სარეკლამო რგოლების განთავსება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 27 ოქტომბერს 9:00 საათიდან 14:00 საათამდე, მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
6. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,40
2	გამოცდილება	0,40
3	მომსახურების გაწევის ვადები	0,20
	სულ:	1,00

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაცით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-6 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
8. მოცემული შესყიდვის ფარგლებში და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში სუბკონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ყველა შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია.
9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 7 ოქტომბრის 9:00 საათიდან 2009 წლის 26 ოქტომბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.
10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
11. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 27 ოქტომბერს 14:00 საათზე.
12. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
13. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
14. შერჩევის შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-12 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, რეკლამის დამზადებისა და მისი განთავსების მომსახურება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

17. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში (ქვემოთ მითითებულ მისამართზე) სამუშაო დღეებში:
ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9.
ტელეფონი: ფაქსი: (+995 32) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge.** ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **i.tadiashvili@mof.ge.**

სატენდერო კომისია

განცხადება
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით

1. კონკურსის აუცილებელი პირობები:

ა) იჯარით გასაცემი ფართი წარმოადგენს:
- საქართველოს ეროვნული არქივის შენობის (მდებარე: ვაჟა ფშაველას გამზ., N1) 17-სართულიანი ნაწილის ფასადის კედლის ნაწილი (ვაჟა ფშაველას გამზირის მხრიდან) - არაუმეტეს 600 კვადრატული მეტრისა და 4-სართულიანი ნაწილის სახურავი (ვაჟა ფშაველას გამზირის მხრიდან) - არაუმეტეს 40 გრძივი მეტრისა;

ბ) იჯარის ვადა არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

გ) გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას კონკურსში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები.

დ) განსათავსებელი რეკლამის კონსტრუქციის ფორმა, ზომები და ვიზუალურ-შინაარსობლივი მხარე წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან.

ე) იჯარის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება უნდა გადაიხადოს მეიჯარემ არსებული წესების დაცვით.

ვ) კონკურსის მონაწილემ წინადადებები უნდა წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

ზ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ ფორმით, რომელიც კომისიის მიერ შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება პრეტენდენტს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად.

2. კონკურსანტებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ საკონკურსო კომისიაში დახურული კონვერტით; განაცხადშივე უნდა მიუთითონ: იჯარის ვადა, იჯარის ღირებულება თვეში (დღგ-ს ჩათვლით), ლარებში; ასათვისებელი ფართის მოცულობა; თანხმობა კონკურსის აუცილებელ პირობებზე.

3. კონკურსანტების განაცხადი უნდა წარმოდგინონ 2009 წლის 12 ოქტომბრის 17.00 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, N1.
საკონტაქტო ტელეფონი: 37-28-02; 895-907020.
საკონტაქტო პირი: გოგიტა ჭეჟია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოსუნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განცხადება

2009 წლის 1 ოქტომბერს ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც თსუ-ს ქვემო ქართლის ყოფილ ფილიალში არსებულ დარღვევებს ეხებოდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მიიჩნევს, რომ სიუჟეტი იყო მიკერძოებული, არაობიექტური და შეიცავდა უნივერსიტეტისადმი უსაფუძვლო ბრალდებებს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2007 წლის ოქტომბერში თსუ ქვემო ქართლის ფილიალში არსებული დარღვევების შესახებ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სწორედ თსუ-ს რექტორის წერილის საფუძველზე. ძიებას გადაეცა თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ყველა კურსდამთავრებულის (მათ შორის სიუჟეტში მოყვანილი სტუდენტის) პირადი საქმე. ამის შესახებ 2007 წლის 23 ოქტომბერს პრესისა და ტელევიზიისათვის უნივერსიტეტში სპეციალური ბრიფინგიც გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია წარედგინა სიუჟეტის ავტორს, დოკუმენტაციის იგნორირებით მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მაყურებელს.

2009 წლის 2 ოქტომბერს საგანგებო ბრიფინგზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ ზემოაღნიშნული სიუჟეტის საპასუხოდ წარმოდგენილი ინფორმაცია კვლავ არაობიექტურად და არასრულად გაშუქდა “რუსთავი 2-ის” ეთერში.

თსუ-ს აკადემიურ საბჭოს მიაჩნია, რომ მსგავსი სიუჟეტები მიზანმიმართულად ლახავს უნივერსიტეტის პრესტიჟს და შეურაცხმყოფელია თითოეული უნივერსიტეტელისათვის.

უნივერსიტეტი ყოველთვის მზად არის მასმედიასთან ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარ ექნება და უნივერსიტეტის შესახებ საზოგადოებას მიეწოდება მხოლოდ ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაცია.

აკადემიური საბჭო სთხოვს მასმედიას, საზოგადოებას გააცნოს აღნიშნული განცხადება.

თბილისის სახელმწიფოUუნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერ სპორტულ მოედნებზე ხელოვნური საფარის დაგებაზე

სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

დუშეთში რაიონში სამ სპორტულ მინი მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება და საფარის დასაგებად საჭირო წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. მოედნის ზომები: 16/27მ, 20/30მ, 22/35მ.

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით 17.00 საათამდე.

- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახაზინო კოდი - 300 773 174
ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით არაუგვიანეს **2009 წლის 27 ოქტომბრისა 16.00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.**

- დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირისათვის:
- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

- ფიზიკური პირისათვის:
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- პრეტენდენტს შესაძლებლობა აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
- ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო ღირებულების-1%-ზე)
- ტენდერში გამოყეებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების-2%-ზე)

- მოთხოვნები, რომლებიც შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება:
- ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

- ბ) ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.

- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 27 ოქტომბერს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **2009 წლის 28 ოქტომბერს.**
- სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვროს შემდეგი სახით: **არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 ნოემბრისა.**

- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: შალვა ბოხაშვილი ტელ: 895 55 82 82
- როლანდ ჩაჩავა ტელ: 895 95-19-14

სატენდერო აპარატი

შპს "ბარამბო" აცხადებს **კონკურსს სადისტრიბუციო კომპანიების შესარჩევად** მის მიერ ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციისთვის.

შპს "ბარამბო" (შემდგომში "კომპანია") არის ახლადშექმნილი კომპანია, რომელიც აშენებს საკონდიტრო ქარხანას მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში, სადაც გათვალისწინებულია შოკოლადის და კარამელის ნაწარმის გამოშვება. მშენებლობის და ყველა სახის სამონტაჟო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერში, ხოლო დეკემბრის ბოლოდან დაიწყება პროდუქციის საცალო სავაჭრო ქსელში განთავსება და რეალიზაციის დაწყება.

დისტრიბუციის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორია დაყოფილი გვაქვს 11 ზონად, შესაბამისად დისტრიბუტორობის მაძიებელ ერთ და იგივე კომპანიას შეუძლია წარადგინოს განაცხადი მხოლოდ ერთ ზონაზე:

1. თბილისის მარცხენა მხარე
2. თბილისის მარჯვენა მხარე
3. კახეთი: მთლიანად კახეთის რეგიონი საგარეჯოს რაიონის გარდა.
4. ქვემო ქართლი: მთლიანად ქვემო ქართლი საგარეჯოს რაიონის დამატებით
5. მცხეთა-თიანეთი და შიდა ქართლი (გორის რ-ნი, კასპის რ-ნი)
6. ჭიათურის რ-ნი, ხაშურის რაიონი, ქარელის რაიონი, საჩხერის რ-ნი, ბორჯომის რაიონი
7. სამცხე-ჯავახეთი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ბორჯომის რაიონის გამოკლებით
8. იმერეთი: იმერეთის რეგიონი საჩხერის და ჭიათურის გამოკლებით. რაჭა-ლეჩხუმი: მთლიანად რეგიონი
9. სამეგრელო: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ფოთის გარდა.
10. ფოთი-გურია: ქ. ფოთი, გურიის რეგიონი.
11. აჭარა: მთლიანად აჭარის რეგიონი.

მაძიებელმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი "ბარამბო"-ს ნაწარმის დისტრუბუციის სურვილის თაობაზე, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელ რეგიონში აქვს მაძიებელს დისტრიბუციის სურვილი.

განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს **მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე** შემდეგ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, შპს "ბარამბო".

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე +(995 99) 265105 , ან ელექტრონული ფოსტით: davit.kukhalashvili@barambo.ge

---

ცესკო

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს

შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე

საოლქო საარჩევნო კომისია:

N	საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსია	თანამდებობრივი განაკვეთი
1	№22 მარნეული	1	430
2	№26 თეთრიწყარო	1	390
3	№43 ონი	1	390
4	№70 ფოთი	1	400

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2009 წლის 7 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით. ქ.თბილისი, ალექსიძის №1.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. კანდიდატის 2 ფოტოსურათი;
2. განცხადება (ივსება ადგილზე);
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
4. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;
6. შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს).
7. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 36 52 86

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 29 სექტემბრის გაზეთ „24 საათში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებულ №6, №12 და №22 ლოტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №6, №12 და №22 ლოტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

ლოტი №	რეგიონალური სატყეო სამმართველო	სატყეო უბანი	ყოფილი სატყეო	კვარტლის №	საერთო ფართობი ჰა.	საექსპლუატაციო ფართობი ჰა.	მერქნიანი სახეობა	ჭრის სახე	სალიცენზიო ფართობზე სულ მოსაჭრელი მაჩვენი მ³	სალიცენზიო ფართობზე მოსაჭრელი ლიკვიდური მარაგი მ³	სამასალე მერქნის გამოსავლიანობა ლიკვიდური მერქნიდან %	სამასალე მ³	საშეშე მ³	საწყისი ფასი	ბე	ბიჯი
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხაიში	ორმელეთი	6,17,35-38	683	27.1	სოჭი	მთავარი სარგებლობა	3745	3370	75	2528	843	38417	7683	3842
	სულ				**683**	**27.1**	–	–	**3745**	**3370**	–	**2528**	**843**			
12	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხაიში	ჭუბერი	84,85,87,92-94	807	24.2	წიფელა	მთავარი სარგებლობა	615	555	50	278	278	27843	5569	2784
							სოჭი		1805	1625	75	1219	406			
	სულ:				**807**	**24.2**	–	–	**2420**	**2180**	–	**1496**	**684**			
22	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხაიში	ხუბერი	91,96-100,106-112	1634	35.9	წიფელა	მთავარი სარგებლობა	720	650	50	325	325	37960	7592	3796
							სოჭი		2640	2375	75	1781	594			
	სულ:				**1634**	**35.9**	–	–	**3360**	**3025**	–	**2106**	**919**			

ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ№12ტელ. 99 11 29; 92 31 73 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს
ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს	
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაუროოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს **200** ლარს. **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **220101222**, სახაზინო კოდი: **300773069**
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის ქვითარი	**„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **220101222**, სახაზინო კოდი: **302005000**
ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით). ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) „ბე"-ს გადახდის ქვითარი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
ლიცენზიის მოქმედების ვადა	**5 წელი**

სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები:

1. ლიცენზიანტმა განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა:
2. დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ტყითსარგებლობისაგან;
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;
4. შეიმუშაოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.
5. ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა, რომელსაც უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია. ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ საქმიანობა ტყის დაცვის მიზნით და არ დაიშვება ლიცენზიანტის მიერ ხე-ტყის მოპოვება და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;
6. უზრუნველყოს დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;
7. ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იწვევდეს ტყის მასივის (კორომის) დანაწევრებას და არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტლების საზღვრებს;
8. ლიცენზიის ან ლიცენზის ნაწილის გასხვისებისას, ტყით სარგებლობის ახალი გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის შემძენმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს;
9. ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიანტები წარმოადგენენ ახალ ტყით სარგებლობის გეგმას (გეგმებს). ახალი ტყით სარგებლობის გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაიშვება;
10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფები;
11. მასალები შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტის რეგიონულ სატყეო სამმართველოში და ჭრები განახორციელოს ტყეკაფის მასალების მასთან შეთანხმებისა და ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
12. ტყეკაფის ათვისების ვადად განისაზღვრება კალენდარული პერიოდი ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს ორი წელიწადი;
13. მომდევნო ტყეკაფების ათვისება დასაშვებია მხოლოდ წინა პერიოდში გამოყოფილი ტყეკაფის ათვისებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ათვისების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ;
14. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;
15. ტყეში საშუშაოების ჩატარებისას გამოიყენოს ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები მანქანა-იარაღები და ტექნოლოგიები;
16. უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები:
17. დაიცვას ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისაგან;
18. არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;
19. საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება;
20. არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;
21. სამასალე ხე-ტყის პირველადი გადამუშავება (პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება შემდეგი პროდუქცია – ხე-ტყის გადამუშავების შედეგად მიღებული ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, დაპობილი სპობობი შეშა, შავად ნამზადი დეტალი) სრულად განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე;
22. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;
23. დაიცვას წყალდაცვითი ზოლის რეჟიმი;
24. უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეების ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიანტის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;
25. გაატაროს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისა და ხანძრებისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებები, რის უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების ან/და ტყის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;
26. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიანტი ვალდებულია დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;
27. პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;
28. ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას (სამასალე და საშეშე მერქნის გარდა) უსასყიდლოდ მოაგროვოს ხილ-კენკროვანები, თხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები და ტყის სხვა პროდუქტები, გარდა „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობებისა), ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას;
29. ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს, უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა;
30. ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;
31. ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;
32. ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოებულ სატყეო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 80%-ს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მოსახლეობა (იმ ტერიტორიული ერთეულების – მუნიციპალიტეტების, რომელსაც მოიცავს ლიცენზია);
33. მომუშავე პერსონალთან (ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან) გააფორმოს შრომითი ან/და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოს აღწერილობით, დაქირავებულთა საცხოვრებელი ადგილის მითითებით. შემოწმებისას, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემმოწმებელს;
34. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადამდე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს .

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

გამარჯვებულის მიერ საუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა